

სასიამოვნო გზავნილი ევროკომისიისგან

A2



რუსეთი დასავლეთის გადარწმუნებას შეეცდება

A3



ცნობილი სპორტსმენის ახალი სტატუსი - ბრალდებული

A4

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 18 მაისი, 2006 წელი. №108 (1260)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### ამჯერად პოლიკლინიკა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საგარეჯოში გუშინ ახალი პოლიკლინიკა საზეიმოდ გახსნა. სამკურნალო დაწესებულების გახსნის შემდეგ პრეზიდენტი სააკაშვილი საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავში ყორღანაშვილების ოჯახს ესტუმრა.

A2

## ამბები

### პალესტინის უშიშროების ახალი სამსახური

პალესტინის ავტონომიაში უშიშროების ახალი ტიპის სამსახური იქმნება. ახალ სამსახურში პალესტინის სხვადასხვა შეიარაღებული დაჯგუფებების წევრები იმსახურებენ.

A2

## პოლიტიკა

### ბირთვული ენერგეტიკის საკითხი დიდი ბრიტანეთის დღის წესრიგში ექცევა

დიდ ბრიტანეთში ახალი თაობის ატომური ელექტროსადგურის მშენებლობას მხარს ქვეყნის პრემიერ-მინისტრიც უჭერს.

A3

## სამართალი

### საპატრულო პოლიცია სარეკლამო აგენტის ფუნქციით

"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" და "საიმპიჩმენტო პროცედურათა ინიციაციის ცენტრი" აცხადებენ, რომ საპატრულო პოლიციის ავტომანქანების სანომრე ნიშნის ადგილზე კომპანია "ჯეოსელის" რეკლამის განთავსება კანონდარღვევაა.

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 18/05 | 19/05 |
|---|---|---|
| თბილისი | 23 | 27 |
| ქუთაისი | 17 | 20 |
| სოხუმი | 17 | 20 |
| გორი | 19 | 20 |
| ზუგდიდი | 19 | 21 |
| სამტრედია | 18 | 22 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8005 |
| ევრო | 2.3212 |
| ბირთანეთა სტერლ. | 3.4152 |
| რუბლი | 0.0668 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| პროექტი | A 5 |
| პროექტი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# დენის გაძვირების მიზეზებს უმრავლესობა "ჩუმად" არკვევს

გიორგი ასანიშვილი

ელექტროენერგიის საფასურის გაძვირებამ საზოგადოებაში "გაორმაგებული" უკმაყოფილება გამოიწვია. რა თქმა უნდა, თავისთავად, უსიამოვნოა, როდესაც დენის ტარიფის ზრდა თითოეული ოჯახის ბიუჯეტს მეტ-ნაკლებად აზარალებს, მაგრამ არანაკლებ გამაღიზიანებელია ის, რომ დღემდე არავის უცდია არგუმენტირებულად აეხსნა ხალხისთვის, რომ გაძვირება გარდაუვალი იყო, ან ის, თუ რატომ გაიზარდა ტარიფი მაინცდამაინც 4-5 თეთრით და არა, ვთქვათ, 1-2 ან 17-18 თეთრით. ასეთ ვითარებაში ცეცხლზე ნავთს ასხამს ოპოზიცია, რომელიც ირწმუნება,

გაგრძელება A3 გვერდზე



ელექტროენერგიის ტარიფის განხილვა ბიუროს სხდომათა დარბაზში, მაგრამ - არა ბიუროს ფორმატში.

# ნატო, საქართველო და ტერიტორიული მთლიანობა

ზაზა ფაჩუაშვილი

*საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება სულ უფრო და უფრო რეალური ხდება და სწორედ ამაზე მეტყველებს ჩვენთან ნატო-ს წარმომადგენლობით დელეგაციების ხშირი ვიზიტი და ქვეყანაში ჩატარებული ფართომასშტაბიანი რეფორმების დადებითი შეფასება. ქართული საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა მიესალმება ამ პროცესს და მიიჩნევს, რომ ეს არის ქვეყნის სახელმწიფოებრიობისა და ერთიანობის დაცვის გარანტი. ასევე მუსირებს აზრი იმის შესახებ, რომ ნატო-ში გაწევრიანება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის წინაპირობა იქნება, თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც ამ საკითხს სიფრთხილით ეკიდებიან. დღეს გთავაზობთ დიალოგს, სადაც თქვენს წინაშე წარდგებიან ორივე მოსაზრების მქონე ადამიანები: ნატო-ს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი თორნიკე შარაშენიძე, ცნობილი ექსპერტი აფხაზეთის საკითხებში, პროფესორი გია ანჩაბაძე და სოხუმის უნივერსიტეტის პედაგოგი, პროფესორი თემურ ჩილაჩავა. დიალოგთან ერთად გთავაზობთ მოკლე ინფორმაციას ნატო-ს ორგანიზაციის, საქართველოსა და ნატო-ს პარტნიორობის და თანამშრომლობის პერსპექტივის შესახებ.*



თემურ ჩილაჩავა, გია ანჩაბაძე და თორნიკე შარაშენიძე.

გაგრძელება A5 გვერდზე

# "საქართველოს ბანკის" ახალი პროდუქტი "მარკეტ +"

**B**

სალომე ძაძამია

*საქართველოს ბანკმა ახალი პროდუქტის შესახებ ამცნო მომხმარებელს. პირველად, საქართველოს საბანკო სფეროში საქართველოს ბანკი წარმოადგენს პროდუქტს "მარკეტ +". პროდუქტი განკუთვნილია სასურსათო მაღაზიების მფლობელთათვის, რომელთაც სურთ გააფართოონ და განავითარონ არსებული მაღაზიები და, აგრეთვე, მათთვის, ვისაც სურვილი აქვს დაიწყოს სასურსათო მაღაზიის ბიზნესი. "მარკეტ +" უახლოეს მომავალში საქართველოს ყველა რეგიონში იქნება ხელმისაწვდომი.*

გაგრძელება B4 გვერდზე



# მშვიდობით, რუსო ჯარისკაცებო!

*საქართველოს პრეზიდენტის დიდი წარმატება და ალიყური პუტინს. სამხედრო ტექნიკით დატვირთული პირველი მატარებელი საქართველოდან რუსეთის მიმართულებით 16 მაისს გავიდა.*

პაველ რეშკა

*გაზეთი "რესპუბლიკა"*

რ-72-ის ტიპის შვიდი ტანკი, ოთხი ჯავშანტრანსპორტიორი, დაზვერვისა და კავშირგაბმულობის მექანიზმები - ჩამოთვლილი სამხედრო ტექნიკა 19 ვაგონში ჩატვირთეს და ახალქალაქის სამხედრო ბაზიდან, აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით, რუსეთის გზას გაუყენეს. საზღვრამდე მატარებელი საქართველოს არმიის ესკორტმა მიაცილა. შემდეგ კი სპეცმატარებელზე კონტროლი აზერბაიჯანელ სამხედროებს დაევალა.

ეს პირველი სიმბოლური ეშელონია. რუსული სამხედრო ბაზა საქართველოს ტერიტორიას საბოლოოდ 2007 წლის ბოლომდე დატოვებს.

რუსული ბაზები ასევე დისლოცირებულია აჭარაში, ავტონომიურ რესპუბლიკაში, რომელიც საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. მიღწეული შეთანხმების თანახმად, ბათუმის რუსული ბაზა საქართველოდან 2008 წლის ბოლომდე უნდა გავიდეს.

მოსკოვმა, რომელიც, ტრადიციულად, საქართველოს საკუთარი გავლენის სფეროდ განიხილავს, ყველაფერი გააკეთა, რათა ამ ქვეყანაში საკუთარი სამხედრო ძალები რაც შეიძლება დიდხანს შეენარჩუნებინა. რუსი სამხედროები იმასაც კი ამტკიცებდნენ, რომ ჯარისკაცების დასაბინავებელი ადგილი არსად აქვთ. მაგრამ თბილისი დათმობაზე არ წავიდა. ქართველი დიპლომატები ყველა ხელსაყრელ მომენტს იყენებდნენ, რომ რუსეთისთვის 1999 წელს სტამბოლში ხელმოწერილი შეთანხმება შეეხსენებინათ. ამ შეთანხმებით რუსეთმა საქართველოდან და დნესტრისპირეთიდან საკუთარი სამხედრო ბაზების გაყვანის ვალდებულება აიღო.

ბოლოს და ბოლოს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუს სამხედროებზე ვიზების გაცემა შეწყვიტა. კრემლმა დათმო. მიხეილ სააკაშვილმა კი, რომელიც პრეზიდენტის პოსტზე დემოკრატიულმა რევოლუციამ მოიყვანა, უდავოდ დიდ წარმატებას მიაღწია.

გაგრძელება A3 გვერდზე

# არაფრის მომცემი კონფრონტაცია ნატო-სთან

*გასულ კვირას ბრიუსელში, გენერალური შტაბების ხელმძღვანელთა დონეზე, "ნატო-რუსეთის" საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა. რუსეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი იური ბალუევსკი. უკანასკნელ წლებში რუსეთსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შორის ურთიერთობებს მარტივს ნამდვილად ვერ დაარქმევ, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნატო-ში გაწევრიანებას დსთ-ს ზოგიერთი წევრიც ესწრაფვის. ყოფილ "პოტენციურ მოწინააღმდეგესთან" მოლაპარაკებების შემდეგ რუსმა გენერალმა ერთ-ერთი რუსული გამოცემის კითხვებს უპასუხა და საქართველოსა და უკრაინის ალიანსში გაწევრიანების პერსპექტივაზეც ვრცლად ილაპარაკა.*

**- როგორ ფიქრობთ, რა შედეგებს მოუტანს რუსეთს ნატო-ს შემდგომი გაფართოება და მასში უკრაინისა და საქართველოს შესვლა?**

- ორიგინალობას არ გამოვიჩენ და გავიმეორებ იმას, რაც რუსეთის, როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკურ ხელმძღვანელობას არაერთხელ უთქვამს: თითოეული სახელმწიფო თავად ირჩევს კავშირს, სადაც გაერთიანება სურს. მაგრამ რუსეთისთვის სულერთი არ არის, რა მდგომარეობა იქნება მის საზღვართან. საქართველო და უკრაინა ჩვენი მოსაზღვრე ტერიტორიებია. აქ კი გვინდა, რომ გასაგები ფორმულა გვქონდეს.

ბალტიისპირეთის სახელმწიფოები უკვე შეუერთდნენ ნატო-ს. ამის შემდეგ ესტონეთთან (საზღვრის შესახებ) შეთანხმებას ვაფორმებთ, მაგრამ უეცრად ვხედავთ, რომ ესტონეთის პარლამენტს მცირე დამატებები შეაქვს დოკუმენტის პრეამბულაში, რაც ყველაფერს თავდაყირა აყენებს. აღმოჩნდა, რომ ვიღაცას ვიღაცის კიდევ რაღაც ჰმართებს. შედეგად მივიღეთ, რომ შეთანხმება დღემდე არ შესულა ძალაში. ამაზე საუბარი რატომ წამოვიწყე? ჩვენ არ გვინდა, რომ მაგალითად, საქართველოს ნატო-ში შესვლის შემდეგ, ის განცხადებები, რომლებიც დღესაც გაისმის ხელისუფლებაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსების მხრიდან, რუსეთის მიმართ კონკრეტულ ბრალდებებსა და მოთხოვნებში გადაიზარდოს. მით უმეტეს, არ გვინდა, რომ ასეთ განცხადებებს ზურგს უმაგრებდეს ალიანსი, რომლის წევრებიც ისინი იქნებიან.

გაგრძელება A3 გვერდზე

# არჩევნები პროტესტის ფონზე

*გუშინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა. არჩევნებში 603 სტუდენტი და რვა სტუდენტური ორგანიზაცია მონაწილეობდა.*

ნინო ბერელიძე

გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა ლიდერი სტუდენტური ორგანიზაცია - "სტუდენტური კლუბი". სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებს პოლიტიზირებული უწოდა და ბოიკოტი სამმა სტუდენტურმა ორგანიზაციამ - "განათლების ინსტიტუტმა", "უნივერსიტეტელმა" და "სტუდენტურმა ალტერნატივამ" გამოუცხადა.

ამ ორგანიზაციებმა პროტესტი უნივერსიტეტის ეზოში გამართული აქციით გამოხატეს და მიმდინარე არჩევნებს "კომკავშირის დაბრუნება" უწოდეს. პროტესტს უნივერსიტეტის მეორე კორპუსში, ფიზიკის კათედრაზე შეკრებილი პროფესორ-მასწავლებლები შეუერთდნენ და სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებს **"ხელისუფლების მიერ უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის დასანგრევად გამიზნული პოლიტიკური შოუს ნაწილი"** უწოდეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ამჯერად პოლიკლინიკა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საგარეჯოში გუშინ ახალი პოლიკლინიკა საზეიმოდ გახსნა. ამ ღონისძიებას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ვლადიმერ ჭიპაშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახალი რექტორი გიორგი მენაბდე და რესპუბლიკური საავადმყოფოს ასევე ახალი დირექტორი ნიკა ყიფშიძე დაესწრნენ.

**"პრეზიდენტობა ადვილი თანამდებობა არ არის, მაგრამ ასეთი მომენტებისთვის ყველაფერი ღირს. როცა რამეზე იტყვი, უნდა გაკეთდეს და ის გაკეთდება, ეს უდიდესი სიამოვნებაა. ესაა ყველაზე დიდი პრივილეგია, რომელიც მე მაქვს,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა ახალი შენობის გახსნაზე და დასძინა, რომ ძველი შენობის პირველად მონახულებისას "გულს შემოეყარა".

მიხეილ სააკაშვილმა საგარეჯოელ ექიმებს უთხრა, რომ გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში სწორედ გიორგი მენაბდე და ნიკა ყიფშიძე დაეხმარებიან.

როგორც ვლადიმერ ჭიპაშვილმა აღნიშნა, ახალი სამედიცინო დაწესებულება საპრეზიდენტო პროგრამის პირველი მერცხალია.

**"მიხეილ სააკაშვილი საგარეჯოში სამი თვის წინ იყო ჩასული, სადაც ოდესღაც რაიონული პოლიკლინიკა იყო, ფაქტობრივად, ნანგრევები იყო დარჩენილი. პრეზიდენტმა დაგვავალა, რომ 26 მაისისთვის აქ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამკურნალო დაწესებულება აშენებულიყო. ჩვენ ძალიან მოვინდომეთ და ორი კვირით ადრე ვართ მზად ახალი ობიექტის ჩასაბარებლად"**, - აღნიშნა ვლადიმერ ჭიპაშვილმა.

სამკურნალო დაწესებულების გახსნის შემდეგ პრეზიდენტი სააკაშვილი საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავში ყორღანაშვილების ოჯახს ესტუმრა.

გუშინ მიხეილ სააკაშვილი ადგილობრივ მოსახლეობას დაჰპირდა, რომ კახეთში ტრაქტორების რაოდენობა გაორმაგდება. **"ჩემი ამოცანაა, წლის ბოლოსთვის კახეთში ტრაქტორების რაოდენობა გავაორმაგო. ამასთან, წელსვე ვიწყებთ კახეთის სარწყავი არხების აღორძინებას. ეს არის ორიდან სამ წლამდე პროგრამა, რაც კახეთში ყველა სარწყავი არხის აღდგენას გულისხმობს"**, - აღნიშნა პრეზიდენტმა და რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგოს პირობებში, ღვინის ქარხნებს ახალი ბაზრის მოძიებასაც დაჰპირდა.

*მედიანიუსი*

# საგარეო საქმეთა მინისტრი ევროპაში შეხვედრებს მართავს

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი გელა ბეჟუაშვილი სამუშაო ვიზიტით ბრიუსელში იმყოფება, სადაც კონსულტაციებს მართავს ევროატლანტიკური სტრუქტურების წარმომადგენლებთან. კონსულტაციების ძირითადი თემაა საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან თანამშრომლობისა და ინტეგრაციის პერსპექტივები.

დღეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ბრიუსელიდან სტრასბურგში გაემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს ევროპის საბჭოს წევრი-სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტის 116-ე სესიაში.

აღნიშნულ სესიაზე ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები იმსჯელებენ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის გაძლიერებაზე, ევროპის საბჭოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის გააქტიურებაზე.

სესიაზე დაგეგმილია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვით გამოსვლა.

*საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი*

# თავისუფალი სიტყვა

*ახალი მედიაპროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ დავით კიკალიშვილს. სტუდიის სტუმრები არიან: კინოდოკუმენტალისტი თომა ჩაგელიშვილი და საქართველოდან დეპორტირებული მესხების წარმომადგენელი ისო მოლიძე.*

**დავით კიკალიშვილი:** ჩვენ დღეს ვისაუბრებთ მესხებზე, რომლებსაც ხშირად თურქ-მესხებსაც ეძახიან. ამის შესახებ ბევრს კამათობენ. საქართველომ ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, ევროკავშირის წინაშე აიღო ვალდებულება, რომ ყველა იმ ადამიანს, რომელიც დეპორტირებული იყო მესხეთიდან 1944 წელს, დააბრუნებდა სამშობლოში. 1989 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირი დაშლის პირას იყო, უზბეკეთში, ფერგანაში დაიწყო ეთნიკური წმენდა. მაშინ ათასობით ადამიანი ცდილობდა თავის გადარჩენას და საბჭოთა კავშირის მასშტაბით გაიფანტნენ. მათი დიდი ნაწილი აზერბაიჯანსა და კრასნოდარში არიან. ბ-ნო ისო, თუ გახსოვთ 1989 წლის 3 ივნისი, როდესაც ეს პროცესები დაიწყო და რა იგრძენით მაშინ?

**ისო მოლიძე:** 1989 წელს სიმართლე გითხრათ, ფერგანაში არ ვცხოვრობდი. იმ პერიოდში ტაშკენტში ვიყავი. პირველად ვიგრძენი, რომ საბჭოთა კავშირი ჩვენი სამშობლო არ ყოფილა. მივხვდით, რომ სადაც არ გინდა იცხოვრო მდიდრულად, მაინც სამშობლოში ცხოვრება ჯობია.

**დ.კ.:** ამის შემდეგ თქვენ მთელი ცხოვრება მოგიწიათ იმის მტკიცება, რომ მესხეთის მკვიდრი ხართ და არა სხვა კუთხის... რამდენი ადამიანი აიყარა მაშინ...

**ი.მ.:** ფერგანის ოლქიდან 17 ათასი. საერთოდ 35 ათასამდე მესხმა დატოვა უზბეკეთი.

**დ.კ.:** დღეს როდესაც საუბარია მესხების დაბრუნებაზე, დაახლოებით რამდენი ადამიანი იგულისხმება?

**ი.მ.:** დაახლოებით 300 ათასი მესხია და აქედან რამდენი დაბრუნდება არავინ იცის. გააჩნია ვინ მოინდომებს სამშობლოში დაბრუნებას. ძალით ვერავინ გადმოასახლებს.

**დ.კ.:** ვინც ყაზახეთში და ყირგიზეთში ცხოვრობს, იმათგან გამოთქვა ვინმემ სურვილი, რომ წამოსულიყვნენ?

**ი.მ.:** ჯერჯერობით ყაზახეთიდან აქტიურობა არ არის, რადგან იქ ძალიან კარგად ცხოვრობენ.

**დ.კ.:** თომა ჩაგელიშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით თვის ბოლოს უკვე დაიწყებს დოკუმენტური ფილმის გადაღებას. თუმცა, მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დიდი ხანია დაწყებულია. ეს შეეხება მესხების ისტორიას. პირველი კითხვა თომასთან ასეთი მაქვს, რატომ დაგაინტერესა ამ საკითხმა? მესმის, რომ მწვავე თემაა, მაგრამ რა იყო ძირითადი ბიძგი?

**თომა ჩაგელიშვილი:** სანამ ამ ფილმზე მუშაობას დავიწყებდით მე და დემნა ჯაფარიძე, რომელიც ამ ფილმის რეჟისორია, ერთი წელი ვფიქრობდით, დაგვეწყო თუ არა გადაღება. ფილმი რამდენადაც საინტერესოა, იმდენად მრავალწახნაგოვანი და რთულია. ბოლოს ჩამოვყალიბდით და გადავწყვიტეთ, გაგვეკეთებინა. ხალხმა უნდა იცოდეს თავისი ქვეყნის ისტორია. წარმოიდგინეთ, ერთ ღამეში 100 ათასი ადამიანი აყარეს და გაასახლეს შუა აზიაში. ეს ისეთი დიდი თემაა, რომ არ შეიძლება სიძნელის გამო ამას გვერდი აუარო.

**დ.კ.:** სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ როდესაც სიუჟეტები კეთდებოდა ამ საკითხთან დაკავშირებით, ზოგიერთი ადგილობრივი მოსახლე ამბობდა, რომ ისინი თურქები არიან და რატომ უნდა დაბრუნდნენო. სომხურ დიასპორას ცალკე პრობლემები ჰქონდათ, რადგან მათ დაპირისპირება აქვთ. ვის ჩამოსახლებაზეა საუბარი, ანუ ქართველები არიან თუ არა. ასეთი გაურკვევლობა ნაწილობრივ ისტორიის დამახინჯების ბრალი ხომ არ არის?

**თ.ჩ.:** ეს არის ყველაზე რთული საკითხი, რაზეც დავობენ. ანუ, არიან თუ არა ეს ადამიანები ქართველები? ეთნიკურად თუ მივუდგებით, ამ ადამიანების 90 პროცენტი ქართველები იყვნენ. მოლიძეები იყვნენ, ბარათაშვილები, ერისთავები, კოპაძეები, ყიფიანები და ა.შ. ამაზე კარგი ქართული გვარები რაღა უნდა იყოს? ჩვენ ფილმს ვაკეთებთ იმ კუთხით, თუ რატომ გადაასახლეს ეს ადამიანები 1944 წელს, რა მოხდა მაშინ? რატომ მოხდა ამ ადამიანებში ეროვნული თვითშეგნების დაჩლუნგება. დიდ უმრავლესობას მართლა არ მიაჩნდა თავისი თავი ქართველად. ამას დიდი ისტორია აქვს. ასე ადვილად არ ხდება, რომ ადამიანმა ერვნული თვითშეგნება შეიცვალოს. ეს კუთხე 300 წელი იყო თურქეთის პროტექტორატის ქვეშ. მერე როდესაც 1828 წელს პასკევიჩმა აიღო ახალციხე, მოხდა საშინელება. მოსახლეობის უმეტესობა რუსეთის იმპერიამ აიძულა, დაეტოვებინა თავისი მიწა-წყალი და წასულიყვნენ თურქეთში, რადგან ისინი იყვნენ მაჰმადიანები. ეს ამ ხალხში ძალიან მწარედ დაილექა. ეს ადამიანები ვერ დავიცავით მაშინ და აქედან დაიწყო ამ ხალხის გაუცხოება.

# არჩევნები პროტესტის ფონზე

პირველი გვერდიდან




ინტერპრესნიუსი

*გუშინ აქციის მონაწილეებმა უნივერსიტეტში მიმდინარე არჩევნებს "კომკავშირის დაბრუნება" უწოდეს.*

მათი განცხადებით, ამ არჩევნებით იწყება უნივერსიტეტის სახელმწიფო დაწესებულებად გადაქცევის მეორე ეტაპი.

უნივერსიტეტის რექტორი გია ხუბუა "24 საათთან" საუბარში აცხადებს, რომ სასწავლებლის ადმინისტრაცია შეგნებულად არ ჩარეულა არჩევნების მზადების პროცესში. **"თუ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ობიექტურობა, ეს მხოლოდ ახალ დეკლარაციაში დაშვებული ხარვეზების ბრალი იქნება, რადგან ამ დეკლარაციით გახდა შესაძლებელი სხვადასხვა პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური ძალების ჩარევა უნივერსიტეტის შიდა საქმიანობაში. სხვათა შორის, დეკლარაციაზე უნივერსიტეტში არსებული სტუდენტური ჯგუფები და მათი პედაგოგები რვა თვის განმავლობაში მუშაობდნენ"**, - აცხადებს გია ხუბუა.

იგი სტუდენტებისთვის დაპირებულ შეღავათებზეც საუბრობს: **"რაც შეეხება სოციალურ პრიორიტეტებს, ამას, ქალაქის მერიასთან ერთად, შეიმუშავებს და განახორციელებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. ეს ღონისძიება (არჩევნები) კი სწორედ იქეთკენაა მიმართული, რომ აღარავის ჰქონდეს სასწავლებელში რაიმე სახით ჩარევის სურვილი."**

სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების ობიექტურობაში ეჭვი არ ეპარება არც განათლებისა და მეცნიერების მინისტრს კახა ლომაიას. მისი განცხადებით, გამორიცხულია პოლიტიკურად ანგაჟირებული სტუდენტების გამარჯვება სტუდენტურ თვითმმართველობაში.

არჩევნების შედეგები კვირის ბოლოსთვის გახდება ცნობილი.

# პალესტინის უშიშროების ახალი სამსახური

პალესტინის ავტონომიაში უშიშროების ახალი ტიპის სამსახური იქმნება. მისი ჩამოყალიბების შესახებ ავტონომიის შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა. მინისტრის თქმით, ახალ სამსახურში პალესტინის სხვადასხვა შეიარაღებული დაჯგუფებების წევრები იმსახურებენ. თუმცა, ჯერჯერობით გაურკვეველია ვინ გააკონტროლებს სამსახურის მუშაობას, ამ საკითხან დაკავშირებით "ჰამას"-მა და "ფათჰ"-მა ჯერ ვერ შეძლეს შეთანხმების მიღწევა.

უშიშროების ახლებური ტიპის სამსახურის შექმნის ინიციატივით საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული "ჰამასი" ჯერ კიდევ აპრილის დასაწყისში გამოვიდა. "ჰამას"-ის განცხადება პალესტინის ავტონომიის ლიდერის მაჰმუდ აბასის მიერ თანამოაზრის დანიშვნას მოჰყვა უშიშროების ძალთა სამი ქვეგანყოფილებიდან ერთ-ერთის ხელმძღვანელის პოსტზე.

"ჰამას"-ის წინადადებაზე მაჰმუდ აბასის ვეტოს მიუხედავად, ეს უწყება მაინც იწყებს ფუნქციონირებას. ოფიციალურად გაკეთებული განცხადების თანახმად, უშიშროების სამსახურის წევრებს ადამიანების პირადი უსაფრთხოებისა და მათი ქონების დაცვა ევალებათ არასტაბილური ვითარებისა და ძალადობის პირობებში.

**"დღეს არსებული უშიშროების სამსახურის სისუსტე ყველასთვის თვალსაჩინოა. ავტონომიაში ვერ აღვკვეთეთ ქურდობა, ადამიანების გატაცება და მკვლელობა, ამიტომ ახალი ტიპის სამსახურის ფორმირება სწორედ, რომ დროულია"**, - განაცხადა პალესტინის ავტონომიის შინაგან საქმეთა მინისტრმა საიდ სიამმა ღაზას სექტორში გამართულ პრესკონფერენციაზე.

# სასიამოვნო გზავნილი ევროკომისიისგან

## ბუქარესტი და სოფია 2007 წელს იმედის თვალით უყურებენ...

თეა მაისურაძე

სამშაბათს ევროკომისიამ ევროკავშირში ბულგარეთისა და რუმინეთის გაწევრიანების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება ოქტომბრისთვის გადადო. ევროკომისიის აღმასრულებელმა საბჭომ სტრასბურგში ევროპარლამენტისადმი წარდგენილ მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომდევნო თვეების განმავლობაში დააკვირდება ამ ქვეყნებში მიმდინარე რეფორმების ტემპს და ამ მხრივ მიღწეულ პროგრესს. შესაბამისად, ევროკომისია ოქტომბრისათვის უკვე მიიღებს გადაწყვეტილებას მომავალ წელს მათი გაწევრიანების თაობაზე.

როგორც რუმინეთის ელჩი ევროკავშირში ანკა დანიელა ბოაგიუ აღნიშნავს, ევროკავშირის მიერ ამგვარი ნაბიჯი არის კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ 2007 წელს რუმინეთი გაერთიანებას შეუერთდება. რუმინეთის პრემიერ-მინისტრმა კალინ პოპესკუმ ევროკომისიის მოხსენებასთან დაკავშირებით აღნიშნა: **"ეს ყველაზე სასიამოვნო მესიჯია, რაც კი ბუქარესტს ევროგაერთიანებისაგან ოდესმე მიუღია"**.

რუმინეთის დადებითი რეაქცია გამოიწვია ევროკომისიის 16 მაისის გადაწყვეტილებამ ამ ორი ქვეყნისათვის რეკომენდაციის მიცემის თაობაზე, რომლის მიხედვითაც მათი გაწევრიანების წინა პერიოდი 2007 წლამდე გაგრძელდება. საყურადღებოა ისიც, რომ ევროკომისიას შეუძლია ამ ქვეყნებს შესთავაზოს გაწევრიანების თარილის გადავადება 2007 წლის იანვრიდან 2008 წლის იანვრამდე, იმ შემთხვევაში თუ მოსამზადებელი პერიოდი გარკვეული ხარვეზებით ჩაივლის და ეს ქვეყნები ევროკავშირის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს ვერ დააკმაყოფილებენ. თუმცა, როგორც რუმინეთის ელჩმა განუცხადა ევროკავშირის დამკვირვებლებს, **"ევროკომისიის მოხსენება კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ რუმინეთის გაწევრიანების ვადა არის 2007 წლის 1 იანვარი"**.

ევროკომისიის მოხსენებაში გამოთქმულია ასევე გარკვეული შენიშვნები რუმინეთისა და ბულგარეთის მისამართით. რაც შეხება ბუქარესტს, მოხსენებაში აღნიშნულია ის ოთხი სფერო, სადაც რუმინეთს მნიშვნელოვანი ხარვეზები გააჩნია და, შესაბამისად, იქ კიდევ დიდ რეფორმირებას საჭიროებენ. მოხსენებაში მითითებულია, რომ სოფლის მეურნეობის სექტორი რუმინეთში ჯერ კიდევ მძიმე მდგომარეობაშია, სასჯელაღსრულების საკითხები არ არის კარგად მოწესრიგებული, ციხეებში აღარ არის პატიმართა ადგილები და ამისათვის საჭიროა გარკვეული ზომების მიღება. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ქვეყნები ბუქარესტს ჰპირდებიან დახმარებას ახალი ციხეების აშენებასა და პენიტენციური სისტემის უკეთ ორგანიზებაში. ასევე შემაშფოთებელია ტრეფიკინგის შემთხვევათა რაოდენობა პროსტიტუციის მიზნით და მძიმე მდომარეობაა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში. თუმცა ევროკომისიის აზრით, ეს შემთხვევები არ შეიძლება გახდეს ევროკავშირში რუმინეთის გაწევრიანების გადავადების მიზეზი.

რაც შეეხება ბულგარეთს, ევროკავშირის მოთხოვნები მასთან დაკავშირებით შემდეგში მდგომარეობს: ქვეყანაში დანაშაულთან დაკავშირებული საკითხების სისტემატიზაცია და ორგანიზება; თაღლითობასთან და კორუფციასთან ბრძოლის საკითხების მოგვარება და ამასთან დაკავშირებით, სპეციალური კანონის მიღება; ფულის გათეთრებასთან ბრძოლა და სოფლის მეურნეობის სექტორში არსებული პრობლემების მოგვარება.

შენიშვნების მიუხედავად, ოფიციალური ბუქარესტი აღიარებს, რომ პრობლემები მართლაც არსებობს, მაგრამ იქვე დასძენს, რომ ისინი მზად არიან მოქმედებისათვის.

ანკა დანიელა ბოაგიუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუმინეთის ევროკავშირში გაწევრიანების ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც 2005 წელს არის ხელმოწერილი, გაწევრიანების გადავადება შესაძლებელია მხოლოდ 2 შემთხვევაში, ესენია: ქვეყანაში სამართლებრივი და კორუფციული დარღვევები. თუმცა, ამ ეტაპზე უკვე აღნიშნულ სფეროებში ევროკომისიის სამშაბათის მოხსენებამ გარკვეული პროგრესი დაადასტურა: **"ბუქარესტმა სავსებით მდგრადი და კარგი შედეგი აჩვენა სამართლის სფეროს რეფორმირებასთან დაკავშირებით და ჩვენ არაფერი შეგვაჩერებს... ჩვენ ვითანამშრომლებთ ევროკავშირთან და როგორც მათი პარტნიორები, ვეცდებით ამ სფეროში უფრო დიდ პროგრესს მივაღწიოთ... დარწმუნებული ვარ, რომ რუმინელები ამას გააკეთებენ,"** - აღნიშნა რუმინეთის ელჩმა ევროკავშირში.

რაც შეეხება სოფიას, ის იმედოვნებს, რომ მონიტორინგი სამართლიანად ჩატარდება და დადებით შედეგს გამოიღებს. ბულგარეთის ელჩმა ევროკავშირში, მეგლენა კუნევამ უფრო მეტი სიფთხილე გამოიჩინა ბულგარეთის ევროკავშირში გაწევრიანების ვადებზე საუბრისას და თავისი კრიტიკული დამოკიდებულების გამოხატვასაც არ მოერიდა ევროკომისიის მოხსენებასთან დაკავშირებით, სადაც არაერთი კრიტიკაა გამოთქმული ბულგარეთში სამართლებრივ ჰარმონიზაციასა და კორუფციასთან ბრძოლის სფეროში არსებული ხარვეზების გამო.

კუნევა მიიჩნევს, რომ აღნიშნული მოხსენება არ არის ბოლომდე ობიექტური და დახვეწას საჭიროებს. მისი განცხადებით: **"ეს დოკუმენტი მართლაც წარმოადგენს ევროკომისიის მხრიდან გაწევრიანების თარიღის დადასტურებას, თუმცა საბოლოო დასტური სწორედ ბულგარელების მხრიდან უნდა იქნეს მიღწეული"**.

ბულგარეთის წარმომადგენელმა ევროკავშირში, სამშაბათის მოხსენება შემდეგი სიტყვებით დაახასიათა: "სწორხაზოვანი", "მხარდამჭერი" და "გზამკვლევი შემდგომი მოქმედებებისათვის". თუმცა, ამავდროულად, მან ევროკავშირს მოუწოდა დამკვირვებლები გაეგზავნა ბულგარეთის გენერალურ პროკურორთან ბორის ველჩევთან, რათა ისინი სოფიაში გატარებული რეფორმების და ამ მხრივ მიღწეული პროგრესის მოწმენი გამხდარიყვნენ.

ელჩმა გულისწყრომა გამოხატა წინა კვირას ევროკავშირის წევრი ქვეყნების ექსპერტთა მიერ გაკეთებულ მოხსენებებზე, რომლებიც გახდა კომისიის მიერ სამშაბათს მიღებული მოხსენების საფუძველი. მან აღნიშნა, რომ ექსპერტებმა სოფიაში, პრაქტიკულად, მხოლოდ რამოდენიმე დღე დაჰყვეს და მცირე ფაქტების საფუძველზე ბრიუსელში შეიმუშავეს უაღრესად კრიტიკული მოხსენებები. **"მეტად საეჭვოა, როგორ შეიძლება განსაჯო ქვეყანაში არსებული სისტემა მხოლოდ რამოდენიმე დღის დაკვირვების შედეგად"**, მაშინ როცა ექსპერტს სიტუაციის გასაანალიზებლად რამდენიმე კვირა და თვეც კი სჭირდება. ყოველივე ამის მიუხედავად, მეგლენა კუნევამ აღნიშნა, რომ 1 იანვრამდე 227 დღეა დარჩენილი, რაც საკმარისია სიტუაციის გამოსასწორებლად და პროგრესის მისაღწევად.

ბულგარელების მსგავსად გარკვეულ უკმაყოფილებას ზოგიერთი რუმინელი პოლიტიკოსიც გამოხატავს. თუმცა, მათი პროტესტი ეხება იმას, რომ რუმინეთთან შედარებით, ბულგარეთისადმი არსებული უფრო დიდი კრიტიკის მიუხედავად, ბრიუსელში სამშაბათს ორივეს - ბუქარესტსა და სოფიას გაწევრიანების ერთი ვადა დაუდგინეს.

ევროკომისიის სხდომაზე ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენლის აზრით, ეს ორი ქვეყანა შემოდგომის მოხსენებაში ცალ-ცალკე უნდა განიხილონ და შეაფასონ. გაფართოების ევროკომისარმა ოლი რენმა აღნიშნა, რომ ბრიუსელი სოფიასა და ბუქარესტს მათი დამსახურებების მიხედვით განსჯის. მან ასევე დასძინა: **"ჩვენი მიზანია, რომ ბულგარეთი და რუმინეთი ევროპული ქვეყნების კლუბში მივიღოთ 2007 წელს. ამავდროულად, ჩვენი, როგორც ევროგაერთიანების ხელშეკრულებათა დამცველის მოვალეობაა, რომ გაწევრიანების შემთხვევაში ისინი ადვილად შეეგუონ თავიანთ მდგომარეობას"**.

ევროკომისიის ხელმძღვანელმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ აღნიშნა, რომ ორივე ქვეყანას აქვს "შეუსრულებელი მოთხოვნები", რომლებიც უნდა მოგვარდეს არა მარტო იმ შემთხვევაში, თუ ეს ქვეყნები ევროკავშირს 1 იანვარს შეუერთდებიან, არამედ მაშინაც კი, თუ მათი გაწევრიანების საკითხი კიდევ ერთი წლით გადავადდება.

ამრიგად, ევროკომისია ოქტომბერში განიხილავს და შეაფასებს იმას, თუ რამდენად აკმაყოფილებენ ეს ქვეყნები ევროკავშირის მოთხოვნებს, პროგრესის შემთხვევაში ისინი მომავალი წლის დასაწყისშივე ევროკავშირს შეუერთდებიან, თუმცა, ბრიუსელის შენიშვნების გამოუსწორებლობამ და დადებითი შედეგების არარსებობამ, შესაძლოა, მათი გაწევრიანების თარიღი ერთი წლით გადასწიოს. ევროკომისიის ამგვარი გადაწყვეტილება გაფრთხილება იქნება თურქეთის, ხორვატიისა და მაკედონიისათვის, რომლებიც ევროკავშირის წევრობის კანდიდატები არიან და, რომელთაც იგივე გზა უნდა გაიარონ, რაც ბულგარეთმა და რუმინეთმა, იმისათვის, რომ ისინი დიდი ევროპის ნაწილი გახდნენ.

## მოკლედ

### ქართველებს გუდაუთის ბაზაზე არ უშვებენ

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი მანჯგალაძე ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინაში გაკეთებული განცხადების მიხედვით, რუსეთს გუდაუთის ბაზის გაყვანის ვალდებულების შეუსრულებლობაში ადანაშაულებს.

"აფხაზეთში არსებული გუდაუთის რუსული სამხედრო ბაზის საკითხს შესრულებულად და დახურულად არ ვთვლით", - განაცხადა მანჯგალაძემ.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე ხნის წინ, რუსეთის ხელისუფლებამ ამ სამხედრო ბაზაზე არც აფხაზეთში ვიზიტად მყოფი ნატო-ს ასამბლეის დელეგაციის წევრები შეუშვა.

ქართულ-აფხაზურ კონფლიქტის ზონაში მყოფი რუსეთის სამშვიდობო ჯარების სარდლის სერგეი ჩაბანის ინფორმაციით, ამჟამად იქ სამშვიდობო ძალების კუთვნილი 4 თვითმფრინავი და 130 სამხედრო მოსამსახურე იმყოფება.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში კი აცხადებენ, რომ "გუდაუთის სამხედრო ბაზამ, ჯერ კიდევ 5 წლის წინ შეწყვიტა არსებობა. ქართულ მხარეს კი ამ ბაზის ჩაბარება იმ უბრალო მიზეზის გამო არ შეუძლია, რომ მათ იქ აფხაზები არ უშვებენ. არადა, ბაზა სრული შემადგენლობით, სამხედრო ტექნიკითა და პერსონალით ჯერ კიდევ 2001-2002 წლებში დაიცალა". **ჯი ეიჩ ენი**

### სუამი საერთაშორისო ორგანიზაციად ტრანსფორმირდება

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მომავალ კვირას უკრაინას ეწვევა.

როგორც "ინტერპრესნიუსს" პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცნობეს, მიხეილ სააკაშვილი 22-23 მაისს, კიევში დაგეგმილ სუამ-ის სამიტში მიიღებს მონაწილეობას.

წინასწარი ინფორმაციით, კიევის სამიტზე ოფიციალურად გაცხადდება სუამ-ის ტრანსფორმაციის შესახებ. სუამი გარდაიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციად სახელწოდებით "სუამ-ი - დემოკრატიისა და განვითარების ორგანიზაცია". სამიტზე ახალი ორგანიზაციის წესდებისა და ერთობლივი დეკლარაციის გაფორმებაც იგეგმება.

"სუამ-ი - დემოკრატიისა და განვითარების ორგანიზაცია" შტაბ-ბინით კიევში განთავსდება. სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია სუამ-ი საქართველომ, უკრაინამ, აზერბაიჯანმა და მოლდოვამ 1997 წლის 10 ოქტომბერს შექმნეს.

1999 წლიდან გაერთიანებას უზბეკეთი შეუერთდა და ორგანიზაციის სახელწოდება სუუამ-ი გახდა. უზბეკეთმა ორგანიზაცია 2005 წლის აპრილში დატოვა. დემარშის ოფიციალურ მიზეზად გაერთიანების ზედმეტი პოლიტიზირება და ეკონომიკური მხარის რეალიზაციის შესაძლებლობის არარსებობა დასახელდა. **ინტერპრესნიუსი**

### "მომავლის გასაღების" წინააღმდეგობები

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის სამშვიდობო გეგმა "მომავლის გასაღები" წინააღმდეგობრივი დოკუმენტია, - ამის შესახებ გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში ჟურნალისტებს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ განუცხადა.

მინისტრის თქმით, იგი გაეცნო სერგეი ბაგაფშის მიერ შემუშავებულ კონფლიქტის დარეგულირების გეგმას, რომელიც აფხაზურმა მხარემ ქართულს 15 მაისს საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე გადასცა. "წარმოდგენილ გეგმაში არის მუხლები, რომლითაც აფხაზური მხარე თავის თავს ეწინააღმდეგება, თუმცა არის მისაღები დებულებებიც", - აღნიშნა ხაინდრავამ.

ქართული მხარისთვის მიუღებელია და ის არ განიხილავს "მომავლის გასაღებში" ჩადებულ აფხაზეთის დამოუკიდებლობის პრინციპს. როგორც სახელმწიფო მინისტრმა განაცხადა, ქართულმა მხარემ დაასრულა სამშვიდობო გეგმაზე - "საგზაო რუკაზე" მუშაობა და ეროვნული უშიშროების საბჭოში პოზიციების შეჯერების შემდეგ, საქართველოს მთავრობა ერთიანი სამოქმედო გეგმით წარდგება.

ხაინდრავას თქმით, კონფლიქტების დარეგულირების შესახებ აუცილებელია რუსეთთან დიალოგის ახალი ეტაპის დაწყებაც. გიორგი ხაინდრავამ ასევე ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების ფორმატში მოქმედი შერეული საკონტროლო კომისიის მუშაობა შეაფასა და განაცხადა, რომ ის სექტას დაემსგავსა. მისი თქმით, საჭიროა ამ ფორმატის ინტერნაციონალიზაცია. **ინტერპრესნიუსი**

### ტერაქტი ინგუშეთში

ინგუშეთში გუშინ განხორციელებული ტერაქტის შედეგად რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ჯაბრაილ კოსტოევი დაიღუპა. აფეთქების შედეგად კიდევ 6 ადამიანი გარდაიცვალა.

ინგუშეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ნაზირ ევლოევის ინფორმაციით, აფეთქება დღეს, დაახლოებით 08.00 საათზე ნასირ-კოსევსკის მუნიციპალურ ოლქში მოხდა. ტერაქტი იმ დროს განხორციელდა, როდესაც კოსტოევის კორტეჟმა "ვაზ"-ის ტიპის ავტომანქანას ჩაუარა, რომელშიც ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო ჩამონტაჟებული.

აფეთქება საკმაოდ ძლიერი იყო. კოსტოევთან ერთად, დაიღუპა მისი დაცვის ორი წევრი. ჯაბრაილ კოსტოევის ალმოკიდებული ჯიპი კიდევ ერთ ავტომანქანას დაეჯახა, რომელშიც 4 ადამიანი იმყოფებოდა. სპეციალისტთა შეფასებით, ასაფეთქებელი ნივთიერების სიმძლავრე 100 კგ. ტროტილის ეკვივალენტური იყო.

ინგუშეთის პროკურორის მახმუდალი კალიმატოვის განცხადებით, გამოძიება მომხდართან დაკავშირებით, ერთადერთ ვერსიაზე მუშაობს, რომელიც კოსტოევის პროფესიონალურ საქმიანობას უკავშირდება.

მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე ტერორიზმის მუხლითაა აღძრული. სააგენტო "იტარ-ტასის" ინფორმაციით, 2005 წელს კოსტოევზე თავდასხმა ორჯერ განხორციელდა. **ინტერპრესნიუსი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

# არაფრის მომცემი კონფრონტაცია ნატო-სთან

პირველი გვერდიდან

ჩვენი პოზიცია მარტივი და გასაგებია: გაწევრიანდით, მაგრამ ამით არ შექმნათ დაძაბულობა ჩვენს საზღვართან. უკრაინა-საქართველოსა და ნატო-ზე მსჯელობისას უნდა გვახსოვდეს, რომ ერთ დროს თავად ნატო-ელებმა შექმნეს კრიტერიუმები, რომელთაც ნატო-ში გაწევრიანების მსურველი ქვეყანა და მისი შეიარაღებული ძალები უნდა აკმაყოფილებდეს. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ მეჩვენება, რომ დღეს ამ კრიტერიუმების არსებობას აღარავინ იმჩნევს. მაშინ, როცა მათგან ერთ-ერთია - კონფლიქტური სიტუაციის არარსებობა ქვეყნის ტერიტორიაზე. საქართველოში დღეს არა უბრალოდ კონფლიქტური სიტუაციაა, არამედ, ფაქტობრივად, დარღვეულია ქვეყნის მთლიანობა. ცალკეა - აფხაზეთი, ცალკეა - სამხრეთ ოსეთი. მართალია, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ბატონი ოქრუაშვილი ირწმუნება, რომ 2007 წლის დადგომას ცხინვალში შეხვდება - შეიძლება, შეხვდეს კიდეც, თუ ძალით შევა იქ, მაგრამ დიდხანს დარჩება იქ 1 იანვრის შემდეგ? რადგანაც ეს, ფაქტობრივად, სამხრეთ ოსეთის ხალხთან ომს ნიშნავს, ხოლო მოვლენების ასეთი განვითარება უაღრესად არასასურველია. გარდა ამისა, ნატო-ში გაწევრიანების ერთ-ერთ პირობად ითვლებოდა თითოეულ კონკრეტულ ქვეყანაში რეფერენდუმის ჩატარება. დღეს ამის შესახებ უკვე აღარ ლაპარაკობენ. თითქოს, რეფერენდუმი სულაც არ არის საჭირო. თითქოს, მხოლოდ მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას და ეს საკმარისია.

**- უკანასკნელ დროს კონფრონტაციული ნოტები შეიმჩნევა ნატო-ს ახალი წევრების გეგმებთან დაკავშირებითაც. კერძოდ, საუბარია ბალტიისპირეთისა და ბალკანეთის ქვეყნების სურვილზე, თავიანთ ტერიტორიაზე განათავსონ უცხოური სამხედრო კონტინგენტი. მოსკოვში ლაპარაკობენ შესაძლო საპასუხო ზომებზე. ხომ ვერ აგვიხსნით, საერთოდ რა ხდება?**

- მაინც, როგორ საპასუხო სამხედრო ზომებს მოელით? რა, საზღვარზე უნდა დავდგეთ? დღეს არ არსებობს უშუალოდ საზღვარზე არანაირი დამატებითი ძალების განთავსების აუცილებლობა.

სხვათა შორის, ამას არც ნატო აკეთებს და არც ჩვენ ვაპირებთ. კონფრონტაციაზე წასვლა სამხედრო თვალსაზრისით არაფრის მომცემია. პირიქით, საჭიროა ურთიერთშეხების წერტილების მოძებნა. მარტივი არითმეტიკაა: დღეს, მშვიდობიან პერიოდში ნატო-ს შეიარაღებული ძალების რიცხოვნობა 4,5 მლნ ჯარისკაცს შეადგენს. რა, ჩვენი არმიაც 4,5 მლნ-მდე უნდა გავზარდოთ, რომ რიცხოვნობით ადეკვატური იყოს? რასაკვირველია, არა. არც ამის აუცილებლობა არსებობს.

ჩვენ გვიჩნდება შეკითხვები ნატო-ელ კოლეგებთან. მაგალითად, ჩემთვის გაუგებარია, რატომ გვეუბნებიან, რომ დნესტრისპირეთიდან ის რამდენიმე ასეული სამხედრო გავიყვანოთ, რომელიც, პირველ რიგში, სამშვიდობო მისიას ასრულებს და, ამავდროულად, იარაღის საცავებს იცავს (შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მათი გამოყვანა არ შეგვიძლია, და სამხედრო ქონების გატანაზე არც დნესტრისპირეთი თანხმდება). მაშინ, როცა ფორმდება შეთანხმება ბულგარეთსა და რუმინეთში არა რამდენიმე ასეული, არამედ მინიმუმ 2,5 ათასი სამხედრო მოსამსახურის განთავსების შესახებ (აშშ-ს არმიის მოსამსახურეთა - რედ.). უფრო მეტიც, ახლახან ბულგარეთთან დადებული შეთანხმება ქვეყნის ტერიტორიაზე ერთდროულად ხუთი ათასი უცხოელი ჯარისკაცის ყოფნას ითვალისწინებს.

**- 1997 წელს გაჩნდა ფორმულირება "მნიშვნელოვანი შეიარაღებული ძალების არგანთავსება". იმ დროს, ნატო-ში პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხეთის მიწვევის წინ, რუსეთის იმჟამინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი პრიმაკოვი და ნატო-ს იმჟამინდელი გენერალური მდივანი ხავიერ სოლანა მართავდნენ მოლაპარაკებებს ნატო-რუსეთის ურთიერთობების პრინციპების შესახებ. ნუთუ მაშინ ასეთი საკითხები ბოლომდე არ იყო შეთანხმებული?**

- დღემდე ჩვენ საერთო განსაზღვრებამდე მისვლა ვერ შევძელით. ანუ დღემდე ვერ მოხერხდა "მნიშვნელოვანი შეიარაღებული ძალების" რიცხობრივი შემადგენლობის განსაზღვრა.

**- ახლახან ნატო-ს სამხედრო სპეციალისტებმა წარმოადგინეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ახალი სისტემის ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშება. თავისთავად, იგი არ მოიცავს რუსეთს, მაგრამ რა სახის თანამშრომლობა იგეგმება ამ სფეროში?**

- ოქტომბერში რუსეთი და ნატო მართავენ ერთობლივ წვრთნებს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვაში. მე შევხვდი ნატო-ს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე რეემ ჰენოლტს და შევათანხმე მისი რუსეთში ვიზიტის დეტალები. ეს ვიზიტი დაემთხვევა წვრთნების დაწყებას და ჩვენ ერთად გავხსნით ამ სწავლებას. ეს თანამშრომლობის ერთ-ერთი მიმართულებაა, სადაც ჩვენ მართლაც ვხედავთ კონკრეტულ შედეგებს, რომელიც ხელს აძლევს ორივე მხარეს - რუსეთსაც და ნატო-საც. მთლიანობაში ჩვენ საკმაოდ კარგად ვთანამშრომლობთ 26+1 ფორმატში. სხვათა შორის, (ნატო-რუსეთის) საბჭოს ამჟამინდელ სხდომაზე ლატვიელმა კოლეგამ საკმაოდ საქმიანი წინადადება წამოაყენა. იგი ჩვენს შეხედულებებს მთლიანად ემთხვევა. მიმაჩნია, რომ აუცილებელია ურთიერთშეხების წერტილების პოვნა. ისინი ნამდვილად არსებობენ. იგივე ვითარებაა უკრაინასთან. უკრაინელმა კოლეგამ ოფიციალური ვიზიტით მიმიწვია თავის ქვეყანაში, თუმცა, ჯერ-ჯერობით დრო ვერ გამოვნახე...



რუსეთს უჩნდება შეკითხვები ნატო-ელ კოლეგებთან.

# მშვიდობით, რუსო ჯარისკაცებო!

პირველი გვერდიდან

თუმცა, გამარჯვება ხშირად ძვირი ჯდება. მოსკოვმა, რომელიც თანდათან კარგავს გავლენას ამიერკავკასიაში, საქართველოს ამ წარმატებას ეკონომიკური ბლოკადით უპასუხა. უკვე რამდენიმე კვირაა რუსეთმა საკუთარ ტერიტორიაზე ქართული ღვინისა და ცნობილი მინერალური წყლის "ბორჯომის" შეტანა აკრძალა. სწორედ ამ პროდუქტებით შემოიფარგლებოდა საქართველოს მონაწილეობა რუსეთის ბაზარზე.

ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის. საქართველო რუსეთიდან შემოტანილ გაზსა და ელექტროენერგიაზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, სავსებით მოსალოდნელია, რომ ზამთარში ქართველები სიცივით გაიყინონ. რა შეიძლება მოჰყვეს კრემლის რისხვას, ქართველებმა გასულ ზამთარს საკუთარ თავზე უკვე გამოსცადეს. გასული წლის დეკემბერში "უცნობებმა" რუსეთის ტერიტორიიდან სამხრეთისკენ მიმართული გაზსადენი და ელექტროგადაცემის ხაზები ააფეთქეს. თბილისი სიბნელეში ჩაიძირა. სასოწარკვეთილი მოსახლეობა იძულებული გახდა საკუთარი სახლები შეშის ღუმელებითა და კუსტარული გამათბობლებით გაეთბო.

რუსეთთან კონფლიქტს შეუძლია ძალიან გაურთულოს საქმე საქართველოს პრეზიდენტს, რომელსაც უამისოდაც ბევრი საზრუნავი აქვს. თბილისში სულ უფრო ხშირია ანტისაპრეზიდენტო გამოსვლები. ოპოზიციური პარტიები კი პარლამენტის სხდომების ბოიკოტირებას განაგრძობენ, იმ მოტივით, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი დემოკრატი მმართველიდან დიქტატორად გარდაქმნას იწყებს.

როგორც ჩანს, სააკაშვილი მიიჩნევს, რომ ქვეყნის შიგნით მარცხის კომპენსირებას საერთაშორისო არენაზე მიღწეული წარმატებებით შეძლებს. აქ მას მართლაც შეუძლია დაიკვეხნოს. ნატო-ს მაღალჩინოსნები უკვე ღიად აღიარებენ, რომ ალიანსში საქართველოს გაწევრიანება მხოლოდ დროის საკითხია; შეერთებული შტატები კი საქართველოს რეგიონში ყველაზე მნიშვნელოვან მოკავშირედ მიიჩნევენ. საკმაოდ კარგად ვითარდება საქართველოსა და უკრაინის სტრატეგიული პარტნიორობაც. გამორიცხული არ არის, ორივე ქვეყანამ ერთად გადაწყვიტოს პრომოსკოვური დსთ-დან გამოსვლა.

ამჯერად სააკაშვილი ცდილობს რუსები აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდანაც წავიდნენ. ეს ორი რესპუბლიკა საქართველოს ჯერ კიდევ 90-იან წლებში გამოეყო. პრეზიდენტი ნატრობს, რომ რუსების ნაცვლად, რომლებიც ღიად მხარს უჭერენ სეპარატისტულ რეჟიმებს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საერთაშორისო ძალები მოვიდნენ. ეს ათასობით დევნილისთვის საკუთარ სახლებში ეტაპობრივი დაბრუნების შანსი იქნებოდა, საქართველო კი თანდათანობით აღადგენდა კონტროლს ამ რესპუბლიკებზე.

თუკი სააკაშვილს ეს გამოუვა, მაშინ მისი თანამემამულეები ყველა შეცდომას აპატიებენ.

# რუსეთი დასავლეთის გადარწმუნებას შეეცდება

რუსეთი დასავლეთის ბრალდებებს უარყოფს და "დიდი რვიანის" სამიტზე იმის დამტკიცებას აპირებს, რომ ევროპის შანტაჟს არ ეწევა და კვლავ მისი საიმედო პარტნიორია. სამიტზე დსთ-ს წევრ-სახელმწიფოთა მეთაურებს არ ეპატიჟებიან.

სამიტს დსთ-ს ამჟამინდელი მეთაურის სტატუსით მხოლოდ ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულტან ნაზარბაევი დაესწრება. ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა "დიდ რვიანში" იგორ შუვალოვმა განაცხადა. სამიტს, რომელიც ივლისში სანკტ-პეტერბურგში გაიმართება, თავმჯდომარე-ქვეყნის სტატუსით რუსეთი უმასპინძლებს. "დიდი რვიანის" წევრების გარდა, რუსეთმა სამიტზე ინდოეთის, ჩინეთის, სამხრეთ აფრიკის, მექსიკისა და ბრაზილიის ლიდერები მოიწვია.

სამიტის შესაძლო შედეგების კომენტირებისას, შუვალოვმა გამოთქვა იმედი, რომ "სიტუაციის გარდატეხა" მოხდება და დასავლეთის ქვეყნები რუსეთს ნეგატიურად აღარ აღიქვამენ.

მისი თქმით, რუსეთის მიზანია დასავლეთის მიერ "**რუსეთი ისე იქნას აღქმული, როგორც რთული პარტნიორი, რომელიც საბოლოო ჯამში იზიარებს დასავლეთის ყველა ღირებულებას. ჩვენ მართლაც ვიზიარებთ დასავლეთის ღირებულებებს, მაგრამ დანაშაულად მიგვაჩნია დუმილი ზოგიერთ საკითხზე და საერთაშორისო საზოგადოება უნდა დავარწმუნოთ, რომ ჩვენ ვიცით, რა არის უკეთესი**".

კერძოდ, მისი თქმით,. რუსეთი აპირებს "დაამსხვრიოს მითი" იმის შეახებ , რომ რუსეთი ევროპის ენერგორესურსებით შანტაჟს ცდილობს.

**"ის, რაც რეალურად ხდება რუსეთში და ის საინფორმაციო ველი, რომელიც რუსეთის გარშემო შეიქმნა, ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. ვფიქრობ, ლიდერებს ამ სიტუაციის შეცვლა ორმხრივი მოლაპარაკებების გზით შეუძლიათ. რუსეთი სინამდვილეში საკვანძო და ყველაზე საიმედო ენერგოპარტნიორია,"** - აცხადებს შუვალოვი.

*24 საათი*

# დენის გაძვირების მიზეზებს უმრავლესობა "ჩუმად" არკვევს

პირველი გვერდიდან

რომ ელექტროენერგიის გაძვირების ობიექტური აუცილებლობა არ არსებობდა და ამ გადაწყვეტილებით მთავრობის ცალკეული წევრები ითბობენ ხელს.

ასეთი ბრალდების გაბათილება ხელისუფლების ინტერესებში შედის. ამდენად, სავსებით ბუნებრივი იყო ორშაბათს, პარლამენტის ბიუროს სხდომაზე ნინო ბურჯანაძის მიერ გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ **"მოსამზადებელი და მოსახლეობამდე მისატანია ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რატომ გაძვირდა დენი".**

**"ეს საკითხი არ უნდა გახდეს პოლიტიკური სპეკულაციების საგანი",** - ითხოვდა პარლამენტის სპიკერი.

ალბათ, ამ კონტექსტში მოიაზრებოდა ნინო ბურჯანაძისა და საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეების გუშინდელი შეხვედრა სათბობენერგეტიკის მინისტრთან ნიკა გილაურთან და სემეკ-ის თავმჯდომარესთან გიორგი თავაძესთან. მაგრამ გაუგებრობები იმით დაიწყო, რომ აღნიშნულ შეხვედრაზე მასმედია არ დაასწრეს (მაშინ, ვინ უნდა მიიტანოს მოსახლეობამდე "ზუსტი ინფორმაცია"?).

გასაგებია, რომ არსებობს თემები, რომელთა საჯარო განხილვა დაუშვებულია და მათზე მსჯელობა დახურულ კარს მიღმა უნდა მიმდინარეობდეს. მაგალითად, როდესაც საუბარია სამხედრო ან სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციაზე, ან ისეთ მასალებსა და დოკუმენტაციაზე, რომელთა გამომზეურებამ ეთნიკური ან რელიგიური შუღლის გაღვივებას შეიძლება შეუწყოს ხელი. ამ შემთხვევაში, არც ერთ ჟურნალისტს არ მოუბრუნდება ენა, გინდათ თუ არა, ასეთ შეკრებაზე დამასწარითო. მაგრამ სავსებით აუხსნელია, რატომ უხურავენ მასმედიას ცხვირწინ კარს, როდესაც საქმე ეხება ისეთ მიწიერ და ჩვეულებრივ მოვლენას, როგორიც ელექტროენერგიის საფასურის გაძვირებაა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წესით, პირიქით უნდა ხდებოდეს: ხელისუფლება თავად უნდა იყოს დაინტერესებული, რომ მავანმა და მავანმა დენის გაძვირებას კუდი არ გამოაბას და ამ ხელისუფლების იმიჯი უსაფუძვლოდ არ შეილახოს...

ისე, გუშინდელი შემთხვევა სულაც არ არის გამონაკლისი. არადა, ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" წესდების მე-4 მუხლის მეორე პუნქტში წერია: "ფრაქციის სხდომა, როგორც წესი, ღიაა. ფრაქციის სხდომა, ფრაქციის სრული შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით, შეიძლება დაიხუროს". ეს "შეიძლება" კი პრაქტიკაში ფრაქციის ღია სხდომას უფრო მიესადაგება - "შეიძლება ფრაქციის სხდომა ღიაც იყოს."

დავუბრუნდეთ გუშინდელ შეხვედრას. ძნელი სათქმელია, რამდენად გულწრფელი იყო ოპოზიცია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მან გამოთქვა სურვილი, რომ ბოიკოტი დროებით შეეწყვიტა და გილაურთან და თავაძესთან შეხვედრას დასწრებოდა. მაგრამ ოპოზიციონერ დეპუტატებს ამის შესაძლებლობა არ მიეცათ - შეკრება "კომიტეტის თავმჯდომარეებთან შეხვედრის" ფორმატით ტარდებოდა, ოპოზიციონერ პარლამენტართაგან კი ასეთი სტატუსი არავის აქვს.

თუ პარლამენტის ხელმძღვანელობას სურდა, რომ ოპოზიციას "ფიცი გაეტეხა" და ბოიკოტი თუნდაც დროებით შეეწყვიტა, გუშინ მას ამის მშვენიერი შანსი ჰქონდა: გილაურთან და თავაძესთან შეხვედრა ბიუროს სხდომის ფორმატში რომ ჩატარებულიყო, მაშინ ოპოზიციური ფრაქციების ხელმღვანელებს მასზე დასწრების უფლება ექნებოდათ და ბურჯანაძის მიმართ საყვედურებსაც ველარ გამოთქვამდნენ.

**"თუ ოპოზიცია შეხვედრაში მონაწილეობას აპირებდა, შეეძლო, ჩემთვის მოემართა და მაშინ შეხვედრის ფორმატის შეცვლაზე ვიფიქრებდით, მაგრამ ასეთი რამ არ მომხდარა",** - იქით დაადანაშაულა ბურჯანაძემ პოლიტიკური ოპონენტები.

და მაინც, რჩება შთაბეჭდილება, რომ უმრავლესობას სურდა, დენის გაძვირების მიზეზებზე "გაუფილტრავი" ინფორმაცია არც მედიას მიეღო და არც ოპოზიციას. ამიტომაც დაიხურა შეხვედრა და შეირჩა შესაბამისი ფორმატი.




# ბირთვული ენერგეტიკის საკითხი დიდი ბრიტანეთის დღის წესრიგში ექცევა

დიდ ბრიტანეთში ახალი თაობის ატომური ელექტროსადგურის მშენებლობას მხარს ქვეყნის პრემიერ-მინისტრიც უჭერს. ამასთან დაკავშირებით მხარდაჭერა ტონი ბლერმა ბრიტანეთის მეწარმეების კონფედერაციის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ ოფიციალურ ვახშამზე გამოხატა.

"ვითარება შეიძლება იმგვარად შეიცვალოს, რომ საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის 80-90 პროცენტით ბუნებრივი გაზით უზრუნველყოფის ნაცვლად, ამდენივე პროცენტით შესაძლოა, დამოკიდებულნი გავხდეთ ენერგოიმპორტზე. ენერგოიმპორტის განხორციელება კი პირველ რიგში, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, აფრიკიდან და რუსეთიდან მოგვიხდება", - განაცხადა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა.

ენერგოდამოკიდებულების თავიდან აცილების გარდა, როგორც ბლერმა აღნიშნა, ასევე მნიშვნელოვანია ატმოსფეროს დაბინძურების შემცირებაც.

პრემიერ-მინისტრის თქმით, იგი უკვე გაეცნო ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ მომზადებულ ანგარიშს, რომელიც საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი მიმდინარე წლის ივლისის ბოლოს გახდება. თუმცა, ანგარიშის არსებობას არ ადასტურებს დიდი ბრიტანეთის ვაჭრობისა და მეწარმეობის სამინისტროს წარმომადგენელი. მისი თქმით, ასეთი ანგარიში ჯერ არ მომზადებულა და როგორც ჩანს პრემიერ-მინისტრი თავის განცხადებაში ენერგეტიკის მინისტრის მალკოლმ უიქსის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას დაეყრდნო.

დაუსაბუთებლად ხმაურიანი განცხადებები ტონი ბლერს არც სხვებმა მოუწონეს. სტაბილური განვითარების კომისიის ხელმძღვანელის ლორდ პორიტის თქმით, ენერგეტიკული სტრატეგიის შესახებ ანგარიშზე წინასწარი განცხადებები მთავრობის რენომეზე აუცილებლად უარყოფითად იმოქმედებს. ამავე კომისიის მიერ მომზადებულ ანგარიშში კი ნთქვამია, რომ ბირთვული ენერგეტიკა გლობალური დათბობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს ვერაფერს შეჰმატებს და ვერც დიდი ბრიტანეთის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

პრემიერ-მინისტრის სიტყვებმა ეკოლოგიური ორგანიზაციის გაღიზიანებაც გამოიწვია. საქველმოქმედო ორგანიზაციის "დედამიწის მეგობრების" წევრებმა ბლერი სახიფათო იდეის პროპაგანდაში დაადანაშაულეს.

ამჟამად დიდ ბრიტანეთში 23 კომერციული ბირთვული რეაქტორი მოქმედებს, რომლებიც ელექტროენერგიაზე არსებული მოთხოვნის 25 პროცენტს აკმაყოფილებენ.

*ბი-ბი-სი*

# ცნობილი სპორტსმენის ახალი სტატუსი - ბრალდებული

27 წლის მალხაზ ჯაფარიძის მკვლელობაში ეჭვმიტანილს, ძიუდოისტ დავით მარგოშვილს ახმეტის რაიონში ბრალი ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-ტარების მუხლით წაუყენეს.

როგორც ცნობილია, თბილისში, სტუდქალაქის ტერიტორიაზე მომხდარი მკვლელობის ღამეს, დავით მარგოშვილი სამართალდამცველებმა პანკისის ხეობაში მიმავალ გზაზე დააკავეს და ცეცხლსასროლი იარაღიც მაშინ აღმოუჩინეს. კახეთის შსს-ს მთავარი სამმართველოს თანამშრომლების ინფორმაციით, მარგოშვილმა დანაშაული აღიარა. ბრალის წარდგენის შემდეგ პროკურატურა რაიონის სასამართლოს შუამდგომლობით მიმართავს და ბრალდებულისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების შაუმდგომლობას დააყენებს. სავარაუდოდ, სასამართლო მარგოშვილს დღეს, ორთვიან წინასწარ პატიმორბას შეუფარდებს.

მანამდე კი, თბილისში ბალისტიკურ ექსპერტიზაზე გაიგზავნა მარგოშვილის იარაღი. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ ჯაფარიძის მკვლელობა აღნიშნული იარაღით მოხდა, მაშინ ძიუდოისტს ბრალს განზრახ მკვლელობისთვისაც წარუდგენენ. საბოლოოდ კი, ორივე გაერთიანებულ საქმეს თბილისის პოლიციის მკვლელობების დეპარტამენტი გამოიძიებს.


დავით მარგოშვილს დღეს პატიმრობას შეუფარდებენ.

დავით მარგოშვილის ადვოკატი, რომელიც ცნობილი სპორტსმენის მშობლებმა თბილისიდან ახმეტაში ჩაიყვანეს, ამ ეტაპზე კომენტარისგან თავს იკავებს. თუმცა, მოჭიდავის ნათესავები ირწმუნებიან, რომ მარგოშვილი ჯაფარიძეს არ მოკლავდა, რადგან, გარდაცვლილი მისი ნათლია იყო და ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. ახლობლების აზრით, ყველაფერი შესაძლოა აფექტის მდგომარეობაში მოხდა.

თვითმხილველთა თქმით, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლას მართლაც უძლოდა შელაპარაკება. შელაპარაკებისას დაჭრილი მალხაზ ჯაფარიძე თბილისის მე-9 საავადმყოფოში გადაიყვანისას გზაში გარდაიცვალა. იგი მუხლში მიყენებული ჭრილობის გამო, სისხლის დენისგან რამდენიმე წუთში დაიღუპა.

ძიუდოისტ დავით მარგოშვილის კოლეგები მომხდარით გაოცებულები არიან. ისინი მარგოშვილს დადებით პიროვნებად და უძლიერეს სპორტსმენად ახასიათებენ. მარგოშვილმა 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე მე-5 ადგილი მოიპოვა, რაც საკმაოდ სერიოზული შედეგია. იგი 66 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა და გუნდურ ჩათვლაში მსოფლიოს პრიზიორია. გარდა ამისა, დავით მარგოშვილი გუნდურ ჩათვლაში ევროპის ორგზის ჩემპიონია.

*24 საათი*

# საპატრულო პოლიცია სარეკლამო აგენტის ფუნქციით

*"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" და "საიმპიჩმენტო პროცედურათა ინიციაციის ცენტრი" აცხადებენ, რომ საპატრულო პოლიციის ავტომანქანების სანომრე ნიშნის ადგილზე კომპანია "ჯეოსელის" რეკლამის განთავსება კანონდარღვევაა. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კომპანია "ჯეოსელი" კანონს არღვევს - კანონდამრღვევი შინაგან საქმეთა სამინისტროა.*

საია-მ და "საიმპიჩმენტო პროცედურათა ინიციაციის ცენტრმა" მოიპოვა შპს "ჯეოსელსა" და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც 2004 წლის 24 დეკემბერსაა დადებული. აღნიშნული ხელშეკრულების მოპოვებას ორგანიზაციები 6 თვის განმავლობაში ცდილობდნენ.

ხელშეკრულების მიხედვით, კომპანია "ჯეოსელი" შსს-ს უსასყიდლოდ გადასცემს 2 ათას 500 "სიმ-ბარათს" და 600 "სიმ-ბარათზე" გამოუყოფს თვეში 20 ლარის უფასო სასაუბრო დროს. ამის სანაცვლოდ, შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, კომპანია "ჯეოსელის" სახელწოდებას ან სასაქონლო ნიშანს საპატრულო ავტომობილებზე განათავსებს. ამასთანავე, ხელშეკრულების თანახმად, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ვალდებულია "არ ისარგებლოს კომპანიის კონკურენტი საწარმოს მომსახურეობით ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში".

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" და "საიმპიჩმენტო პროცედურათა ინიციაციის ცენტრი" მიიჩნევს, რომ აღნიშნული ხელშეკრულებით უხეშად ირღვევა საქართველოს კანონმდებლობა.

**"შინგან საქმეთა სამინისტრომ პირდაპირ დაარღვია კონსტიტუციის 30-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას.**

**გაფორმებული ხელშეკრულებით შსს-მ ყოველგვარი კონკურენციის გარეშე უპირატესობა მიანიჭა კომპანია "ჯეოსელს" და ყოველგვარი ტენდერისა და ფასთა კვოტირების გარეშე გააფორმა "კორპორაციული" ხელშეკრულება. არადა, საპატრულო პოლიციას არ შეიძლება ჰქონდეს კორპორაციული ინტერესი, რადგან ის სამართალდამცველ ორგანოს წარმოადგენს"**, - აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და განმარტავენ, რომ ამ ხელშეკრულებით "ჯეოსელს" კანონი არ დაურღვევია.

**"თუმცა, შეიძლება ვისაუბროთ კომპანიის არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებაზე, რადგან, აღნიშნული ხელშეკრულებით, "ჯეოსელი", როგორც კავშირგაბმულობის კომპანია, აღმოჩნდა პრივილეგირებულ მდგომარეობაში სხვა სატელეფონო კომპანიებთან შედარებით"**, - განაცხადა "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელმა ბესო აბაშიძემ.

არასამთავრობოების ინფორმაციით, აღნიშნული ხელშეკრულებით, ასევე, დაირღვა საქართველოს "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" 122-ე მუხლი. ამ მუხლის მიხედვით, "სატრანსპორტო საშუალების მართვა სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე, ან სხვისი, ან შენიღბული, ან სხვაგვარად შეცვლილი სახელმწიფო სანომრე ნიშნით გამოიწვევს ჯარიმას 50 ლარის ოდენობით".

**"ხელშეკრულებით ირღვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლიც. ამ მუხლის მიხედვით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება ერთ პირთან მოლაპარაკების გზით დაუშვებელია, მაშინ, როდესაც საქმე ეხება 20 000 ლარზე მეტ თანხას"**, - აცხადებენ ახალგაზრდა იურისტები და დასძენენ: **"უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ერთწლიანი ხელშეკრულება, რომლის ვადაც 2005 წლის 24 დეკემბერს ამოიწურა, გაგრძელებული არ არის".** არადა, საპატრულო პოლიცია "სარეკლამო აგენტობას" კვლავ აგრძელებს.

როგორც "საიმპიჩმენტო პროცედურათა ინიციაციის ცენტრის" წარმომადგენელი გიორგი მკურნალიძე აცხადებს, საპატრულო პოლიციის ავტომანქანები პრივილეგიით სარგებლობენ, რაც იმაში გამოიხატება, რომ მათ ერთი სანომრე ნიშანი აქვთ, მეორე კი სარეკლამო აბრაა.

**"ეს სახელმწიფო პროვინციალიზმია, ამგვარი რამ არ ხდება მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში. ჩვენ საპატრულო პოლიციას არ ვებრძვით, პირიქით, ეს სამსახური ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მონაპოვარია. თუმცა, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული სამსახურის მუშაობა დასახვეწია"**, - აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" და "საიმპიჩმენტო პროცედურათა ინიციაციის ცენტრი" შინაგან საქმეთა სამინისტროს მოუწოდებენ, დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა და დაუყოვნებლივ ჩამოხსნას კომპანია "ჯეოსელის" რეკლამა საპატრულო პოლიციის ავტომობილებიდან. ამასთან, სამინისტრომ კანონით გათვალისწინებული ზომები უნდა მიიღოს იმ პირთა მიმართ, რომლებმაც საქართველოს კანონმდებლობა დაარღვიეს.

*24 საათი*

# ინგუშეთის შს მინისტრის პირველი მოადგილე ააფეთქეს

ინგუშეთში მომხდარი ტერაქტის შედეგად რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ჯაბრაილ კოსტოევი დაიღუპა. აფეთქების შედეგად სულ ექვსი ადამიანი გარდაიცვალა. ინგუშეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ნაზირ ევლოევის ინფორმაციით, აფეთქება ნასირკოსევსკის მუნიციპალურ ოლქში მოხდა. ტერაქტი იმ დროს განხორციელდა, როდესაც კოსტოევის კორტეჟმა "ვაზ"-ის ტიპის ანტომანქანას ჩაუარა, რომელშიც ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო ჩამონტაჟებული.

აფეთქება საკმაოდ ძლიერი იყო. კოსტოევთან ერთად, დაიღუპა მისი დაცვის ორი წევრი. ჯაბრაილ კოსტოევის ალმოკიდებული ჯიპი კიდევ ერთ ავტომანქანას დაეჯახა, რომელშიც 4 ადამიანი იმყოფებოდა. სპეციალისტთა შეფასებით, აფეთქების სიმძლავრე 100 კგ "ტროტილის" აფეთქების ეკვივალენტური იყო. ინგუშეთის პროკურორის მახმუდ-ალი კალიმატოვის განცხადებით, გამოძიება ერთადერთ ვერსიაზე მუშაობს, რომელიც კოსტოევის პროფესიონალურ საქმიანობას უკავშირდება.

მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე ტერორიზმის მუხლითაა აღძრული. სააგენტო "იტარ-ტასის" ინფორმაციით, 2005 წელს კოსტოევზე თავდასხმა ორჯერ განხორციელდა.

*24 საათი*

# თვითმკვლელობის მიზეზი - პედაგოგები

14 წლის სალომე გიორგაძის თვითმკვლელობამდე მიყვანაში სკოლის პედკოლექტივს ადანაშაულებენ. ეს ინფორმაცია გუშინ აღმოჩენილი წერილის შემდეგ გახდა ცნობილი. გარდაცვლილის ახლობლების მტკიცებით, აღნიშნული წერილი სალომე გიორგაძემ თვითმკვლელობამდე ნახევარი საათით ადრე დაწერა.

როგორც წერილშია ნათქვამი, მასწავლებლები სალომე გიორგაძის გრძნობებზე ხშირად ჭორაობდნენ და მას "სიცოცხლის უფლებას არ აძლევდნენ".

გავრცელებული ინფორმაციით, სალომე გიორგაძეს იმავე სკოლაში მე-9 კლასელი ბიჭი უყვარდა, რასაც პედაგოგების მხრიდან წინააღმდეგობა მოჰყვა. აღნიშნულის გამო, სკოლაში პედსაბჭოც კი მოიწვიეს. სალომე გიორგაძე წერილში აცხადებს, რომ მისი სიკვდილით გაფრთხილებას აძლევს საქართველოს ყველა პედაგოგს, "აღარასოდეს მოექცნენ ასე ბავშვებს, რათა მსგავსი რამ არ განმეორდეს".

თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა საზანოში მომხდარი უბედური შემთხვევის გამო, იმერეთის სამხარეო პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე თავდაპირველად მკვლელობის მუხლით აღძრა. თუმცა, ექსპერტიზის წინასწარი დასკვნის მიხედვით, მომხდარი უკვე თვითმკვლელობად შეფასდა. აღმოჩენილი წერილის შემდეგ კი სამართალდამცველები ვარაუდობენ, რომ, შესაძლოა, მკვლელობის მუხლი თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით გადაკვალიფიცირდეს.

14 წლის სალომე გიორგაძემ სახლიდან 300 მეტრის მოშორებით, მდინარის ნაპირზე, მამის რობერტ გიორგაძის რეგისტრირებული თოფით თავი მოიკლა.

*ინტერპრესნიუსი*

# რუსული ნაღმები გონიოს ნაგავსაყრელზე

გონიოს ნაგავსაყრელზე სანიტარული დასუფთავების სამსახურის თანამშრომელმა, ნაგვით დატვირთული კონტეინერის დაცლის დროს, შემთხვევით ნაღმები შენიშნა. როგორც სპეციალისტებმა აღნიშნეს, ნაპოვნია ორი რუსული წარმოების ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი. ნაღმები მაშინვე შედარებით უსაფრთხო ადგილას გადაიტანეს და გააუვნებელყვეს. გამნაღმველების ინფორმაციით, ნაღმები მწყობრიდან იყო გამოსული, ამიტომ, აფეთქების საშიშროება ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი. ამ საქმესთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება. პირველ რიგში, სამართალდამცველებმა უნდა დაადგინონ ქალაქის რომელი უბნიდან მოხვდა ნაღმები ნაგავსაყრელ კონტეინერზე. ადგილზე პოლიციასთან ერთად არასამთავრობო და ანტიკორუფციული საბჭოს წარმომადგენლები მივიდნენ. მათ ეჭვი აქვთ, რომ ამ ტიპის ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები მხოლოდ ბათუმში არსებული რუსული ბაზიდან შეიძლებოდა გამოეტანათ.

*ინტერპრესნიუსი*

გამოხმაურება

# პასუხი ადვოკატს

*გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნდა სტატია, სათაურით, "მართლმსაჯულება საპროცესო დარღვევებით". სტატიაში განსასჯელ ირაკლი მალანიას ინტერესების დამცველი, ადვოკატი ეკა ბესელია უნდობლობას უცხადებდა მოსამართლე ჯემალ კოპალიანს, ვინაიდან, პროცესის მოსამზადებელ ეტაპზე დაირღვა კონსტიტუციური მოთხოვნები, საპროცესო კანონმდებლობა, ევროკონვენციის მუხლები და ევროსასამართლოს მოთხოვნები. ეკა ბესელიას განცხადებით, მოსამართლე კოპალიანმა მას არ დაუკმაყოფილა შუამდგომლობები, თანაც, უარით არგუმენტის გარეშე უპასუხა. ადვოკატ ეკა ბესელია სამართლებრივი პრეტენზიის საპასუხოდ განმარტება გამოგვიგზავნა საქალაქო სასამართლოს სპიკერ-მოსამართლემ შორენა გუნცაძემ.*

"სისხლის სამართლის საქმე ირაკლი მალანიას მიმართ, რომელსაც ბრალი ედება ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარებასა და დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ჩადენაში, წარმოებაში აქვს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ჯ. კოპალიანს. 2006 წლის 15 მაისს სასამართლო სხდომის მოსამზადებელ სტადიაზე განსასჯელის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ეკა ბესელიამ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა დამატებითი მოწმეების დაკითხვის თაობაზე. მოსამართლემ მოცემულ ეტაპზე დაცვის მხარის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 474-ე მუხლის საფუძველზე, ჯერ იკვლევენ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, ხოლო შემდეგ - დაცვის მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს. ამასთან, მოსამართლემ მხარეს განუმარტა, რომ სასამართლო გამოძიების სტადიაზე, ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის შემდეგ, მხარეს უფლება ჰქონდა განმეორებით დაეყენებინა აღნიშნული შუამდგომლობა, რომლის დაკმაყოფილების საკითხზე იმსჯელებდა სასამართლო.

იმავე სხდომაზე დაცვის მხარემ იშუამდგომლა პროკურორის აცილების თაობაზე, რაც არ იქნა დაკმაყოფილებული, იმ მოტივით, რომ არ არსებობდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით გათვალისწინებული აცილების არც ერთი საფუძველი.

აღნიშნულის შემდგომ ადვოკატმა, იმ მოტივით, რომ მოსამართლემ არ დაუკმაყოფილა ზემოაღნიშნული შუამდგომლობები, დააყენა მოსამართლის აცილების საკითხი, რაც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, აცილების საფუძველს არ წარმოადგენს," - ასეთია თბილისის საქალაქო სასამართლოს სპიკერ-მოსამართლის განმარტება.







# ნატო, საქართველო და ტერიტორიული მთლიანობა

პირველი გვერდიდან

## ნატო-ს შექმნა და გაფართოება

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ მიხვდნენ, რომ რუსეთთან თანამშრომლობა, მით უმეტეს, მეგობრული ურთიერთობა შეუძლებელი იყო და, აგერ უკვე ორ საუკუნეზე მეტია, რუსეთი სრულიად ამართლებს დამსახურებულ ისტორიულ შეფასებას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა წითელმა კრემლმა მთელი ევროპის გაწითლება დაიწყო, ამ აქსიომატურ ჭეშმარიტებაში მთელი მსოფლიო დარწმუნდა. დარწმუნდა და კომუნისტური საფრთხის წინააღმდეგ გაერთიანდა.

1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონში ხელი მოეწერა ჩრდილოატლანტიკური სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნას, რომლის შემადგენლობაშიც შევიდა 12 ქვეყანა: აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, კანადა, იტალია, პორტუგალია, ნორვეგია, დანია, ისლანდია.

მომდევნო წლებში ნატო-ს შეუერთდა კიდევ 14 ქვეყანა: საბერძნეთი (1952 წელი), თურქეთი (1952), გერმანია (1955), ესპანეთი (1982), ჩეხეთი (1999), პოლონეთი (1999), უნგრეთი (1999), ესტონეთი (2004), ლატვია (2004), ლიტვა (2004), რუმინეთი (2004), სლოვაკეთი (2004), სლოვენია (2004), ბულგარეთი (2004).

დღეს ნატო-ში წევრობას ესწრაფვიან ხორვატია, მაკედონია, ალბანეთი, საქართველო და უკრაინა.

### დიალოგი

**- როგორ შეაფასებდით საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივის მნიშვნელობას?**

**თორნიკე შარაშენიძე:** "საქართველო ისეთ სიტუაციაში იმყოფება, რომ ნატო-ში და ევროსტრუქტურებში გაწევრიანების გარდა, სხვა გზა არ დარჩენია. ალტერნატივა არ არის. ჩვენი ნეიტრალიტეტი გამორიცხულია, ვინაიდან ძალიან რთულ რეგიონში ვიმყოფებით, ნეიტრალიტეტისთვის კი საჭიროა ამ რეგიონის ყველა დიდი სახელმწიფოს თანხმობა, რაც, ცხადია, არარეალურია. ჩვენს ნეიტრალიტეტს მხარს არც რუსეთი დაუჭერს, არც ირანი და არც თურქეთი.

ამის გარდა, რუსეთის მიერ საქართველოს მისამართით გადადგმული უპრეცედენტო ნაბიჯები - ეკონომიკური ბლოკადა, იმას ნიშნავს, რომ რუსეთმა ჩვენი მოხიბვლის იმედი დაკარგა და ახლა ძალისმიერი მეთოდებით ცდილობს ჩვენს დაჩოქებას. ასეთ ვითარებაში, მით უმეტეს, როცა ცნობილია, რომ საქართველოს მოსახლეობა (აღარაფერს ვამბობ პოლიტიკურ ელიტაზე) დასავლეთისკენ მიისწრაფვის, რუსეთისკენ შემობრუნება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ამიტომ, ნატო-ში გაწევრიანების გარდა, სხვა გზა არ გვრჩება, რაც, ცხადია, რთული ამოცანაა. თუმცა, ამ მხრივ საქართველო წინ მიდის.

რას მოგვიტანს ეს? ჩვენი საზოგადოება ნატო-ში გაწევრიანებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, ვინაიდან მას უკავშირებს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის იმედს. ამ მხრივ, ალბათ, საჭიროა განმარტების გაკეთება. სისულელეა იმის ვარაუდი, რომ 2-3 წელიწადში ნატო-ს ჯარები შევლენ აფხაზეთში და დაგვიბრუნებენ მას. ნატო-ში გაწევრიანება ჩვენგან ძალიან სერიოზულ შიდა რეფორმებს მოითხოვს, რაც ჩვენს ქვეყანას გაცილებით გააძლიერებს და მიმზიდველს გახდის იგივე აფხაზებისთვის. ამდენად, რაც უფრო მივუახლოვდებით ნატო-ს, მით უფრო უკეთესები, დემოკრატიულები, ძლიერები გავხდებით, რაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის წინაპირობა იქნება. ამ პროცესის პარალელურად საქართველომ უნდა განავითაროს მშვიდობიანი ინიციატივები. შედეგად, თუ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების შემდეგაც ექნება ტერიტორიული პრობლემები, მათი მშვიდობიანად მოგვარება გაცილებით უფრო რეალური გახდება, ვიდრე დღეს (ცხადია, რუსეთი, ყველანაირი მცდელობის მიუხედავად, საქართველოს ტერიტორიას ვერ შეიერთებს და აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი დე იურე ყოველთვის საქართველოს შემადგენლობაში იქნება) და სოხუმთან და მოსკოვთან უკვე სხვა დონის, გაცილებით შედეგის მომტან მოლაპარაკებებს გავმართავთ."

**გია ანჩაბაძე:** "მე ცოტა განსხვავებული შეხედულებები მაქვს. არ ვფიქრობ, რომ ნატო-ში გაწევრიანებით საქართველოში ძალიან დიდი ცვლილებები მოხდება (ჯერ ერთი, გაწევრიანება, არ ვიცი, რამდენი ხნის შემდეგ შეიძლება მოხდეს, რამდენიმე წელიწადში, როგორც გვპირდებიან, თუ ცოტა უფრო შორი პერსპექტივაა). მე ვფიქრობ, რომ ნატო-ში გაწევრიანება არ მოიტანს იმ ფუნდამენტურ ძვრებს, რასაც ჩვენი საზოგადოება ელოდება. გავიხსენოთ ჩვენი უახლოესი წარსული. ყოველთვის რაღაც მოლოდინები გვქონდა, იმედს გვისახავდნენ და გვაჯერებდნენ, რომ თუ გარკვეულ მიზანს მივაღწევთ, ყველაფერი თავისით მოგვარდება. პირველი იყო საქართველოს დამოუკიდებლობა. მაშინ კონფლიქტები არ იყო, მაგრამ დაძაბული ვითარება იყო და ჩვენ გვეუბნებოდნენ, მთავარია სსრკ-ს შემადგენლობიდან გავიდეთ და აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემები თავისთავად ჩვენს სასარგებლოდ მოგვარდებაო. დრომ გვიჩვენა, რომ იმედები არ გამართლდა. ვფიქრობ, დაახლოებით ასეთი რამე აღმოჩნდება ნატო-ში გაწევრიანებაც. ჩვენ შეიძლება ნატო-ში შევიდეთ, მაგრამ მე არ ვიცი მაგალითები, რომ ნატო თავის წევრ ქვეყანას შიდაპოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში ეხმარებოდეს. თუ არ ვცდები, საფრანგეთი 50-იან წლებში ნატო-ს წევრი იყო, ორი უზარმაზარი ომი ჰქონდა ინდოჩინეთთან და ალჟირში, ორივეში დამარცხდა, მაგრამ ნატო-ს ამ ვითარების დარეგულირებაში მონაწილეობა არ მიუღია.

საბერძნეთი და თურქეთი, ორივე ნატო-ს წევრი ქვეყანაა, მაგრამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში კინაღამ იომეს ერთმანეთში.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ნეიტრალიტეტი უფრო მიზანშეწონილია სწორედ იმიტომ, რომ რთულ რეგიონში ვართ. არ უნდა დავუშვათ, რომ ორი დიდი ქვეყნის შეტაკების დროს ჩვენ გავილახოთ. თუ ამერიკამ ირანს დაარტყა, ხოლო საქართველოს ტერიტორია ამისთვის სერიოზულად გამოიყენა, შეიძლება, ირანი ჩვენ მოგვწვდეს.

ვერც იმას ვიტყვი, რომ თუ ნატო-ს წევრი არ გავხდებით, მიტოვებული ვიქნებით. ჩემი აზრით, მთავარია, გვქონდეს კარგი პარტნიორული ურთიერთობები და წარმოვადგენდეთ ინტერესის საგანს დიდი ქვეყნებისათვის, იგივე ამერიკისათვის. მაშინ ყოველგვარი დახმარება გარანტირებული იქნება. მაგალითად, ქუვეითი არ იყო ნატო-ს წევრი, მაგრამ ამერიკამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ქუვეითი ერაყის ოკუპაციისაგან გაეთავისუფლებინა. ასევე არ არის ნატო-ს წევრი ისრაელი, მაგრამ ჩვენ ვიცით, როგორი მხარდაჭერით სარგებლობს იგი დასავლეთის მხრიდან. ასე რომ, მე ნატო-ში შესვლის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ ნატო-ზე ყველა იმედის დამყარება გამართლებული არ არის. უფრო მომგებიანი იქნება, თუ საკუთარ ძალებზე გავაკეთებთ აქცენტს. ის რეფორმები, რომლებიც აუცილებელია ნატო-ში გაწევრიანებისათვის, მხოლოდ ამისთვის კი არ უნდა ჩავატაროთ, არამედ საკუთარი თავისთვის. შინაგანად თუ გავძლიერდებით, ბევრი ისეთი პრობლემა, რომლის გადაჭრა დღეს გარეშე ძალების ჩაურევლობის გარეშე ვერ წარმოგვიდგენია, ჩვენი ძალებით მოგვარდება.

არ მიმაჩნია სწორად, რომ ტერიტორიების დაბრუნებას ნატო-ს უკავშირებენ. ეს ნიშნავს იმას, რომ ტერიტორიები ომით, ძალისმიერი ხერხით უნდა დავიბრუნოთ..."

**თორნიკე შარაშენიძე:** "მე ეგ არ მითქვამს".

**გია ანჩაბაძე:** "არა, მე ვფიქრობ ასე, როცა ამბობენ, რომ ვიქნებით ძლიერები. ჩვენ ან მართლაც მშვიდობიანი გზა უნდა ამოვირჩიოთ და ვეძებოთ შეხების წერტილები (ამის რესურსები ამოწურული ჯერ კიდევ არ არის), ან უნდა ავირჩიოთ ძალისმიერი გზა, რომელიც შედეგს არც ერთ მხარეს არ მოუტანს."

**თემურ ჩილაჩავა:** "რუსეთთან თანაცხოვრების ისტორიულმა მაგალითებმა, თუნდაც ბოლო 12-13 წლის მანძილზე მომხდარმა ფაქტმა, როცა რუსეთმა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ანექსირება მოახდინა, საქართველოს სხვა გზა არ დაუტოვა, თუ არა ორიენტაცია დასავლეთისკენ, რასაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ემხრობა. რაც შეეხება ნეიტრალიტეტს, ეს ძალიან რთული იქნება.

რა თქმა უნდა, რეფორმები არ უნდა ჩავატაროთ მხოლოდ იმის გამო, რომ დავაკმაყოფილოთ ნატო-ს მოთხოვნები დემოკრატიის მაღალი დონის თაობაზე. სხვათა შორის, ნატო-ს ერთ-ერთი მოთხოვნა, რომ ქვეყანა უნდა აკონტროლებდეს გაეროს მიერ აღიარებულ მის საზღვრებს, დღეს საქართველოს მიმართ მოხსნილია, რაც ჩემში, როგორც დევნილში, ცოტა არ იყოს, ბადებს ეჭვიან კითხვას - რატომ? თუმცა, უცვლელია სხვა მოთხოვნები - რომ უნდა ჩატარდეს დემოკრატიული არჩევნები, იყოს ეკონომიკური ალმავლობა, ჩატარდეს რეფორმები სამხედრო სფეროში და ა.შ., რაც განაპირობებს სწორედ იმ მიმზიდველობას, რომელსაც მოწყვეტილი რეგიონების მოსახლეობა გულგრილად ველარ შეხედავს. ამიტომ, მიმაჩნია, რომ ნატო-ში შესვლა საქართველოს აძლევს იმ პირველ შანსს (მაგრამ არა საკმარისს), რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა დაიწყოს. რა უნდა იყოს რეინტეგრაციისთვის მთავარი? პირდაპირი დიალოგი აფხაზებთან და ოსებთან."



თემურ ჩილაჩავა



თორნიკე შარაშენიძე



გია ანჩაბაძე

**თორნიკე შარაშენიძე:** "ბატონ გიას გამოვეხმაურები. აბსოლუტურად გეთანხმებით, რომ რეფორმები მხოლოდ ნატო-ში გაწევრიანებისთვის არ უნდა ჩატარდეს; მაგრამ, ამავე დროს, ნატო-ში ინტეგრაცია დამატებითი სტიმულია სწორედ ამ რეფორმების ჩატარებისათვის. და მეორეც, ნატო-ში ინტეგრაცია საშუალებას გვაძლევს, მივიღოთ მსოფლიოს საუკეთესო სპეციალისტებისგან რჩევები და კონსულტაციები. ეს კი დიდი სარგებლობის მომტანია. ამიტომ ენიჭება ნატო-ში ინტეგრაციას დიდი მნიშვნელობა.

რაც შეეხება ნატო-ს მოთხოვნებს, რომ საქართველოს გაწევრიანებისათვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა აუცილებელი პირობა არ არის, ზოგმა არასწორად გაიგო, ზოგმა შეგნებულად მისცა მას სხვა ინტერპრეტაცია. საქმე ისაა, რომ ნატო-მ ამ განცხადებით კრემლს ჩვენზე ზეწოლის სერიოზული ბერკეტი ხელიდან გამოაცალა.

მაგალითად, რუსეთს ლიტვასთან დღემდე არ გაუფორმებია საზღვრის დელიმიტაცია იმიტომ, რომ იმედოვნებდა, ამის გარეშე ლიტვას ნატო-ში არ მიიღებენო. მაინც მიიღეს ლიტვა ნატო-ში. შესაბამისად, ნატო-ს რომ ჩვენთვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პირობა წამოეყენებინა, კრემლი კიდევ უფრო დიდ პრობლემებს შეგვიქმნიდა ამასთან დაკავშირებით. ამიტომაც გამოაცალეს რუსეთს ხელიდან შანტაჟის ამგვარი ბერკეტი. ახლა რაც უნდა ის ქნას, ჩვენ თუ შიგნით ბოლომდე წარმატებით ჩავატარეთ საჭირო რეფორმები, რუსეთი ნატო-სკენ მიმავალ გზაზე ვერ გადაგვეღობება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია."

## ნატოს გარდაქმნა

ცივი ომის დამთავრებისა და სსრკ-ს დაშლის შემდეგ გაჩნდა აზრი, თითქოს ნატოს საჭიროებაც აღარ იარსებებდა, მაგრამ ახალი საფრთხეების გამოჩენამ ყველაფერი თავის ადგილზე დაალაგა. დაშლილ პოსტსოციალისტურ ბანაკში გაღვივებული სისხლიანი კონფლიქტები, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების საფრთხე ფანატიკური იდეოლოგიის მქონე ქვეყნებში და საერთაშორისო ტერორიზმი ის ახალი გამოწვევა იყო, რამაც განსაზღვრა კიდევაც ნატოს ახალი როლი მსოფლიოში მშვიდობის დამყარების საქმეში და ნატომ დაიწყო კრიზისების მოგვარება, მშვიდობისმყოფელობა და მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციები ბალკანეთში.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ კი ნატოს მოკავშირეებმა პირველად გამოიყენეს ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი, რომლის თანახმად დარტყმა ნატოს ერთ წევრზე ნიშნავს დარტყმას მთელ ნატოზე. ამავე დროს ნატოს 14-მა მოკავშირემ თავისი სამხედრო კონტინგენტი ავღანეთში გააგზავნა აშშ-ს მხარდასაჭერად ალ-ქაიდას ტერორისტული ორგანიზაციის წინააღმდეგ.

ნატოს ახალი სტრატეგია ითვალისწინებს სამხედრო პოტენციალის ამაღლებას ახალი მისიების შესასრულებლად და უსაფრთხოების ახალ გამოწვევებზე სწრაფი, მოქნილი და ეფექტური რეაგირების უნარის უზრუნველყოფას. მოკავშირეებმა აიღეს კონკრეტული პოლიტიკური ვალდებულებები თანამედროვე სამხედრო ოპერაციების საკვანძო სფეროების დახვეწის თაობაზე. ამავე დროს მოკავშირეები შეთანხმდნენ, შექმნან ტექნოლოგიურად მოწინავე ნატოს სწრაფი რეაგირების ძალები, რომლებიც საჭიროებისამებრ გადაადგილდებიან ყველგან უმოკლეს ვადაში და შეასრულებენ ნებისმიერ სამხედრო ოპერაციას, რათა არ მოხდეს ვითარების ესკალაცია ნატოს ძირითადი ძალების მისვლამდე.

საჯარისო შენაერთების გადასასროლად განკუთვნილი მსხვილი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავების რაოდენობა ევროპაში გაიზრდება ოთხჯერ. სწრაფი რეაგირების ნაწილები აღიჭურვება ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული შეტევების საწინააღმდეგო საშუალებებით. მოკავშირეებში (აშშ-ს გარდა) 40%-ით გაიზრდება ჰაერით ტრანსპორტირებადი მაღალი სიზუსტის მქონე საბრძოლო მასალის მარაგი და ა.შ.

### დიალოგი

**- თქვენი ინფორმაციით, აფხაზეთში რა დამოკიდებულებაა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების რეალურ პერსპექტივასთან დაკავშირებით? ამას ხომ არ უკავშირდება ბაგაფშის განცხადებები რუსეთში ასოცირებულ წევრობასა და დსთ-ში შესვლის შესახებ?**

**გია ანჩაბაძე:** "აფხაზეთში, რა თქმა უნდა, ამას ყველაფერს დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს. მათთვის შემაშფოთებელია ყოველი ვითარება, რასაც შეიძლება ძალის გამოყენება მოჰყვეს. ამთავითვე შემიძლია ვთქვა, რომ რაც არ უნდა შთამბეჭდავად მოხდეს ძალის დემონსტრირება, აფხაზეთის მხრიდან ამას კაპიტულაცია არ მოჰყვება. ამიტომ, ძალოვან დაპირისპირებაში გადასვლა სწორად არ მიმაჩნია და აქ მარტო ომს არ ვგულისხმობ. მუქარა და დაშინებაც ძალის დემონსტრირებაა.

ბაგაფშის განცხადებები მართლაც არის რეაქცია რაღაცაზე, თორემ თვითონ აფხაზეთშიც არავინ იცის, რას ნიშნავს რუსეთის ასოცირებული წევრობა. რუსეთთან გაერთიანების იდეა აფხაზურ საზოგადოებაში მაინცდამაინც დიდი მოწონებით არ სარგებლობს და აფხაზური საზოგადოების უმრავლესობას ასეთი სურვილი არ გააჩნია."

**- რა წინააღმდეგობებს შეიძლება ველოდეთ რუსეთისგან ნატო-ში გაწევრიანების გზაზე?**

**თორნიკე შარაშენიძე:** "ეკონომიკური ემბარგოს მეტი, რასაც უკვე ახორციელებს, კიდევ რა უნდა გააკეთოს? თავისი პროდუქციის შემოტანას თუ აკრძალავს, ეს დარჩა მხოლოდ, მაგრამ ხელს რატომ უნდა აძლევდეს, ვერ გეტყვით. რაც გააკეთა, ესეც დიდი უგუნურების ნიშანი იყო რუსეთის მხრიდან. შეუძლია, გააააქტიუროს მეხუთე კოლონა საქართველოში. დღესაც იმართება ერთი ჩვენი გაქცეული მინისტრის მხარდამჭერთა მიტინგები, რომლის მონაწილეებს ამისათვის სოლიდური ფული ურიგდებათ. ასე რომ, რუსეთი ფულს უკვე ხარჯავს საქართველოს წინააღმდეგ, მაგრამ ის მარგინალურ პოლიტიკოსებზე იხარჯება, რომლებსაც საქართველოს მოსახლეობაში არავითარი მხარდაჭერა არ გააჩნიათ. ერთი მხრივ, თითქოს სასიხარულოცაა, რომ რუსეთის მცდელობა, ავნოს საქართველოს, ძალიან არაშორსმჭვრეტელური და უსუსურია, მაგრამ ცუდია იმ მხრივ, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ჩვენს მიმართ ძალიან ირაციონალურია. გვირჩევნია, კარგი მეზობელი გვყავდეს.

შევარდნაძის მთავრობა აფხაზეთის საკითხს რუსეთის მიმართ მწვავედ არ აყენებდა ხოლმე, და კრემლში მიეჩვივნენ, რომ საქართველომ ამის თაობაზე ხმა არ უნდა ამოიღოს. ამ მთავრობამ ამოიღო ხმა და კრემლიც გალიზიანდა. ბოლოს გაისმა ბაგაფშის ცნობილი განცხადებებიც. ბატონმა გიამ აღნიშნა, რომ ეს არის რეაქცია რაღაცაზე. ჩემი აზრით, ეს არის რეაქცია იმაზე, რომ დიდი რვიანის სამიტზე პეტერბურგში აშშ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხს დააყენებს. ეს რუსეთს ძალიან არ სიამოვნებს. ამ სიტუაციაში მთავარია, საქართველო არ აჰყვეს პროვოკაციას, არ წაიფორხილოს, დრო ჩვენზე მუშაობს. ამიტომაა, რომ რუსეთი თავის ნეგატიურ პოლიტიკას ჩვენს მიმართ ფორსირებულად ახორციელებს. ის ჩქარობს აფხაზეთის მიერთებისათვის პირობების შექმნას და ამ სიჩქარეში უგუნურ ნაბიჯებსაც დგამს. გავიხსენოთ აფხაზეთში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები, რომლის შემდეგაც რუსეთისათვის არასასურველ შედეგს აფხაზეთის ეკონომიკური ემბარგო მოჰყვა. ამიტომ ჩვენ შეცდომა არ უნდა დავუშვათ და დასავლეთისკენ მიმავალ გზას არ უნდა გადავუხვიოთ. ასეთ შემთხვევაში საკმაოდ სწრაფად გავალთ ბოლოში, ვინაიდან დასავლეთის დიდი მხარდაჭერით ვსარგებლობთ. იქ ნამდვილად სურთ, რუსეთისაგან თავის დაღწევაში და ჩვენთვის სასურველ სივრცესთან, დასავლეთთან ინტეგრაციაში დაგვეხმარონ. ჩვენც უნდა დავანახოთ ყველას, რომ ამის ღირსები ვართ."

**- რამდენად მოსალოდნელია რუსეთისგან აშკარა აგრესია?**

**თორნიკე შარაშენიძე:** "ეს გამორიცხულია".

**გია ანჩაბაძე:** "რუსეთმა საქართველოზე ზეწოლის საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე გამოიყენა. ღია აგრესია დღეს გამორიცხულია".

**თემურ ჩილაჩავა:** "რუსეთმა მართლაც გამოიყენა ყველაფერი მისთვის საზიანოდ - ეკონომიკური ემბარგო 21-ე საუკუნეში, მაშინ, როცა თავად აპირებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას; საქართველოში ურეიტინგო პოლიტიკოსების მხარდაჭერა (პირდაპირი აგრესია კი არარეალურია). თუმცა, ყოველივე ეს ხელს უწყობს საქართველოს მოსახლეობის კონსოლიდაციას ნატო-ში გაწევრიანების იდეის გარშემო."

## ნატოს ახალი ფუნქცია

ნატო სულაც არ შემოიფარგლება მხოლოდ სამხედრო საქმიანობით და მსოფლიო მასშტაბით ფართო მეცნიერულ, საგანმანათლებლო და ეკოლოგიურ მოღვაწეობას ეწევა.

მრავალ ქვეყანას ეხმარება სამხედრო მოსამსახურების გადამზადების პროგრამების შემუშავებაში, რათა მათ შეძლონ სამოქალაქო სფეროში მუშაობა. მისი დახმარებით ხდება განაღმვითი სამუშაოების წარმოება და მოძველებული საბრძოლო მასალის განადგურება.

ამასთან, ნატო აქტიურად მონაწილეობს ჰუმანიტარულ მისიებში. 1999 წელს ალიანსმა შექმნა სტიქიური უბედურებებისა და კატასტროფების დროს დახმარების გაწევის საკოორდინაციო ევროატლანტიკური ცენტრი. მაგალითად, ნატო აქტიურად მონაწილეობდა კოსოვოში დევნილების დახმარების კოორდინაციაში. 2002 წლის ზაფხულში ეხმარებოდა ცენტრალურ ევროპაში მიწისძვრებითა და წყალდიდობებით დაზარალებულებს. ერაყის ომის დროს ეხმარებოდა თურქეთს საგანგებო ღონისძიებების მომზადებაში, რათა მოსახლეობა დაცული ყოფილიყო მასობრივი განადგურების იარაღის შესაძლო გამოყენების შემთხვევაში და სხვა.

ნატოს აგრეთვე გააჩნია სამეცნიერო პროგრამები, რომლის საშუალებით ერთმანეთთან თანამშრომლობენ ნატოსა და მისი პარტნიორი ქვეყნების სამოქალაქო პროფილის მეცნიერები. ამ პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა პროექტებში ყოველწლიურად 10000-მდე მეცნიერი მონაწილეობს. მათ შორის არიან ქართველი მეცნიერებიც

### დიალოგი

**- შეიძლება არსებობდეს თუ არა ნატო-ს ალტერნატივა?**

**გია ანჩაბაძე:** "ნატო-ს ალტერნატივა არ არსებობს. მე პატივს ვცემ ამ ორგანიზაციას და საქართველო თუ მისი შემადგენელი ნაწილი იქნება, ეს არ იქნება ცუდი. მაგრამ ის, რომ ნატო გახდება ჩვენი პანაცეა და გადაგვიწყვეტს ტერიტორიულ პრობლემებს, ამაში სრულად არ ვარ დარწმუნებული."

**თორნიკე შარაშენიძე:** "როცა დსთ-ში შევედით, ჩვენი ხელისუფლება, პრაქტიკულად, რუსეთზე მუშაობდა, მაგრამ ამან რამე მოგვიტანა? - არა. არსებობს გამოთქმა: "რუსეთი ყოველთვის უფრო დიდ პატივს სცემს ძლიერ მტრებს, ვიდრე სუსტ მეგობრებს". რუსეთთან მეგობრობამ რაც მოგვიტანა, კარგად მოგეხსენებათ. ახლა ჩვენ მტრად მივაჩნივართ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა გვინდა. თუ საკუთარი ტერიტორიების დაბრუნების მცდელობა რუსეთის მტრობაა, მათი აზრით, მაშინ ვიყოთ რუსეთის მტრები, ოღონდ ძლიერი, რომ მისი პატივისცემა დავიმსახუროთ. ამ საქმეში ნატო შეუცვლელი პარტნიორია. კაცობრიობის ისტორიაში ნატო ყველაზე წარმატებულ და უნიკალურ ალიანსად არის მიჩნეული, ვინაიდან აგებულია ნებაყოფლობით პრინციპზე, განუხრელად ვითარდება და ფართოვდება და ჯერ ვერავინ გაბედა მის რომელიმე წევრზე თავდასხმა.

ბატონმა გიამ წეღან ახსენა საფრანგეთის ომი ინდოჩინეთში. ნატო-ს თავის წესდებაში არ ჰქონდა ჩადებული, რომ მის წევრ ქვეყანას კოლონიებთან ბრძოლაში დაეხმარება."

**გია ანჩაბაძე:** "მაგრამ ალჟირი კოლონიად არ ითვლებოდა."

**თორნიკე შარაშენიძე:** "გასაგებია, მაგრამ ეს იყო საფრანგეთის შიდა კონფლიქტი. თვითონ საფრანგეთმა მიანიჭა ალჟირს დამოუკიდებლობა. ნატო-ს თავის წესდებაში უწერია, რომ დარტყმა ნატო-ს ერთ წევრზე ნიშნავს მთელ ნატოზე თავდასხმას. ეს იმდენად სერიოზული განცხადებაა, რომ ნატო-ს წევრზე თავდასხმის პრეცედენტი ჯერ არ ყოფილა.

ამრიგად, ნატო-მ დაიცვა საკუთარი წევრები, დაამარცხა თავისი მტერი - კომუნისტური საბჭოთა კავშირი და მაინც არსებობს და ფართოვდება. იმიტომ, რომ პასუხობს ახალ მოთხოვნებს და იძენს ახალ ფუნქციებს. ახორციელებს ჰუმანიტარულ მისიებს, ებრძვის ტერორიზმს, სტიქიას. ამიტომ ნატო-ს ალტერნატივა არ არსებობს."

**გია ანჩაბაძე:** "მე მაინც გავამახვილებ ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ ნატო-ს არაწევრ ქვეყანას დასავლეთი ადრეც გვეხმარებოდა."

**თორნიკე შარაშენიძე:** "დახმარება გვქონდა, მაგრამ ეს იყო ჰუმანიტარული დახმარება, რაც არ ითვალისწინებდა რეფორმებს, კონსულტაციებს, რჩევებს. ჰუმანიტარული დახმარება და უზარმაზარი ინვესტიციები შემოდიოდა და იკარგებოდა. არაფერი კეთდებოდა. ენერგეტიკის სფეროს აღორძინებისთვის მართლაც უზარმაზარი ინვესტიციები შემოვიდა, მაგრამ ფული დაიკარგა.

ნატო-ს მოთხოვნებს რეფორმების განხორციელების თაობაზე მკაცრი კონტროლიც მოჰყვება და ყველაფერი საშინაო დავალებასავით კეთდება. რეფორმებს ჩვენი ძალებით ვაკეთებთ, მაგრამ ნატო-სგან ვიღებთ რჩევებს, კონსულტაციებს, რასაც მოსდევს კონტროლიც. ეს არის ძალიან კარგი მექანიზმი. ფული ტყუილად არ იკარგება."

**გია ანჩაბაძე:** "ანუ ნატო, პირველ რიგში, ემუქრება კორუფციას."

**თორნიკე შარაშენიძე:** "დიახ, ძალიან დიდი ყურადღება ექცევა კორუფციას. ამითია ნატო კარგი - გაძლევს სტიმულს და გაკონტროლებას."

**თემურ ჩილაჩავა:** "ბუნებრივია, როცა საქართველო ძალით შეიყვანეს დსთ-ში, არავინ ფიქრობდა (რუსეთიდან გამოგზავნილი პოლიტიკოსების გარდა), რომ დსთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემებს მოუგვარებს.

რაც შეეხება ნატო-ს ალტერნატივას. ნატო-ს ჩამოყალიბების პრინციპი სხვა იყო (ნებაყოფლობითი), ვიდრე, გნებავთ, ვარშავის ხელშეკრულებისა, სადაც სახელმწიფოები ძალით გააერთიანეს. ბუნებრივია, სტანდარტები განსხვავებული იყო. ნატო ებრძვის კორუფციას არა მარტო სამხედრო საქმეში, არამედ მთელ ქვეყანაში, რაც საქართველოსთვის ყოველთვის დადებითი იქნება."

## საქართველოს განაცხადი

საქართველომ განაცხადი ნატო-ში გაწევრიანების თაობაზე 2002 წლის პრაღის სამიტზე გააკეთა. ეს იყო იმ საზეიმო განწყობის დაგვირგვინება, რომელიც დაიწყო ნატო-ს გენერალური მდივნის ლორდ რობერტსონის ჩაქუჩის მოქნევით. ასე სიმბოლურად დაასამარა რობერტსონმა 1945 წლის იალტის მოლაპარაკებების საფუძველზე ორად გახლეჩილი ევროპა და ნატო-ს მოსაწვევი შვიდ პოსტსოციალისტურ რესპუბლიკას გადასცა: ლატვიას, ლიტვას, ესტონეთს, ბულგარეთს, რუმინეთს, სლოვაკეთსა და სლოვენიას.

ამას მოჰყვა შამპანურის შადრევნები ნატო-ს წევრობის კანდიდატი ქვეყნების ქუჩებში. ბალტიისპირელმა ჟურნალისტებმა სამიტზე მყოფ თავის რუს კოლეგებს უთხრეს, დღეს საღამოს ძებნას ნუ დაგვიწყებთ, საქეიფოდ ვიქნებითო.

შეგახსენებთ, რომ სწორედ პრაღაში, 1991 წლის 31 მარტს დაიშალა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია და ყველა მისმა მონაწილე ქვეყანამ (ცხადია, რუსეთის გარდა) ნატო-ში გაწევრიანების სურვილი გამოთქვა.

### დიალოგი

**- ნატო-ში გაწევრიანების შემდეგ, როცა საქართველო იგრძნობს ძალას, ხომ არ შეიქმნება იმის საშიშროება, რომ შეილახოს აფხაზი ხალხის უფლებები?**

**თორნიკე შარაშენიძე:** "ჩვენ თუ ნატო-ში შესვლის ღირსი გავხდებით, ეს ნიშნავს იმას, რომ ვიქნებით უფრო უკეთესები, ვიდრე დღეს ვართ. ვიქნებით დემოკრატიულები და აღარ გვექნება იმის სურვილი, რომ ვინმე დავჩაგროთ, როგორც ეს დასავლური ტიპის ქვეყანას შეეფერება. ანუ, შემთხვევით ნატო-ში არავის იღებენ. იღებენ იმას, ვისი იმედიც აქვთ. ვინც დაარწმუნებს დასავლეთს, რომ ცხოვრობს დასავლური ფასეულობებით და არავის დისკრიმინაციას არ აპირებს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი.

თავის დროზე შეღავათები დაუშვეს საბერძნეთისა და თურქეთის მიმართ იმიტომ, რომ მათ კომუნისტური აგრესია ემუქრებოდათ, და ნატო-მ ეს ქვეყნები, ფაქტობრივად, გაწითლებისგან გადაარჩინა. მერე კი მათ განვითარებას ძალიან დიდი ყურადღება მიაქცია. თურქეთი დღეს დემოკრატიული, განვითარებული ქვეყანაა, სადაც ტარდება სანიმუშო არჩევნები. რომ არა ნატო, კაცმა არ იცის, იქ რა მოხდებოდა. ჩვენ ნატო-ში შესვლის დროს უკვე ვიქნებით დემოკრატიულები (ისე არავინ მიგვიღებს) და ამასთან, ვალდებულები ვიქნებით, კიდევ უფრო განვავითაროთ ჩვენი დემოკრატია."

**გია ანჩაბაძე:** "სრულიად ვეთანხმები ბატონ თორნიკეს, რომ თუ ჩვენ გავხდებით ძლიერები და უკეთესები ყველანაირად, რა თქმა უნდა, საქართველოს წინაშე მდგარ ბევრ პრობლემას მოვაგვარებთ და აფხაზებთან და ოსებთანაც უფრო შესაძლებელი გახდება დიალოგი. მაგრამ ამ რამდენიმე წელიწადში, რაც ნატო-ს გაწევრიანებამდე დაგვრჩა, მოხდება ასეთი რადიკალური ცვლილება? ეს ცოტა მაფიქრებს."

**თემურ ჩილაჩავა:** "ჩემი აზრით, საქართველომ აფხაზეთის კონფლიქტი მშვიდობიანი გზით უნდა მოაგვაროს, ვინაიდან ეს ქვეყნის პოლიტიკური მდგრადობის აუცილებელი პირობაა. საქართველოს ნატო-ში შესვლა სწორედ ამ პროცესის წარმართვას შეუწყობს ხელს. რა თქმა უნდა, უკეთესია, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებამდე მოგვარდეს აფხაზეთის პრობლემა ჩვენს ძმებთან, აფხაზებთან, დიალოგის გზით, მაგრამ თუ ასე ვერ მოხერხდება, მაშინ სწორედ ნატო-ში შესვლა გახდის ეფექტურს ამ მშვიდობიან მოლაპარაკებებს."

**თორნიკე შარაშენიძე:** "საქართველომ ნატო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ვალდებულებაც აიღო."

## საქართველოს ნატო-სთან პარტნიორობის პროგრამები

1994 წლიდან საქართველო აქტიურ მონაწილეობას იღებს ნატო-ს პარტნიორობა მშვიდობისთვის პროგრამაში (PfP). პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ნატო-ს და პარტნიორ ქვეყნებს შორის პოლიტიკური დიალოგი, ასევე სხვადასხვა ტიპის პროგრამები და ღონისძიებები. 1995 წელს შემუშავებულ იქნა საქართველო-ნატოს ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამა (IPP), რომელშიც გაწერილ იქნა თანამშრომლობის სხვადასხვა სფეროში ჩასატარებელი ღონისძიებები. 1996 წელს პირველმა ქართულმა სამხედრო ქვედანაყოფმა მიიღო მონაწილეობა პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის ფარგლებში გამართულ საველე წვრთნებში. ამ დროიდან საქართველო აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა პრაქტიკულ სამხედრო წვრთნებსა და სწავლებებში, ქვეყნის უსაფრთხოების სექტორის სხვადასხვა სამსახურის სამხედრო და სამოქალაქო პერსონალი იღებს განათლებას პარტნიორობა მშვიდობისთვის პროგრამის სასწავლო ცენტრებში.

1999 წლიდან 2003 წლამდე საქართველომ უმასპინძლა მრავალ ნატო/პმპ და პმპ-ს სულისკვეთებით ფორმატში გამართულ სწავლებას (Medceur-00, Coop.Partner-01, Best Effort-02, Eternity-02, Medceur/Rescuer-03, Medceur/Rescuer-05 და Eternity-05).

პარტნიორობა მშვიდობისთვის პროგრამის ფარგლებში ქართული სამშვიდობო კონტინგენტი მონაწილეობას იღებს ნატო-ს ეგიდით მიმდინარე საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში (KFOR-მიმდინარეობს, ISAF-2004 წელს).

გაგრძელება ა6 გვერდზე

# ნატო, საქართველო და ტერიტორიული მთლიანობა

მეხუთე გვერდიდან

1999 წლიდან საქართველო მონაწილეობას იღებს დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესში (PARP). პარტნიორობის აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს პრაქტიკულ ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც ხდება პარტნიორი ქვეყნის სამხედრო ქვედანაყოფების, ასევე მართვის სისტემების ნატო-ს ძალებთან თავსებადობის მიღწევა. აღნიშნულ ფორმატში ნატო-ს საერთაშორისო სამსახური ატარებს პარტნიორი ქვეყნის შეიარაღებული ძალების ყოველწლიურ შეფასებას. ნატო/პარტნიორი ქვეყნების მინისტრთა დირექტივების და ყოველწლიური შეფასებების შედეგებზე დაყრდნობით ხორციელდება საქართველოსათვის პარტნიორობის მიზნების (Partnership Goals) დასახვა და განახლება.

2004 წელს საქართველომ განაცხადა ერთი მსუბუქი ქვეითი ასეული ნატო-ს ოპერატიული შესაძლებლობების კონცეფციისათვის (OCC).

საქართველო ნატო-ს მთავარი პოლიტიკური ფორუმის, ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს (EAPC) წევრია.

საქართველო ასევე მონაწილეობს ნატო-ს ისეთ ინიციატივებში, როგორიცაა პარტნიორობის სამოქმედო გეგმა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში (PAP-T) და პარტნიორობის სამოქმედო გეგმა თავდაცვის ინსტიტუციონალური აღმშენებლობისათვის (PAP-DIB).

პარტნიორობის სამოქმედო გეგმა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში (PAP-T) წარმოადგენს ძირითად პლატფორმას, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ნატო-სა და პარტნიორი ქვეყნების ანტიტერორისტული ქმედებების კოორდინაცია.

პარტნიორობის სამოქმედო გეგმა თავდაცვის ინსტიტუციონალური აღმშენებლობისათვის (PAP-DIB) მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს წევრი ქვეყნების ძალისხმევას, განახორციელონ თავდაცვის ინსტიტუტების სრულფასოვანი რეფორმირება. ზემოხსენებული ინიციატივა, აგრეთვე, პარტნიორ ქვეყნებს საშუალებას აძლევს, უპასუხონ არსებულ მოთხოვნებს და შეასრულონ ვალდებულებები, რომლებიც უკავშირდება პარტნიორობა მშვიდობისათვის ჩარჩო დოკუმენტს, ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ძირითად დოკუმენტს, ასევე ეუთოს შესაბამის დოკუმენტებს, როგორიცაა უსაფრთხოების სამხედრო-პოლოტიკური ასპექტების ეუთოს კოდექსი.

## დიალოგი

**- ახლა კი, გთხოვთ, ყველამ საკუთარი თავი აფხაზების ადგილზე წარმოვიდგინოთ. აფხაზ კაცს მიაჩნია, რომ საქართველოს მხრიდან მისი ფიზიკური უსაფრთხოება დაცული არ არის და იმის მიუხედავად, რომ მაინცდამაინც არ ეპიტნავება, რუსეთისკენ მიისწრაფვის; მაგრამ ამ დროს საქართველო ნატო-ში გაწევრიანებას აპირებს და მას რუსეთისკენ მიმავალ გზას ულობავს. როგორ უნდა მოიქცეს აფხაზი ადამიანი ასეთ შემთხვევაში?**

**თორნიკე შარაშენიძე:** "ამ შემთხვევაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ აფხაზეთი საქართველოს საინფორმაციო სივრცეში მოექცეს. მათ უნდა დაინახონ, რომ ამ ბოლო დროს ქართული ტელეარხებიდან სამხედრო რიტორიკა აღარ ისმის და რომ ჩვენ მათთვის საფრთხეს არ წარმოვადგენთ. ძალიან კარგი იქნება, თუ ისინი გაიაზრებენ, რომ სწორედ რუსეთი ემუქრება მათ გადაშენებით. ჩვენ კი მათგან არაფერი გვინდა, ერთიანი პოლიტიკური სივრცისა და დევნილების დაბრუნების გარდა. იმედია, ამას დაინახავენ. ერთხელ, როცა რუსეთმა აფხაზეთს ბლოკადა გამოუცხადა, აფხაზი ხალხი გამოფხიზლდა. ბუნებრივია, მათ ეშინიათ რევანშისა და ისიც ცხადია, რომ რევანშისტულად განწყობილი ადამიანებიც არსებობენ, მაგრამ ჩვენ, ქართულმა მხარემ, უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რომ კონფლიქტები მხოლოდ მშვიდობიანად მოგვარდეს და ამაში აფხაზებიც უნდა დავარწმუნოთ. ამისთვის საჭიროა აფხაზეთის მოქცევა საქართველოს საინფორმაციო სივრცეში."

**გია ანჩაბაძე:** "ნატო-ში გაწევრიანება საქართველოში ესმით შემდეგნაირად: გვექნება ძალა, რისიც აფხაზებს შეეშინდებათ, მოლაპარაკებებზე წამოვლენ, ან თუ არა, შევალთ და აფხაზეთს ძალით დავიბრუნებთ. ამას შეიძლება სერიოზული გართულება მოჰყვეს. აფხაზებსაც სწორედ ასე ესმით საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება. იქ ამის ეშინიათ, რაც იწვევს აფხაზების ლტოლვას რუსეთისაკენ. თუ საქართველო ობიექტურად გახდება ძლიერი (დემოკრატიულად, ეკონომიკურად), გახდება უფრო მიმზიდველი, ეს იქნება ნიშანი აფხაზებისა და ოსებისათვის, რომ საქართველოსთან საჭიროა სხვა ურთიერთობები და რომ პოზიციების გადახედვაც შეიძლება."

თემურ ჩილაჩავა: "აფხაზეთში მართლაც ფიქრობდნენ, რომ თუ საქართველოს მოსცილდებიან და ქართველებს გაყრიან, უკეთესად იცხოვრებენ. ომამდე აფხაზეთში ცხოვრობდა 93 ათასი აფხაზი, დღეს ცხოვრობს 43 ათასი. ნახევარზე მეტი გასულია. თუ ომამდე უმრავლესობას ქართველები წარმოადგენდნენ, მთელი მოსახლეობის 46 პროცენტი, დღეს უმრავლესობა სომეხია - 32 პროცენტი. როგორც ვხედავთ, აფხაზების ოცნება ოცნებად დარჩა."

## ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა

საქართველო არის პირველი ქვეყანა, რომელმაც 2004 წელს ნატო-ს წარუდგინა და დაამტკიცა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP). თანამშრომლობის ეს მეტად ეფექტური მექანიზმი ამოქმედდა ნატო-ს 2002 წლის პრაღის სამიტის გადაწყვეტილების შედეგად. იგი მაქსიმალურად მისადაგებულია პარტნიორი ქვეყნის ინდივიდუალურ მოთხოვნებთან.



ქართული ჯარი მზადაა.

ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP) დაყოფილია 4 თავად და მოიცავს იმ რეფორმათა არეალს, რომლებიც უნდა შესრულდეს NATO-ს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. საქართველომ ნატო-ს ეს მოთხოვნები დააკმაყოფილა და ახლა გთავაზობთ იმ რეფორმათა მოკლე ჩამონათვალს, რომლებიც საქართველომ წარმატებით განახორციელა:

საქართველომ მიიღო ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც ასახავს საგარეო და უსაფრთხოების სტრატეგიულ ამოცანებს, მათ შორის, ნატო-ში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს;

საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობები აქვს რეგიონში;

საქართველო მონაწილეობს ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო კამპანიაში, მათ შორის, ავღანეთში;

საქართველო აგრძელებს საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს სტანდარტებთან, განსაკუთრებით, ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში;

საქართველოს ჰყავს თავდაცვის სამოქალაქო მინისტრი;

საქართველოში მიმდინარეობს კორუფციის ინსტიტუციონალური აღმოფხვრის კამპანია;

საქართველოს ხელისუფლებამ ვალდებულება აიღო, რომ შიდა კონფლიქტებს მშვიდობიანი გზით მოაგვარებს;

საქართველო განუწყვეტლივ თანამშრომლობს ეუთო-სა და გაერო-სთან და მზადაა ასევე, სრულად ითანამშრომლოს ევროკავშირთან;

საქართველომ განახორციელა ქვეყნის სამხედრო და გასამხედროებული ძალების ძირეული რეორგანიზაცია და რეფორმა (შეიქმნა ნატო-ს საიდუმლო ინფორმაციის აღრიცხვის, შენახვის და გაცვლის პირობები; შეიქმნა შესყიდვების საბჭო; გაიზარდა ჯარისკაცთა უფლებების დაცვის სფერო; სამხედრო საქმეებს განიხილავს სამოქალაქო სასამართლო; სახალხო დამცველის ოფისში მუშაობს სამხედრო საკითხებზე; დაიწყო თავდაცვის სისტემის სტრატეგიული მიმოხილვა; შეიქმნა და დამტკიცდა სამხედრო სტრატეგია; მოხდა სამხედრო და სამოქალაქო პირების ზუსტი აღრიცხვა და ტექნიკის სრული ინვენტარიზაცია; შემუშავდა სამოქალაქო პერსონალის შეფასებების კრიტერიუმები; განისაზღვრა ეროვნული გვარდიის ახალი ფუნქცია წვრთნისა და რეზერვის დახმარების საქმეში და მისი და მისი სამხედრო ტექნიკა გადაეცა სახმელეთო ძალებს; დაიწყო სახიფათო საბრძოლო მასალების განადგურების პროცესი; საგრძნობლად გაიზარდა ქართული კონტინგენტის მონაწილეობა საერთაშორისო სამშვიდობო ორეპაციებში; გაუმჯობესდა საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობები; გაიზარდა გამჭვირვალობა სამხედრო ბიუჯეტისა და საჯარო ინფორმაციის გაცემის საკითხში; მიმდინარეობს მუშაობა გარემოს დაცვის მართვის სისტემის ჩამოყალიბებაზე და ა.შ.);

საქართველო უზრუნველყოფს შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიულ და სამოქალაქო კონტროლს;

საქართველო თანამშრომლობს ნატო-სთან მეცნიერების სფეროში;

საქართველომ გააუმჯობესა სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების დაგეგმვის სისტემა;

საქართველომ ჩამოაყალიბა მაღალი დონის საკოორდინაციო ორგანოები და მექანიზმები ნატო/პარტნიორობასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და საქმიანობის კოორდინაციისა და მართვისათვის;

საქართველო ადეკვატურად აფინანსებს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის მხარდამჭერ საქმიანობასა და პროგრამებს და ა.შ.

ამგვარად, საქართველომ წარმატებით შესრულებული ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა, მიიღო მაღალი შეფასება და გადავიდა ნატო-სთან ურთიერთობის ახალ ეტაპზე - ინტენსიური დიალოგი. ყოველივე ამის შედეგად ხელისუფლება იმედოვნებს, რომ წლის ბოლოს საქართველო მიიღებს ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმას, რაც, პრაქტიკულად, გაწევრიანებას ნიშნავს.

## დიალოგი

**- რატომ არ უნდა იყოს მისაღები აფხაზებისთვის კონფლიქტის დარეგულირების ერთი ვარიანტი, რომელიც 2 წლის წინათ გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთში - შეიქმნას ახალი ქართულ-აფხაზური სახელმწიფო ორი სუბიექტით და ერთი საზღვრით?**

**გია ანჩაბაძე:** "ეს მოდელია, რომელზეც აფხაზებთან სერიოზულად შეიძლება დიალოგი, თუმცა ისინი აცხადებენ, რომ დამოუკიდებლები არიან და სტატუსზე საუბარი არ სურთ. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ თუ საერთო სახელმწიფოს მოდელს შევთავაზებთ, ეს შეიძლება, აფხაზებთან სერიოზული მსჯელობის საგანი გახდეს. განსხვავებით ავტონომიისგან. საქმე იმაშია, რომ დღეს ქართული და აფხაზური მხარეები დიამეტრულად განსხვავებულ პოზიციებზე დგანან. ამიტომ კონსენსუსი უნდა გამოინახოს. ამ შემთხვევაში რუსეთს იგნორირება უნდა გავუკეთოთ.

რუსეთს ხელს არ აძლევს აფხაზეთის არც დამოუკიდებლობა და არც საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება. რუსეთს სჭირდება ის ვითარება, რაც დღეს არის. ამით ის აკონტროლებს აფხაზეთსაც და ხელს უშლის საქართველოსაც."

**თორნიკე შარაშენიძე:** "ჩვენ აფხაზებთან რბილი ძალა უნდა მოვსინჯოთ. ეს არის მათი მოხიბვლა. მაგალითად, უნდა დავეხმაროთ მათ განათლების მიღებაში. აფხაზეთის უნივერსიტეტში ასწავლიან ალექსანდრე დუგანის რეაქციულ გეოპოლიტიკურ სახელმძღვანელოს (ამ წიგნით რუსეთში არ ასწავლიან), რითიც სურთ აფხაზი ახალგაზრდობის გადაქცევა რუსული შოვინიზმის ზომბებად. ეს ძალიან ცუდია, პირველ რიგში, აფხაზებისათვის, ვინაიდან ამით ისინი კიდევ უფრო შორდებიან რეალურ სამყაროს.

ამიტომ, ძალიან კარგი იქნება, თუ აფხაზები სასწავლებლად თბილისში ჩამოვლენ. ჩვენი დახმარებით საზღვარგარეთაც ისწავლიან, რომ ნახონ სამყარო რუსეთს მიღმა."

***თემურ ჩილაჩავა:*** "პირადად მე მიმაჩნია, რომ აქ დასახელებული მოდელი არის ორსუბიექტიანი კონფედერაცია, რომელიც, შეიძლება, მომავალში სოხუმისთვის მისაღები გახდეს, მაგრამ ვეჭვობ, რომ ამას ქართული საზოგადოება დაეთანხმოს. ჩემი აზრით, უფრო მისაღები იქნება ასიმეტრიული მოწყობა, სადაც აფხაზეთს ეყოლება პრემიერ-მინისტრი, რომელიც აუცილებლად ორივე სახელმწიფო ენას უნდა ფლობდეს. ეყოლება წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტში და ა.შ. ამისათვის უნდა შეიქმნას პირობები, რაც აფხაზებს დაარწმუნებს, რომ ქართველებთან ერთად ერთიანი სახელმწიფოს შენების თანაბარი უფლებები ექნებათ."

## გამოკითხვა

***როგორ ფიქრობთ, ნატო-ში შესვლა დაეხმარება საქართველოს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში?***

**შალვა ფიჩხაძე,** არასამთავრობო ორგანიზაციის "საქართველო ნატოში" გამგეობის თავმჯდომარე: "ნატო-ში რომ გაწევრიანდება, საქართველო ბევრად უკეთესი ქვეყანა იქნება დემოკრატიული ინსტიტუტების, ლიბერალური ღირებულებების, ადამიანთა უფლებების დაცვის, ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. ეს კი, ჩემი აზრით, უფრო მიმზიდველს გახდის საქართველოს აფხაზური საზოგადოებისათვის. მეორე მხრივ, ნატო-ში გაწევრიანება, თავისთავად, გულისხმობს, რომ კონფლიქტი უნდა მოგვარდეს მშვიდობიანი გზით - ნატო არ მისცემს უფლებას საქართველოს ხელისუფლებას (ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში), რომ ეს კონფლიქტი იარაღით გადაწყდეს. რაც შეეხება საქართველოს ნატო-ში შესვლის შესაძლებლობას ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარებამდე, ნატო-ს ისტორიაში არასდროს მომხდარა, რომ კონფლიქტების მოგვარებამდე ალიანსში რომელიმე ქვეყანა მიეღოთ. ნატო-ს გენერალურ მდივანს ეს მექანიზმი როგორ წარმოუდგენია, ჩემთვის ჯერჯერობით გაუგებარია. თუ საქართველო ნატო-ში მიიღეს თავის კონფლიქტებიანად, ამაზე ნატო-ს წევრი 26-ვე სახელმწიფო უნდა დათანხმდეს. დიდად მეეჭვება, რომ ასე მოხდეს. თუმცა ვფიქრობ, რომ ნატო-ში გაწევრიანება საქართველოს აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებაში დაეხმარება."

**ლეილა ბაბლიძე,** ისტორიკოსი: "ფაქტობრივად, მიმდინარეობს ახალი გადანაწილება და საქართველოს ნატო-ში შესვლაც ამ პროცესის ერთი ნაწილია. აქ ლაპარაკია ამერიკის გავლენის სფეროს გაფართოებაზე და რუსეთის გავლენის სფეროს შევიწროებაზე, კერძოდ, კავკასიაში. ამ კუთხით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს ნატო-ში შესვლამ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში დიდი როლი უნდა ითამაშოს, მაგრამ მეორე მხრივ, გვახსოვდეს, რომ არსებობს რუსეთიც!"

**თამაზ ხაბეიშვილი,** ჟურნალისტი: "აბა, რა?! რასაკვირველია. ასეთი კითხვის დასმა ზედმეტიც კია. ცხადია, ნატო-ს ჯარები აფხაზეთში არ შეცვივდებიან და შეიარაღებული გზით აფხაზეთს არ დაგვიბრუნებენ, მაგრამ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ამხელა შესაძლებლობების მქონე ქვეყნები არიან და ნატო-ში შესვლით საქართველოს, თავისთავად, დიდი უპირატესობა და მხარდაჭერა ექნება!"

**ირაკლი დუნდუა,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სპეციალისტი:

"აუცილებლად დაეხმარება. ნატო-ს წევრობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და ხელშეუხებლობის გარანტიაა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პერსპექტივით. ამ შემთხვევაში საქართველოს ინტერესები, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით, ამერიკის ინტერესებს ემთხვევა, რუსეთისაგან განსხვავებით. ცნობილია, რომ ნატო-ს წევრი ვერ გახდები, სანამ ტერიტორიულ კონფლიქტებს არ მოაგვარებ, თუმცა შეიძლება, მცირე გამონაკლისი დაუშვან. მაგრამ საბოლოოდ ტერიტორიული კონფლიქტები მაინც უნდა მოგვარდეს."

**ნათელა გოგიშვილი**, ინჟინერი, ამჟამად დიასახლისი: "სანამ რუსეთთან ურთიერთობას არ გავარკვევთ და დავარეგულირებთ, აფხაზეთის კონფლიქტს არაფერი ეშველება. ნატო-ში საქართველოს მიღება კონფლიქტების მოგვარებამდე ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ამის საფასურად საქართველო უარს იტყვის თავის ტერიტორიებზე? არ ვიცი, ეჭვი კი მიჩნდება."

**ვახტანგ ჯორჯიკია,** სოხუმის მკვიდრი: "როცა ხავიერ სოლანა ნატო-ს გენერალური მდივნის სტატუსით პირველად ჩამოვიდა საქართველოში, თუ არ ვცდები, 1997 წელს, ჩვენმა ორგანიზაციამ (ვეტერანთა კავშირი) რუსული საოკუპაციო ჯარების შტაბის წინ საპროტესტო აქცია მოაწყო. ჩვენ მაშინაც ვამბობდით, რომ საქართველო ნატო-ში უნდა შევიდეს - ეს არის ერთადერთი რეალური დახმარება საქართველოსთვის. ნატო და ევროკავშირი არის ის გზა, რაც რეალურად დაგვეხმარება აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში. ნატო-ს სამშვიდობო ოპერაციამ იუგოსლავიაში სისხლისღვრა შეაჩერა, ეს ჩვენც გვაძლევს იმედს. ეს აუცილებელია, ამით შეიკვრება ისტორიული ჯაჭვი დიდგორის ბრძოლიდან დღემდე."


# ი ყ ი დ ე ბ ა

**11520 კვ.მ მიწის ნაკვეთი სს "თბიისის საერთაშორისო აეროპორტი"-ს ამჟამად საკნტროლო-სარეჟიმო ტერიტორიაზე.**

- 1 კვ.მ -ს საწყისი ფასი არანაკლებ 15 /თხუთმეტი/ ლარი, დღგ-ს გარეშე; სულ, საწყისი ფასი არანაკლებ 172800 (ას სამოცდათორმეტი ათას რვაასი) ლარი, დღგ-ს გარეშე;

- ანაზღაურება წარმოებს:
- პირველი თვე სრული ღირებულების 40%;
- მეორე თვე - 30%
- მესამე თვე - 30%.

მიწის ნაკვეთის გადაცემა საკუთრებაში - მოხდება თანხის სრულად ანაზღაურების შემდეგ.

მიწის ნაკვეთის გაფორმებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი ანაზღაურდება მყიდველის მიერ.

მიწის ნაკვეთის ღირებულების სრულად ანაზღაურებამდე კონკურსში გამარჯვებული იურიდიიული პირი ვალდებულია უზრუნველყოს:

- პრემიეტრიული ღობის გადატანა მითითებული ფართის გასწვრივ აეროპორტის ტერიტორიაზე რეჟიმის შესანარჩუნებლად;

- მითითებულ პერიმეტრზე საპატრულო გზის გადატანა, სიგრძით დაახლოებით 270გ/მ.

შენიშვნა: ამჟამად მიწის ნაკვეთზე განთავსებულია შპს "ავიაკომპანია "ჯორჯიან ერავეისი"-ს" მიერ აშენებული შენობა-ნაგებობები.

**კონკურსში მონაწილოების პირობები:**

1. კონკუსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ავიასაწარმოებს, რომელთა საქმიანობის სფერო უშუალოდ არის დაკავშIრებული საჰაერო ხომალდეისა და ავიაგადაზიდვა-გადაყვანების მომსახურების სფეროსთან.

2. საკონკურსო პერიოდი - საკონკურსო პირობების გამოქვეყენბიდან 1 თვე.

3. წინადადებები მიიღება დალუქულ კონვერტებში, აეროპორტის კანცელარიაში გატარებული შემოსული ნომრით.

4. საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის სახიტ, ან ნოტარიულად დამოწმებული, ქართულ ენაზე.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საწარმო ვალდებულია წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ინფორმაცია იურიდიუი სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტიურ ადგილს.

- ლიცენზია ან სერტიფიკატი შესაბამისი საქმიანობის განხორციელებაზე.

- მსურველი იურიდიუ პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან); უცხო ქვეყნის საწარმოების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

- ჩნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება. უცხო ქვეყნის საწარმოების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

- მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდებულნი და მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულებისათვის (ცნობა საქართველოს შს სამინისტროდან). უცხო ქვეყნის საწარმოების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.



# სს "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი"ს განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სს "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი" აცხადებს ტენდერს **საავტომობილო საწვავის** შესასყიდად და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

**საავტომობილო საწვავი:**

- აი-95 მარკის ბენზინი - 3750 ლიტრი,
- აი-92 მარკის ბენზინი - 33000 ლიტრი,
- დიზელი N L-62 - 6375 ლიტრი

საავტომობილო საწვავის შესყიდვა იწარმოებს მიმდინარე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მოთხოვნილებისამებრ, სპეციალური ტალონების საფუძველზე. მიწოდების ადგილი: თბილისის საერთაშორისო აეროპორტი ან აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია.

2. ტენდერში მონაწილეობის მსურველმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარი, შემდეგ რეკვიზიტებზე: სს "ბაზისბანკი", კოდი 220101956, ა/ა: 7434123. დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი, სს G"თბილისის საერთაშორისო აეროპორტი".

3. სატენდერო მოსაკრებელის ანაზღაურების შემდგომ პრეტენდენტი მიიღებს სატენდერო დოკუმენტაციის სრულ პაკეტს აეროპორტის სატენდერო კომისიის აპარატში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი, ტელ.: 433132.

4. განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის სახით, ან ნოტარიულად დამოწმებული, ქართულ ენაზე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს:

იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტიურ ადგილს.

- მსურველი იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან); უცხო ქვეყნის საწარმოების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

- ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება. უცხო ქვეყნის საწარმოების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

- მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდებულნი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულებისათვის (ცნობა საქართველოს შს სამინისტროდან). უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია. უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება. უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

- უკანასკნელი 5 წლის მანძილზე არ უნდა იყოს მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულებისათვის (ცნობა საქართველოს შს სამინისტროდან). უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

6. სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, საქმიანობის ფაქტიურ ადგილს.

7. განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და ერთიანი დალუქული კონვერტით წარმოდგენილი სატენდერო კომისიის აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2006 წლის 6 ივნისს 15.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი, სს G"თბილისის საერთაშორისო აეროპორტი"ს ადმინისტრაციული შენობა, სატენდერო კომისიის აპარატი, ტელ.: 433132.

8. პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ, ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

9. პრეტენდენტების განაცხადის, საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა და შერჩევა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 6 ივნისს 15.00 საათზე.

10. დაგვიანებით შემოსულ კონვერტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

11. ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოაღნიშნულ მისამართზე, ტელ.: 433132; ფაქსი: 433103.

**სატენდერო კომისია**

# სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო აცხადებს ღია ტენდერს სხვადასხვა სიმძლავრის კონდიციონერების და გათბობა-კონდიცირების სისტემების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

ბაზრის დაახლოებით 90 პროცენტი იმპორტირებულ ხორბალს უკავია, საიდანაც დიდი ნაწილი კომერციული მიზნით არის ქვეყანაში შემოტანილი. ხორბლის ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები საქართველოსთვის წელსაც, ისევე, როგორც გასულ წლებში, რუსეთი, უკრაინა და ყაზახეთი რჩებიან.

გასულ წელს რუსეთში 19 მილიონი ტონა ხორბლის მოსავალი მიიღეს, საიდანაც ექსპორტზე 10 მილიონი ტონა გავიდა. რუსული ხორბლის ძირითადი მომხმარებლები დსთ-ს სახელმწიფოები არიან.

საქართველოსთვის ხორბლის ნომერ პირველი იმპორტიორი სახელმწიფო შარშან და, ჯერჯერობით, წელსაც რუსეთია. იმპორტირებულ ხორბალში რუსულის წილად თითქმის 90 პროცენტი მოდის. შარშანდელი მონაცემები ასე გამოიყურება: მთელი წლის განმავლობაში ქართულ ბაზარზე ოფიციალურად 319 ათას 445 ტონა ხორბალი შემოვიდა, საიდანაც 284 ათასი (89 პროცენტი) - რუსული, 27 ათასი (8.5 პროცენტი) - ყაზახური და 3565 (1.2 პროცენტი) უკრაინული იყო.

წლევანდელი პირველი ოთხი თვის მაჩვენებლები წინა წლების ტენდენციებს ჯერჯერობით არსებითად არ ცვლის: 113 ათასი ტონა იმპორტირებული ხორბლიდან 84 ათას ტონაზე მეტი რუსული წარმოშობის იყო, 20 ათას 660 ტონა კი - ყაზახური.

რა იქნება ამის, ანუ ახალი მოსავლის შემდეგ, დანამდვილებით ამის თქმა დღეს ძალიან რთულია. თუმცა ერთი რამ უკვე ცხადია - რუსეთი წელს, შარშანდელთან შედარებით, ხორბლის მცირე მოსავალს მოიმკის. დაუზუსტებელი ინფორმაციით, საუბარია 10-15-პროცენტიან დანაკლისზე, რაც ნებისმიერ შემთხვევაში რუსეთს, სახელმწიფო მარაგების შევსებას თუ არა, იმპორტის შეზღუდვას აფიქრებინებს. მეტიც, ამ ცოტა ხნის წინათ რუსული საინფორმაციო სააგენტოები ხორბლის იმპორტის მოსალოდნელ შეზღუდვაზე აქტიურად წერდნენ. გამოითქვა ვარაუდიც, რომ შესაძლოა, წელს რუსეთის ხელისუფლებამ ამ მარცვლეულის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანა კანონით აკრძალოს.

ასეთ შემთხვევაში ლოგიკურად ჩნდება კითხვა: ხომ არ გამოიწვევს ეს ქართულ ბაზარზე ხორბლის დეფიციტს და აქვთ თუ არა სხვა ალტერნატიულ იმპორტიორ სახელმწიფოებს ის მარაგი, რაც რუსულ ხორბალს ჩაანაცვლებს?

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს არც ერთი შესაბამისი დეპარტამენტი არ ფლობს ინფორმაციას უკრაინასა და ყაზახეთში ხორბლის მოსავლის შესახებ.

გურამ შაქარაშვილი, შპს "ალაფის" ანალიტიკური სამსახურის უფროსი, დამამშვიდებელ პროგნოზს აკეთებს. მისი თქმით, მსოფლიო მარაგები არ ქმნის იმის საშიშროებას, რომ საქართველოში ხორბალზე დეფიციტი შეიქმნას. გურამ შაქარაშვილი ამბობს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი რუსეთი ხორბლის ექსპორტზე ემბარგოს დააწესებს (რისი მოლოდინიც მას ნაკლებად აქვს), ქართველმა მეწარმეებმა, უკრაინისა და ყაზახეთის გარდა, შესაძლებელია, ხორბლის იმპორტი ავსტრიიდან, კანადიდან და აშშ-დან განახორციელონ. თუმცა ამ შემთხვევაში ხორბლის თვითღირებულება და, შესაბამისად, სარეალიზაციო ფასი აუცილებლად გაიზრდება.

რუსული ხორბლის ექსპორტის შესაძლო აკრძალვას ან შეზღუდვას კიდევ ერთი საშიშროება ახლავს თან: როგორც ექსპერტები და მეწარმეები ვარაუდობენ, ქვეყანაში თურქეთიდან იმპორტირებული ფქვილის რაოდენობა გაიზრდება. მით უმეტეს, რომ ამ სახელმწიფოდან ფქვილის შემოტანა ძალიან იაფი ჯდება. გასულ წელს თურქეთიდან 18 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების 85 ათასი ტონა ფქვილი შემოვიდა, მიმდინარე წლის იანვრიდან აპრილის ჩათვლით კი - 7 ათას ტონაზე მეტი (1 მილიონ 700 ათასი აშშ დოლარი).

### ადგილობრივი რესურსი

ხორბლის ადგილობრივი მოსავალი წელსაც დაახლოებით იმდენივე იქნება, რაც უკანასკნელი რამდენიმე წლის განმვლობაში იყო. დედოფლისწყაროს რაიონის ჩათვლით, რომელსაც ხშირად ქვეყნის მთავარ "ბეღელადაც" მოიხსენებენ, წელს საქართველოში 200-210 ათას ტონა ხორბალს ელიან, რაც საერთო მოხმარების თითქმის 30 პროცენტია. სხვადასხვა გათვლებით, ქვეყანაში ხორბლის წლიური მოხმარება 750-800 ათას ტონას შორის მერყეობს. თუმცა, როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, ადგილობრივი მოსავლის ნახევარზე მეტი არასასურსათო ხორბალია. სასურსათო ხორბლის მოცულობა გასულ წლებში 80-100 ათას ტონაზე მეტს თითქმის არასდროს არ აჭარბებდა. ამიტომაც წელსაც წისქვილკომბინატები იმპორტირებულ მარცვლეულზე იქნებიან ორიენტირებული.

ასეც რომ არ იყოს, ადგილობრივი ხორბალი იმპორტირებულზე თითქმის 20 პროცენტით ძვირია. უმაღლესი კლასის სამამულო ხორბლის საშუალო ფასი შარშან 220 დოლარი იყო. იმპორტირებული ხორბლის სიიაფეს სოფლის მეურნეობის სამინისტროში რამდენიმე ფაქტორით ხსნიან: მოშლილი სათესლე მეურნეობა, დიზელის საწვავისა და შესაბამისი ტექნიკის სიძვირე.

ქართული ხორბალი და მისი პროდუქტები იმპორტირებულს კონკურენციას რომ ვერ უწევს, ადგილობრივი მეწარმეები და ფერმერები ამის კიდევ ერთ მიზეზად კონტრაბანდულ პროდუქციას ასახელებენ.

დღეს საქართველოში 80-მდე სხვადასხვა წარმადობის წისქვილკომბინატი მუშაობს. თითქმის ყველა მცირე წისქვილკომბინატის ხელმძღვანელობამ საკუთარი თანამშრომლები უხელფასო შვებულებაში ჯერ კიდევ გასულის წლის ბოლოს გაუშვა და საწარმოს კარი დროებით გამოხურა. თუმცა მათი მესაკუთრეები დღეს ამბობენ, რომ წისქვილკომბინატების ამუშავება წელსაც არ არის მოსალოდნელი. მიზეზებზე ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ, ხოლო რაც შეეხება საშუალო და დიდი წარმადობის წისქვილკომბინატებს, ისინი ამჟამად არასრული, დაახლოებით 30-40-პროცენტიანი დატვირთვით მუშაობენ.

მაგალითად: გორში მდებარე "ფორტეს" წისქვილკომბინატი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე დიდი მოცულობით ხორბალს გადაამუშავებს, დღეს მხოლოდ 30-პროცენტიანი დატვირთვით მუშაობს.

იმ შემთხვევაში, თუკი ახალი საბაჟო კოდექსის პროექტს პარლამენტი დღეს არსებული სახით დაამტკიცებს, ექსპერტებისა და მეწარმეების პროგნოზით, ყველა წისქვილკომბინატი სამუდამოდ დაიხურება.

თურქულ ფქვილს, რომელიც აქამდეც ითვლებოდა ქართული წარმოების შეფერხების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, ამ კოდექსით ჩვენს ბაზარზე "ხელ-ფეხი" კიდევ უფრო ეხსნება - იმპორტირებულ ფქვილზე საბაჟო გადასახადი, კანონპროექტის თანახმად, 20-დან 12 პროცენტამდე უნდა შემცირდეს.

### სახელმწიფო რეზერვები

დაახლოებით 2 წლის წინ, როცა მსოფლიოში ხორბლის არნახული დეფიციტი იყო, საქართველოში სახელმწიფო მარაგების აუცილებლობა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა გახდა. ცოტა მოგვიანებით, 2004 წლის შემოდგომაზე ეს რეზერვი 50 ათასი ტონა ნაჩუქარი ამერიკული ხორბლით შეივსო, რომელიც მთლიანად თბილისის ნავთობპროდუქტებისა და მარცვლეულის ბირჟაზე გაიყიდა. მიღებული შემოსავალი, რომელმაც 15 მილიონ ლარს გადააჭარბა, ამერიკის მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულბის თანახმად, საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებას უნდა მოხმარებოდა. ამ პროგრამის - "სურსათი პროგრესისათვის" - ფარგლებში 2004 წლის ოქტომბრიდან 2005 წლის ივნისის ჩათვლით ბირჟაზე 50 ვაჭრობა შედგა. ერთი ტონა გაყიდული ხორბლის მაქსიმალური ფასი ბირჟაზე - 386 ლარი, ხოლო მინიმალური - 291 ლარი დაფიქსირდა. უკანასკნელი ერთი წელია, ბირჟაზე ვაჭრობა არ შემდგარა, იმ მარტივი მიზეზით, რომ დღეს ხორბლის სახელმწიფო მარაგი არ არსებობს და აქ გასაყიდიც აღარაფერი დარჩათ.

რამდენად აუცილებელია ამ ეტაპზე ხორბლის სახელმწიფო რეზერვების არსებობა? ბირჟის დირექტორი თემურ ხორხომელიძე ირწმუნება, რომ ეს საკითხი დღესაც აქტუალურია, მით უმეტეს, როცა **"არსებობს რუსული ხორბლის იმპორტის შეზღუდვის საშიშროება. ესეც რომ არ იყოს, ხორბალზე ფასები ხშირად იცვლება, რაც, ბუნებრივია, საქართველოზეც აისახება. ეს კი საბოლოო ჯამში მეწარმეებს აზარალებს. დღეს სახელმწიფოს რეზერვად დაახლოებით 100 ათასი ტონა ხორბალი რომ გვქონდეს, მშვიდად ვიქნებოდით."**

ამ აზრს "ალაფის" ანალიტიკური სამსახურის უფროსი გურამ შაქარიშვილიც ეთანხმება. მისი თქმით, **"ყველა ნორმალური ქვეყნის ხელისუფლება ცდილობს, ხორბლის სახელმწიფო რეზერვი ჰქონდეს. კარგი იქნებოდა, თუკი ჩვენც, სულ მცირე, 2 თვის მარაგს შევქმნიდით."**

## ზურაბ ნოღაიდელი მთავრობის ეკონომიკურ გუნდს მადლობას უხდის

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი წარმატებული პრივატიზაციისათვის მთავრობის ეკონომიკურ გუნდს მადლობას უხდის. პრივატიზაციის მორიგი რაუნდი წარმატებული იყო როგორც საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით, ასევე პრივატიზაციის პროცესში ახალი უცხოური კომპანიების მონაწილეობის მხრივ. ნოღაიდელის თქმით, პრივატიზაციის მორიგი მნიშვნელოვანი ეტაპი 16 ივნისისათვის არის მოსალოდნელი, როდესაც მსხვილი ენერგოობიექტების - 3 რეგიონული ელექტროგამანაწილებელი კომპანიის და 6 ჰესის გასაყიდი კონკურსი გაიმართება. გასულ კვირას, მთავრობამ სს " საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" და სს "თბილგაზი" გაყიდა, ხოლო შპს "ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური" 49-წლიანი მართვის უფლებით გაასხვისა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## პარლამენტის კომიტეტმა საბაჟო გადასახადის შესახებ კანონპროექტი მოიწონა

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა მოიწონა კანონპროექტი საბაჟო გადასახადის შესახებ. კომიტეტის სხდომაზე ეკონომიკის მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ განაცხადა, რომ კანონპროექტის მიღების მიზანია ვაჭრობის სფეროს ლიბერალიზაციის მეშვეობით საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა. კანონპროექტი ითვალისწინებს საბაჟო საგადასახადო განაკვეთების შემცირებას 0, 5 და 12 პროცენტამდე. "ზემოაღნიშნული განაკვეთები შეირჩა შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით: ყველაზე მაღალი საბიუჯეტო შემოსავლები ფიქსირდება 5 და 12 პროცენტით დაბეგრილ საქონელზე. აღნიშნული კანონპროექტის მიღებას ელიან ინვესტორები, რომლებსაც საქართველოში ინვესტიციების განხორციელება სურთ. ამ კანონპროექტის მიხედვით, ძირითადი საშუალებების შემოტანა უფრო მარტივი იქნება და მეწარმეებს ეს გაუადვილდებათ," - განაცხადა ჩოგოვაძემ. მისი თქმით, აღნიშნული კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, შემცირდება იმპორტირებული პროდუქციის ფასები და, შესაბამისად, მომხმარებელთა ხარჯები. ამასთან, იმპორტირებული ნედლეულისა და მანქანა-დანადგარების გამოყენების შემთხვევაში, შემცირდება ინვესტორთა ხარჯები, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა აღნიშნული კანონპროექტი მოიწონა. როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკო ლეკიშვილმა განაცხადა, პარლამენტი რაც უფრო ადრე მიიღებს აღნიშნულ პროექტს, მით უფრო გაუმჯობესდება ქვეყანაში საინვესტიციო გარემო. **ინტერპრესნიუსი**

## კაზინოების გახსნისთვის, შესაძლოა, შეღავათიანი პირობები აღარ დაწესდეს

ბათუმში, ქობულეთსა და ბორჯომში კაზინოების გახსნისთვის შეღავათიანი პირობების დაწესება მთავრობამ, შესაძლოა, გადაიფიქროს. პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა, რომ შესაძლოა, პარლამენტმა აღარ მიიღოს კანონი, რომელიც "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას ითვალისწინებს. კანონპროექტის მიხედვით, გათვალისწინებული იყო კაზინოების გახსნისთვის დაბალი მოსაკრებლის დაწესება ბათუმში, ქობულეთსა და ბორჯომში. ამჟამად მოქმედი კანონის მიხედვით, კაზინოების გახსნის მსურველებს ბათუმში - 1 მლნ. ლარის, ხოლო ბორჯომსა და ქობულეთში - 5 მლნ. ლარის მოსაკრებლის გადახდა ეკისრებათ. თუმცა, კანონპროექტში ჩადებული იყო, რომ ეს თანხა 250 000 ლარამდე შემცირდებოდა. "როგორც ახლა გაირკვა, ზესტაფონში აშენდება დიდი კომპლექსი, ამიტომ, შესაძლოა, ბორჯომში, ბათუმსა და ქობულეთში შეღავათიანი პირობების დაწესებამ კომპლექსის მშენებლობას ხელი შეუშალოს. მთავრობა ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მიიღებს და ჩვენ მისი სურვილისამებრ ვიმოქმედებთ," - განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა. მისი თქმით, თუ მთავრობა გადაწყვეტს, რომ ზესტაფონში კაზინოს გახსნისთვის ნულოვანი მოსაკრებელი დატოვოს და სხვა ქალაქებისთვის შეღავათი არ დააწესოს, ეს ასეც იქნება. პარლამენტმა რამდენიმე თვის წინ მიიღო კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, თბილისში კაზინოს გახსნისთვის მოსაკრებელი 5 მლნ. ლარია, ბათუმში - 1 მლნ. ლარი, ხოლო ზესტაფონში კაზინოს გახსნა მოსაკრებლისგან თავისუფალია. **ინტერპრესნიუსი**

## ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ისრაელი დაინტერესდა

ისრაელის პარლამენტის წევრების აზერბაიჯანის ეკონომიკისა და ენერგეტიკის მინისტრთან შეხვედრისას ებრაელმა პარლამენტარებმა წამოაყენეს წინადადება, ისრაელის ქალაქ აშგელონის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენთან შეერთების თაობაზე. ებრაელი პარლამენტარების აზრით, ამ პროექტის განხორციელება საშუალებას იძლევა, აზერბაიჯანული ნავთობი აშგერონიდან ინდოეთსა და შორეულ აღმოსავლეთს მიეწოდოს. აზერბაიჯანში ვიზიტისას ასევე განიხილეს ისრაელში აზერბაიჯანის საელჩოს გახსნის საკითხი. სავარაუდოდ, აზერბაიჯანის საელჩო ისრაელში უახლოეს ხანებში გაიხსნება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სომხეთში ცხოვრების დონე საქართველოსა და აზერბაიჯანზე მაღალია

"საქართველოსა და აზერბაიჯანს ცხოვრების დონით სომხეთი აღემატება", ამის შესახებ "კავკასიის დემოკრატიის ინსტიტუტის" განვითარების ფონდის ოფისში ჩატარებულ პრესკონფერენციაზე პოლიტოლოგმა მიხაილ ილინმა განაცხადა. პოლიტოლოგის თქმით, გამოკვლევა 187 პარამეტრის საფუძველზე ჩატარდა. მასში თითოეული ქვეყნის 37 ათასი ერთეული მონაცემი შეიტანეს. იგეგმება, ასევე, "თანამედროვეობის პოლიტიკური ატლასის" შექმნა, რომელიც 192 ქვეყნის მონაცემების მიხედვით უნდა შეიქმნას. ენციკლოპედიური სამუშაოს დასრულებას შემოდგომისთვის ვარაუდობენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ენერგოობიექტებს, შესაძლოა, დაგროვილი დავალიანება ჩამოაწერონ

ენერგოობიექტებს, შესაძლოა, 1999-2002 წლებში სახელმწიფოს მიმართ დაგროვილი დავალიანება ჩამოაწერონ. დღეს მთავრობამ მხარი დაუჭირა "ელექტროენერგეტიკის სფეროში დავალიანებათა მართვის შესახებ" კანონპროექტს, რომელსაც უახლოეს პერიოდში პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს. როგორც მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, 1999-2002 წლებში ენერგოკომპანიებს შორის დაგროვილმა ურთიერთდავალიანებამ და, აგრეთვე, ამ ობიექტების დავალიანებამ სახელმწიფოს წინაშე 0,5 მილიარდი ლარი შეადგინა. "კანონპროექტის მიზანია, რომ შეიქმნას იურიდიული პლატფორმა და განხორციელდეს ან ვალების ჩამოწერა ან ურთიერთჩათვლა," - აღნიშნა მინისტრმა. გილაურის განცხადებით, კანონპროექტის მიღების შემთხვევაში ვალების ჩამოწერა და ურთიერთჩათვლა მხოლოდ ერთხელ განხორციელდება. **ინტერპრესნიუსი**

## აზერბაიჯანი ბენზინის გაძვირებას არ აპირებს

აზერბაიჯანის მთავრობა უახლოეს პერიოდში ბენზინზე საცალო ფასის გაზრდას არ აპირებს, - განაცხადა აზერბაიჯანის ფინანსთა მინისტრის მოადგილემ აზერ ბაირამოვმა. მისი განმარტებით, ბენზინის ახლანდელი ფასების გადახედვა არააქტუალურია. აზერბაიჯანმა ბენზინის საცალო ფასი ბოლოს, 2004 წლის 2 ნოემბერს საშუალოდ 10-12 პროცენტით გააძვირა. **მედიანიუსი**

## თბილისში კონფერენცია გაიმართა

სასტუმრო "თბილისი მარიოტში" საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია თემაზე - "ინფორმაციის ანალიზის მეთოდები, რომელიც გამოიყენება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისათვის". კონფერენცია ჩატარდა საერთაშორისო ორგანიზაციების - საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის და გაერო-ს განვითარების პროგრამის კონსულტანტების დახმარებით. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ესტონეთის, დიდი ბრიტანეთის ფინანსური მონიტორინგის ექსპერტებმა. მოწვეულმა ექსპერტებმა ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურებში არსებული ინფორმაციის ანალიზის მეთოდებზე. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ფოთის პორტმა საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლა

პირველი გვერდიდან



სწორედ ექსტენსიური განვითარებისა და შემოსასვლელი არხის დასილვის პრობლემებზე საუბრის მიზნით 15-16 მაისს ფოთის პორტმა საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლა. დისკუსიაში ქართულ მხარესთან ერთად უკრაინული და ჰოლანდიური კომპანიების, "ჩერნომორნიიპროექტის", "ბოსკალის ინტერნეიშენელისა" და "დამენ შიპიარდის" წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

"სატრანსპორტო გადაზიდვების საერთაშორისო ბაზარზე ფოთის პორტის დღევანდელი კონკურენტუნარიანობა სამომავლოდ შეიძლება შეიზღუდოს, რისი მიზეზიც გახდება შიდა აკვატორიისა და შემოსასვლელი არხის პარამეტრები - მძიმეტონაჟიანი გემების მხოლოდ ორ-სამ ნავმისადგომზე მომსახურების შესაძლებლობა, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, სპეციალიზირებული საკონტეინერო ტერმინალის უქონლობა და სხვა ბევრი ფაქტორი. პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, გვაქვს ნავსადგურის რიონვარდნილის მიმართულებით განვითარების წინადადება. ახალი საპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა ავტომატურად გადაწყვეტს ექსპლოატაციისა და ნავიგაციის კუთხით არსებულ პრობლემებს" - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას შპს "ჩერნომორნიიპროექტის" დირექტორმა სერგეი ნიკულინმა.

როგორც მეცნიერები ამბობენ, რიონვარდნილის დელტის სამხრეთ ფლანგი, სადაც განთავსებულია შემოსასვლელი არხი, ყოველწლიურ აკუმულაციას 1,2 მილიონი კუბური მეტრის ოდენობით განიცდის. თუ 2000 წელს არხის სიღრმე 12,6 მეტრს უტოლდებოდა, 2010 წლისთვის სავარაუდოდ იგი 8,8 მეტრამდე დაიკლებს. მიწისმწოვი "ნიკო ნიკოლაძე", რომელიც ნავსადგურმა ჯემალ ინაიშვილის ხელმძღვანელობისას შეიძინა, არხის საპასპორტო გაბარიტებამდე მისაყვანად არასაკმარისია. "საჭიროა "ნიკო ნიკოლაძის" წარმადობის გაზრდა ან სხვა, უფრო მძლავრი მიწისმწოვის მოწვევა", - აცხადებს ასოციაცია "ჰიდროსფეროს" ექსპერტი ირაკლი პაპაშვილი.

"მიზანშეწონილია ნავსადგურის ჩრდილოეთ მოლთან არსებულ პლაჟთან სახმელეთო ტექნიკით ამოვიღოთ 150 ათასი კუბური მეტრი მასალა, რითიც შესაძლებელია ამოივსოს ნაპირთან ახლომდებარე ტბა. სერიოზული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს ახალი შემომზღუდავი მოლის აშენების საკითხი, რამაც ღელვებისა და ნატანისგან კარგად დაცული აკვატორიის შექმნა უნდა უზრუნველყოს,"- აღნიშნავს პაპაშვილი.

სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა, გრძელვადიანი პროგრამირება და დაგეგმარება ეკონომიკისა და ტრანსპორტის სფეროში მიმდინარე ცვლილებებს უკავშირდება. "ფოთიქალაქპროექტის" დირექტორი, გურამ ქანდარია ნავსადგურის ხელმძღვანელობას შედარებით ნაკლებად კაპიტალტევად პროექტებს სთავაზობს.

"სამწუხაროდ, დღემდე პორტის შემოსასვლელი არხის დალამვადასილვის საწინააღმდეგოდ ძირითადად ამოხაპვის მეთოდი გამოიყენებოდა, რაც სამუშაოთა მოცულობისა და ღირებულების ზრდის პირობებში, ტექნიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, მიზანშეწონილი არ არის. ჩვენი პროექტის პირველი ვარიანტი ჩრდილოეთ მხარეს ერთი ან რამდენიმე დამცავი ბუნის მოწყობას, მეორე ვარიანტი კი დამცავი ზვირთსაქცევის უშუალოდ შემოსასვლელი არხის გასწვრივ განთავსებას გულისხმობს,"- ამბობს ქანდარია.

საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეთა დასკვნით, პრობლემის გლობალურობიდან გამომდინარე, განხილული ვარიანტების ფინანსირება, დამუშავება და რეალიზაცია ნავსადგურის შესაძლებლობებს აღემატება და სამთავრობო დონეზე გადაწყვეტას მოითხოვს. პროექტების შესწავლა არსებულ სახელმწიფო უწყებათაშორისო კომისიას დაევალა.

"კონფერენციის მიზანი იყო თავი მოგვეყარა ყველა ნამუშევრისთვის, გამოგვეკვეთა წარმოდგენილი პროექტების დადებითი და უარყოფითი მხარეები, გვეპოვა ფოთის პორტის სამომავლო პერსპექტივის ყველაზე სიცოცხლისუნარიანი ვერსია. მასშტაბურობიდან გამომდინარე, პრობლემის ვიწრო წრეში განხილვას დაინტერესებული სპეციალისტების მოწვევა ვამჯობინეთ. შედეგებზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ ვფიქრობ, თანდათანობით ყველაფერს მივაღწევთ,"-განუცხადა "24 საათს" ფოთის საზღვაო ნავსადგურის გენერალურმა დირექტორმა ლაშა ახალაძემ.

# საქართველოს ენერგოსისტემაში რეორგანიზაცია იგეგმება

საქართველოს ენერგოსისტემაში მორიგი სტრუქტურული რეორგანიზაცია იგეგმება.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა დღეს განიხილა კანონპროექტი, რომელიც "ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას ითვალისწინებს.

როგორც კომიტეტის სხდომაზე ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალეკო ხეთაგურმა განაცხადა, კანონპროექტში გათვალისწინებულია ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის რეორგანიზაცია და ენერგოსისტემის კომერციული ოპერატორის ჩამოყალიბება.

"შეიქმნება სააქციო საზოგადოება სისტემის კომერციული ოპერატორის სახით, რომლის აქციებიც საბითუმო ბაზრის ამჟამინდელ წევრებზე გადანაწილდება. აქციათა 30 პროცენტის მფლობელი "სახელმწიფო ელექტროსისტემა" გახდება, აქციათა 35 პროცენტი გადანაწილდება გამანაწილებელ ენერგომპანიებსა და პირდაპირ მომხმარებლებზე, ხოლო 35 პროცენტი - ელექტროენერგიის მწარმოებლებზე," - განაცხადა ხეთაგურმა.

მისივე თქმით, აღნიშნული კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, საქართველოს ენერგოსისტემაში ორგანიზაციებს შორის ურთიერთობა მხოლოდ პირდაპირი ხელშეკრულებებით დარეგულირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ გამანაწილებელი ენერგოკომპანიები საკუთარი მოხმარების დასაკმაყოფილებლად ელექტროენერგიას თავად შეისყიდიან.

"თუ ენერგოკომპანიას ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ სიმძლავრეზე მეტი სიმძლავრე დასჭირდება, მაშინ ამ დანაკლისს იგი სისტემის კომერციული ოპერატორისგან შეივსებს," - განაცხადა ხეთაგურმა.

მისივე თქმით, კანონში დაგეგმილი ცვლილებები სამომხმარებლო ტარიფზე არ აისახება, თუმცა ცვლილებების მიღების შემთხვევაში, გაუქმდება ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ტარიფი და ყველა ლიცენზიანტს საკუთარი, ინდივიდუალური ტარიფი განესაზღვრება.

"ეროვნული მარეგულირებელი კომისია დაადგენს ტარიფების ზედა ზღვარს, უშუალოდ ტარიფების მოცულობა კი მოლაპარაკებების და პირდაპირი ხელშეკრულების გაფორმების დროს ორგანიზაციებს შორის გადაწყდება," - განაცხადა ხეთაგურმა.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა აღნიშნულ კანონპროექტს მხარი დაუჭირა. როგორც პარლამენტარმა ზურაბ ცქიტიშვილმა განაცხადა, აღნიშნული კანონპროექტი თავისი შინაარსით რევოლუციურია და მასში მნიშვნელოვანი რაციონალური მარცვალია ჩადებული. **ინტერპრესნიუსი**

# აშშ-ში პრეზიდენტის მილიონები დაითვალეს



გუშინ თეთრმა სახლმა პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტის შემოსავლის და ქონების შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა. როგორც წესი, კანონის მიხედვით, ქვეყნის მეთაურები ამომრჩევლებს თავიანთი ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყოველწლიურად ანგარიშს აბარებენ.

აშშ-ს პრეზიდენტიც და ვიცე-პრეზიდენტიც მულტიმილიონერები არიან. ბუშის ოჯახის ქონება 18 მილიონ დოლარადაა შეფასებული, ჩეინის ოჯახის კი - 94 მილიონად. გასული წლის განმავლობაში მათი კაპიტალი ინვესტიციების წყალობით მცირედით გაიზარდა.

ჯორჯ ბუშის მფლობელობაში კვლავ არის 1500 აკრი ფართობის დიდი ტეხასური რანჩო, რომელიც მილიონ დოლარზე მეტი ღირს. გარდა ამისა, მას აქვს დაახლოებით 4 მილიონი დოლარის ღირებულების ობლიგაციები, ბანკში მის ანგარიშზე მილიონზე მეტია და კიდევ მილიონს ინვესტიციები შეადგენს. გარდა ამისა, პრეზიდენტს ეკუთვნის ტყის უბანი, რომელიც 700 ათასი დოლარი ღირს.

დიკ ჩეინიმ ობლიგაციებში 10,5 მილიონი, საპაიო ფონდებში და აქციებში (მათ შორის ნავთობკომპანია halliburton-ში) კი 4,7 მილიონი ჩადო. მის საბანკო ანგარიშზე 1,3 მილიონი დოლარია. ვიცე-პრეზიდენტს ეკუთვნის ვაშინგტონის გარეუბანში მდებარე, მილიონ დოლარად შეფასებული სახლი.

ექსპერტთა განცხადებით, ჯორჯ ბუშს და დიკ ჩეინის ძალიან მდიდარ ადამიანებად ვერ მივიჩნევთ. ამასთან, მათ ყურადღება გაამახვილეს, რომ პრეზიდენტი თავის მილიონებს ძალიან კონსერვატიულად იყენებს და ფულს, ძირითადად, უძრავ ქონებასა და ობლიგაციებში აბანდებს, ვიცე-პრეზიდენტი კი უფრო ფართო ინვესტიციებს ახორციელებს.

ამასთან, ანგარიშში არსებობს ინფორმაცია ქვეყნის პირველი პირების მიერ გაკეთებული საჩუქრების შესახებ. კერძოდ, საშობაოდ ჩეინს ბუშისათვის 400 დოლარად ღირებული ჭოგრიტი უჩუქებია, ბუშს კი ჩეინისათვის - 338 დოლარად ღირებული ჰამაკი.

## აშშ-ს ბირჟაზე კვლავ კლებაა










ნიუ ნიორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. მიუხედავად რამდენიმე დამაიმედებელი კორპორაციული სიახლისა, რომელთა შორის აღსანიშნავია კომპიუტერული გიგანტის Hewlett-Packard-ის მიერ გამოქვეყნებული მიმდინარე წლის პირველი კვარტლის ანგარიში, რომლის მიხედვითაც, კომპანიის მოგება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 50,7 პროცენტით, 1,456 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა, ინვესტორთა განწყობაზე უარყოფითი გავლენა მაკროეკონომიკურმა ინფორმაციებმა განაპირობა.

კერძოდ, ცნობილი გახდა, რომ აპრილში სამომხმარებლო ფასები 0,6 პროცენტით გაიზარდა, რაც ექსპერტთა მიერ ნავარაუდევზე მეტია. ფასების მომატება კი ინფლაციის საშიშროებას ზრდის, რასაც შესაძლოა, ფედერალური სარეზერვო ფონდის მიერ ძირითადი საპროცენტო განაკვეთის კვლავ გაზრდა მოჰყვეს.

საბოლოოდ, Dow Jones Index-მა 0,84 პროცენტით, 11.323,6 პუნქტამდე მოიკლო. 0,66 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.214,5 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index - 0,62 პროცენტით, 1.284,05 პუნქტამდე შემცირდა.

## ვენესუელაში ნავთობზე გადასახადი გაიზარდა

ვენესუელას პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც ნავთობმომპოვებელ კომპანიებს გადასახადი გაეზარდათ. დოკუმენტის მიხედვით, ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე ნავთობის მოპოვებაზე გადასახადი ამიერიდან 33,3 პროცენტი იქნება.

სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში ვენესუელელი კანონმდებლები მიიღებენ დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც, მდინარე ორინოკოს აუზში არსებულ ნავთობის საბადოებზე მომუშავე უცხოური კომპანიების მოგების გადასახადი 34-დან 50 პროცენტამდე გაიზრდება.

ამ დროისათვის ვენესუელს სახელმწიფო ნავთობკომპანიას Petroleos de Venezuela SA (PDVSA) ორინოკოს აუზის საბადოებიდან ნავთობის მოპოვების პროექტებში 30-დან 49 პროცენტამდე ეკუთვნის. აღნიშნულ პროექტებში მისი პარტნიორები მსოფლიოს უმსხვილესი ნავთობკომპანიები, მათ შორის, ExxonMobil და Chevron არიან.

ვენესუელას ნავთობის მინისტრის რაფაელ რამირესის განცხადებით, გადასახადების გაზრდა ქვეყანას ყოველწლიურად დამატებით 2 მილიარდ დოლარს მოუტანს.

შეგახსენებთ, რომ ვენესუელას ტერიტორიაზე მომუშავე უცხოური კომპანიების დამატებით დაბეგვრის შესახებ განცხადება ქვეყნის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა ჯერ კიდევ 7 მაისს გააკეთა.

## ბენზინი ყველაზე ძვირი თურქეთში ღირს

დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მწვავედ დგას საწვავზე ფასების ზრდის პრობლემა. ებრაელმა მიმომხილველებმა ჩაატარეს გამოკვლევა, თუ რომელი ქვეყნის მძღოლები იხდიან ყველაზე მეტს ბენზინში. საერთო სურათის შესაქმნელად მათ გადაწყვიტეს, სხვადასხვა მარკის ბენზინის საშუალო არითმეტიკული, ამერიკული ერთეულები: გალონი (3,78 ლიტრი) და დოლარი აერჩიათ.

აღმოჩნდა, რომ ამ თვალსაზრისით ყველაზე ძვირი ქვეყანა თურქეთია, სადაც 1 გალონი ბენზინი 8,2 დოლარი ღირს. შემდეგ მოდის ნორვეგია - 6,9 დოლარი, დიდი ბრიტანეთი - 6,28 დოლარი, ბელგია - 6,16, საფრანგეთი - 5,8, იტალია - 5,53, ისრაელი - 5,3 და აშშ - 3,4 დოლარი.

ყველაზე იაფი საწვავი საუდის არაბეთში, ინდონეზიასა და ვენესუელაშია. ამ ქვეყნებში გალონი ბენზინი 1 დოლარზე ნაკლები ღირს.

## იაპონია ნავთობის მოპოვების გაზრდას აპირებს

იაპონიას სურს, 2030 წლისათვის საერთო მოხმარების მოცულობაში ნავთობის მოპოვების საკუთარი წილი 15-დან 40 პროცენტამდე გაზარდოს. ამისათვის ამომავალი მზის ქვეყანა ადგილობრივ ნავთობკომპანიებში კაპიტალდაბანდების გაზრდას აპირებს.

კონკრეტული ღონისძიებებიდან განიხილება საზოგადოებრივი დაფინანსების გაზრდა და ნავთობკომპანიების დავალიანებებზე სახელმწიფო გარანტიების შემოღება. მიმდინარე თვის ბოლომდე ნავარაუდევია "ენერგეტიკის სფეროს ნაციონალიზაციის ახალი სტრატეგიის" გამოქვეყნება, რომელიც ძალაში ივნისიდან შევა.

გასული საუკუნის 60-იან წლებში იაპონიის მთავრობამ მიზნად დაისახა თავისი ნავთობმოპოვების 30 პროცენტამდე გაზრდა, მაგრამ 2000 წელს ეს გეგმა გაუქმდა, რადგან იმ დროს გაჩნდა აზრი საერთაშორისო ბაზარზე ნებისმიერი მოცულობის ენერგომატარებლის შეძენის შესაძლებლობის შესახებ. მაგრამ, ამჟამად ნავთობის გაძვირებისა და ენერგომატარებლებზე მოთხოვნილების ზრდის გამო, მთავრობამ ძველი გეგმის ამოქმედება კვლავ გადაწყვიტა.

# სტიქიური უბედურებით გამოწვეულ ზარალს დაზღვევა ანაზღაურებს

გაზაფხული საქართველოს ყველაზე რთულია პერიოდია, ვინაიდან იზრდება წყალდიდობების, ქარიშხლისა, მეწყერის რისკი.

დაზღვევა ერთადერთი მექანიზმია, რომელიც შეგვიმსუბუქებს ამ მოვლენებით მიყენებულ ზარალს. გასული ორი წლის განმავლობაში "ჯიპიაი ჰოლდინგის" მიერ რამდენიმე მილიონი ლარი ანაზღაურდა ამგვარი ზარალების გამო. შემთხვევები კი მრავალფეროვანი იყო:

■ 2002 წელს თბილისში ერთ-ერთი სასტუმროს შესასვლელი და სარდაფი დაიტბორა გადაუღებელი წვიმის გამო - ანაზღაურდა 800,000 ლარზე მეტი;

■ 2005 წელს დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი ქარხანაში ადიდებულმა მდინარემ სარდაფი და ბუნკერი დააზიანა - ანაზღაურდა 70,000 ლარამდე;

■ 2003 წელს ერთ-ერთი მსხვილი ჰიდროელექტროდსადგურის მშენებლობის დროს ჩამოწოლილმა ზვავმა მთლიანად დააზიანა სამშენებლო ტექნიკა, ნაგებობები - ანაზღაურდა 150,000 ლარამდე;

■ 2005 წელს სეტყვისგან დაზარალებულ გლეხებს კახეთში დაახლოებით 25,000 ლარი აუნაზღაურდათ.

მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ფაქტი ერთია - სტიქიური უბედურების რისკის დაზღვევა ყველაზე გავრცელებულია ცივილიზებულ მსოფლიოში, მაგრამ ნაკლებად პოპულარული საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველ წელს ამ მოვლენათაგან ასეულობით ადამიანი ზარალდება, დაზღვევას ცოტა თუ იყენებს.

"სამწუხაროდ, საქართველო წყალდიდობებისა და სეტყვის მაღალრისკიანი ზონაა. შესაბამისად, ამ მოვლენებით გამოწვეული ზარალი ყველწლიურად რამდენიმე მილიონს აღწევს" - აცხადებს "ჯიპიაი ჰოლდინგის" ზარალების ანაზღაურების მენეჯერი, დიმიტრი ძირტკბილაშვილი - "ასეულობით ადამიანი უსახლკაროდ რჩება, ნადგურდება მოსავალი. ჩვენი კომპანია რამდენიმე პროდუქტს სთავაზობს მოსახლეობას, რაც ამგვარი მოვლენების შემთხვევაში ფინანსური ზარალის ანაზღაურებას ითვალისწინებს, კერძოდ: ნებისმიერი ქონების (სახლი, ბინა, ქარხანა, ა.შ.) დაზღვევა ქარიშხლის, წყალდიდობის, სეტყვის, მიწის დაწევის, ზვავის, მიწისძვრის, სეტყვის, გვალვის რისკისგან. ეს დაზღვევა საკმაოდ იაფი ღირს და მერყეობს ქონების ღირებულების 0.5%-დან 1.5%-მდე წელიწადში. მაგალითად, თუ თქვენი სახლი 100,000 ლარი ღირს სულ რაღაც 1 ლარის გადახდა გიწევთ დღეში. წლიური გადასადახდი შეგიძლიათ ერთჯერადად დაფაროთ ან ნაწილ-ნაწილ იხადოთ თქვენთვის სასურველი გრაფიკით. ასე, რომ დაზღვევა სულაც არ არის ფუფუნების საგანი, არამედ მეტ-ნაკლებად ყველასთვის ხელმისაწვდომი ხდება."







## "თბილისის საიუველირო ქარხანა" გაიყიდა

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ აუქციონზე გამოტანილი შპს "თბილისის საიუველირო ქარხანა" (ზარაფხანა) სამშაბათს გამართულ აუქციონზე გაიყიდა. ქარხნის ახალი მეპატრონე, რომლის 100 პროცენტის მფლობელი აქამდე სახელმწიფო იყო, ქართული კომპანია შპს "გოლდ ინვესტი" გახდა, რომელმაც ობიექტში 2 მილიონ 200 ათასი დოლარი გადაიხადა.შპს "თბილისის საიუველირო ქარხანა საიუველირო ნაკეთობათა დამზადებასა და რეალიზაციას ეწეოდა. მისი პრივატიზაციის მიზნით, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ განაცხადების მიღება 13 აპრილს დაიწყო და 16 მაისს, 17 საათზე დაასრულა. საიუველირო ქარხნის საწყისი გასაყიდი ფასი 2 მილიონი დოლარი იყო. შპს "გოლდ ინვესტი" ერთადერთი იყო, ვინც ამ საწარმოს ყიდვის სურვილი გამოთქვა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ამინდი

| | 18/05 | 19/05 | 20/05 |
|---|---|---|---|
| კიევი | 23 | 20 | 22 |
| რიგა | 16 | 21 | 15 |
| ვილნიუსი | 15 | 21 | 15 |
| მოსკოვი | 18 | 17 | 17 |
| მინსკი | 19 | 20 | 20 |
| პარიზი | 20 | 14 | 10 |
| რომი | 30 | 27 | 26 |
| ლონდონი | 15 | 13 | 18 |
| მადრიდი | 27 | 29 | 26 |
| ბონი | 21 | 12 | 9 |
| ვარშავა | 22 | 20 | 16 |
| ათენა | 27 | 28 | 31 |
| ბერნი | 18 | 20 | 20 |
| ამსტერდამი | 13 | 11 | 9 |
| ოსლო | 8 | 13 | 17 |
| ანკარა | 26 | 24 | 29 |
| ვარნა | 21 | 22 | 30 |
| დელი | 48 | 48 | 44 |
| ტოკიო | 19 | 18 | 23 |
| კოპენჰაგენი | 8 | 8 | 11 |
| ბაქო | 27 | 24 | 26 |
| ერევანი | 30 | 30 | 31 |
| ასტანა | 21 | 16 | 13 |
| ჰელსინკი | 1 | 10 | 11 |
| დუბლინი | 8 | 9 | 8 |
| ლისაბონი | 23 | 23 | 23 |
| პრაღა | 22 | 18 | 16 |
| სოფია | 22 | 25 | 25 |
| ბუდაპეშტი | 23 | 18 | 25 |
| ბუხარესტი | 22 | 26 | 32 |

# "საქართველოს ბანკის" ახალი პროდუქტი "მარკეტ +"



"მარკეტ +" - ეს არის სესხი და სხვადასხვა საბანკო პროდუქტის ერთობლიობა: ოვერდრაფტი, სადებეტო და საკრედიტო ბარათი, დაზღვევა, პარალელური სამომხმარებლო სესხი და სხვა. "მარკეტ +"-ის პირობები მაქსიმალურად არის მორგებული სასურსათო მაღაზიის მფლობელთა ფინანსურ საჭიროებებზე. წლიური საპროცენტო განაკვეთი საბანკო სესხის შემთხვევაში 18 პროცენტიდან იწყება, ხოლო საშეღავათო პერიოდი 3 თვემდე გრძელდება. ლიზინგის გამოყენების შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი 15 პროცენტიდან იწყება, საშეღავათო პერიოდი კი 6 თვემდე გრძელდება. აღსანიშნავია, რომ სალიზინგო კომპანია აფინანსებს არა მხოლოდ არსებული მაღაზიის განვითარებასა და გაფართოებას, არამედ სასურსათო მაღაზიის ბიზნესის წამოწყებასაც. "მარკეტ +" მაქსიმალური თანხა 150 000 აშშ დოლარია, სესხის მაქსიმალური ვადა კი - 2 წელი. აღნიშნული პირობები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მცირე ბიზნესის განვითარებას საქართველოში.

"მარკეტ +" პაკეტში შემავალი დამატებითი პროდუქტების შეთავაზებით ბანკი გამოხატავს ნდობას თავისი კლიენტისადმი და გრძელვადიან, მყარ ურთიერთთანამშრომლობას სთავაზობს მათ. "მარკეტ +"-თან ერთად მსესხებლები ავტომატურად ხდებიან VISA ELECTRON ან MAESTRO სადებეტო ბარათის მფლობელები, რომელზეც ამ სადებეტო ბარათების გამოყენება შესაძლებელია მსოფლიოს მილიონობით სავაჭრო ობიექტში, ისევე, როგორც შესაძლებელია თანხის განაღდება "საქართველოს ბანკის" ბანკომატების ფართო ქსელსა და მსოფლიოს მრავალ წერტილში არსებულ ბანკომატებში.

"მარკეტ + "საქართველოს ბანკის" მიკროკრედიტების პროგრამის ისტორიაში განსაკუთრებული სიახლეა. პირველად საქართველოს საბანკო სექტორის პრაქტიკაში შეიქმნა პროდუქტი, რომელიც მორგებულია კონკრეტული სამეწარმეო სფეროს წარმომადგენელთა მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ სესხის გარდა, მცირე მეწარმეებს საშუალება ეძლევათ, ავტომატურად ისარგებლონ ბანკის ისეთი პროდუქტებით, როგორიცაა ოვერდრაფტი, საკრედიტო ბარათი, პარალელური სესხი და სხვა, რაც ხელს შეუწყობს მაღაზიის პატრონებს მათი ბიზნესის განვითარებაში. თანხა გონივრულად უნდა იყოს მოთხოვნილი და ჩვენ მაქსიმალურად ხელს შევუწყობთ მცირე მეწარმეებს," - განაცხადა "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ლადო გურგენიძემ.

გარდა ამ სიახლისა, "საქართველოს ბანკმა" ოფიციალურად განაცხადა იმის შესახებ, რომ ბანკის აქციონერებმა "East Capital Bering Rusia Fund"-მა და Ostinvestor-მა დაასრულეს სს "პოპულის" კაპიტალის დაფინანსების მესამე რაუნდი. ამ გარიგებით "East Capital" და "Ostinvestor" შეუერთდნენ "Firebrid Avroda Fund"-ს და თავად "საქართველოს ბანკს". "გალტ& თაგგარტ სიქიურითის"-მა ბანკის შვილობილმა საინვესტიციო კომპანიამ, აღმასრულებელი ბროკერის როლი შეასრულა. გარიგებით გათვალისწინებულია სს "პოპულის" 333, 713 ჩვეულებრივი აქციის შესყიდვა თითოეული ფონდის მიერ.

"მოხარული ვარ, რომ "პოპული", სანდომიანი და ეფექტიანი კომპანია გახდა და აგრძელებს სოლიდური საერთაშორისო ინსტიტუციონალური ინვესტორების მოზიდვას. "პოპული" "საქართველოს ბანკის" შემდეგ მეორე ქართული კომპანიაა, რომლის სააქციო კაპიტალის უმსხვილეს ნაწილს (55 პროცენტი) ინსტიტუციონალური ინვესტორები ფლობენ. ეს მეტად მნიშვნელოვანია ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების ბაზრისათვის. მინდა მივულოცო იმ "East Capital"-ს "Ostinvestro"-ს, რომლებიც "Firebird"-თან და "საქართველოს ბანკთან" ერთად მხარს დაუჭერენ "პოპულის" მომავალ ზრდასა და განვითარებას," - განაცხადა ლადო გურგენიძემ.

სს "პოპულის" გენერალური დირექტორი და დამფუძნებელი ევგენი ფიჩხაია: "ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სს "პოპულის" აქციონერები გახდნენ "Fast Capital" და "Ostinvestor"-ი.

ამასთანავე, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ვართ არასაბანკო სექტორის პირველი ქართული სააქციო კომპანია, რომლის აქციებიც შეიძინეს ასეთმა პრესტიჟულმა ინსტიტუციონალურმა ინვესტორებმა. ახალ აქციონერებთან თანამშრომლობა საშუალებას მოგვცემს ჩვენი გრძელვადიანი გეგმები კიდევ უფრო ეფექტურად განვახორციელოთ. გავზარდოთ ჩვენი სუპერმარკეტების ქსელი მრავალფორმატიანი სავაჭრო ცენტრების/მარკეტების საშუალებით, სააქციო კაპიტალში ინვესტირების მესამე რაუნდის შედეგად, გავაგრძელოთ ჩვენი კლიენტებისათვის უმაღლესი ხარისხის პროდუქციის და მომსახურების შეთავაზება. ვაპირებთ 6 ათას კვადრატულმეტრიანი ახალი საწყობის გახსნასაც."

# "საქართველოს ბანკი" თბილისის მთავრობის საბანკო მომსახურებას უზრუნველყოფს

პირველი გვერდიდან

თბილისის მერის გიგი უგულავას განცხადებით, მერიის მიერ ექსკლუზიურ საბანკო მომსახურებაზე გამოცხადებული ტენდერი დასრულდა. ამიერიდან მერიის ყველა საბანკო ანგარიშები და სახელფასო მომსახურება "საქართველოს ბანკის" მიერ განხორციელდება. მისივე თქმით, **"საბანკო მომახურებაზე გადასვლა თანამედროვე სტანდარტების დანერგვის დასაწყისია, რომელიც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში უნდა არსებობდეს. ამიერიდან მერიის საფინანსო სისტემა უფრო მოქნილი იქნება".** გიგი უგულავა ასევე აღნიშნავს, რომ **"ქალაქის მთავრობას მიმდინარე წელს დაგეგმილი აქვს "საქართველოს ბანკის" დახმარებით ფასიანი ქაღალდების გამოშვება და მერიის მიერ ზაფხულში დასაქმებული ახალგაზრდების ანაზღაურების განხორციელება ბანკის დახმარებით ".**



რაც შეეხება ბანკის პოზიციას, "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ლადო გურგენიძის შეფასებით **"საქართველოს ბანკმა ყველაზე მსხვილი კლიენტი შეიძინა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ნიშნავს, რომ დედაქალაქის ბიუჯეტი ამიერიდან კომერციული ბანკის მეშვეობით გადანაწილდება, რაც კიდევ უკეთ უზრუნველყოფს თანხების მოძრაობის გამჭირვალობას. ამასთან თბილისის ბიუჯეტის "საქართველოს ბანკში" გადმოტანით დედაქალაქის მერია ბანკისაგან ყველა სახის უმაღლესი დონის საბანკო მომსახურებას მიიღებს."**

შეგახსენებთ, რომ თბილისის მერიისთვის საბანკო მომსახურების გაწევაზე კონკურსი პირველ მარტს გამოცხადდა. მასში შვიდმა კომერციულმა ბანკმა მიიღო მონაწილეობა - "სახალხო ბანკი", "ქართუ ბანკი", "ბაზისბანკი", "საქართველოს ბანკი", "პროკრედიტბანკი" და "თი-ბი-სი ბანკი". გამარჯვებულად "საქართველოს ბანკი" დასახელდა.

მანამდე მერიის საბანკო მომსახურებას ეროვნული ბანკი უზრუნველყოფდა. "საქართველოს ბანკში" ანგარიშების გადმოტანის შემდეგ წლიურად თბილისის მთავრობის ანგარიშებს მოგების სახით 15,7 პროცენტი დაერიცხება.

# "ექსპო ჯორჯია" "კაუკაზუს ბილდ 2006"-ს მასპინძლობს

დიდუბის საგამოფენო ცენტრ "ექსპო ჯორჯია"-ს მე-11 პავილიონში, გუშინ, 17 მაისს "კაუკაზუს ბილდ 2006"-ის გამოფენა ოფიციალურად გაიხსნა. მშენებლობის, არქიტექტურის, დიზაინისა და რეკონსტრუქციის ეს გამოფენა საქართველოში უკვე მეთერთმეტედ ტარდება. გამოფენის ორგანიზაციას კომპანია "ექსპო ჯორჯია" უზრუნველყოფს.

გამოფენაზე 23 ქვეყნის სამშენებლო პროდუქციაა წარმოდგენილი. მონაწილე კომპანიები მომხმარებლებს სამშენებლო პროდუქციის ფართო ასორტიმენტს სთავაზობენ. გამოფენის ორგანიზატორები და კომპანიების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ მიერ წარმოდგენილი აბაზანები, აუზები, ავეჯი, ბრონირებული მინები, ესკალატორები, გადახურვის საშუალებები, კარების ავტომატური და დისტანციური მართვის მოწყობილობები, ლიფტები და კიდევ მრავალი თანამედროვე სამშენებლო პროდუქცია ქართველ მომხმარებელს ძალიან დააინტერესებს. ამასთან, დაინტერესებულ პირებს საშუალება მიეცემათ, უკეთ გაეცნონ პლასტმასისა და მეტალის მრეწველობის, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების, ვიდეომეთვალყურეობის და სხვა თანამედროვე საქმიანობის ძირითად დეტალებს. აღნიშნულ პროდუქციას ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, იაპონია, ისრაელი, უკრაინა, საქართველო და კიდევ სხვა ქვეყნები წარმოგვიდგენენ.

სამშენებლო გამოფენა საქართველოში 1995 წლიდან ტარდება და ამიერკავკასიის რეგიონში ის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და მნიშვნელოვან გამოფენად ითვლება. "ჩვენს მიერ ორგანიზებული გამოფენა სამშენებლო დარგში მოღვაწე ბიზნესმენებსა და სპეციალისტებს შეხვედრისა და გაცნობის საუკეთესო საშუალებას სთავაზობს. გამოფენის წარმატებაზე ისიც მეტყველებს, რომ წინა წლებთან შედარებით, ევროპისა და აზიის ქვეყნების მხრიდან გამოფენების მიმართ დაინტერესება, უფრო მეტიც, მოთხოვნილება საგრძნობლად გაიზარდა," - აცხადებს პროექტის მენეჯერი მაკა გოროზიანი.

"კაუკაზუს ბილდ 2006"-ში 80 კომპანია მონაწილეობს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ წელს გამოფენაში მონაწილეობას 43 ახალი კომპანია ღებულობს.

"კაუკაზუს ბილდ 2006"-ის გახსნის ოფიციალურ ცერემონიალს ეკონომიკის მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძეც დაესწრო. "მოხარული ვარ, რომ ამიერკავკასიაში ეს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ გამოფენად ითვლება. მშენებლობის დარგის სწრაფი ტემპებით განვითარება ჩვენი პოლიტიკისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მოგახსენებთ, რომ 2005 წელს, აღნიშნული სექტორის გნვითარების მიზნით, ჩვენ მთელი რიგი რეფორმები გავატარეთ. ამასთან, უცხოელი კოლეგების გამოცდილების გაზიარება და პროდუქციის გაცნობა ქართველი მეწარმეებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია," - აცხადებს ეკონომიკის მინისტრი.

გამოფენა "კაუკაზუს ბილდ 2006" 20 მაისამდე გაგრძელდება.

## ფონიჭალაში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია დაიწყო

თბილისის წყალმომმარაგებელმა კომპანია "თბილწყალკანალმა" ფონიჭალაში წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია დაიწყო.

ფონიჭალაში წყალსადენის არსებული ქსელები ამჟამად სრულიად ამორტიზირებულია, რაც წყლის მნიშვნელოვან დანაკარგებს და ხშირ ავარიებს იწვევს. იმის გამო, რომ ქსელი განუვითარებელია, წყალმომარაგება ხშირად ირღვევა და არასტაბილურია.

კომპანიის წარმომადგენელთა განმარტებით, ზედა ფონიჭალაში 3,5 კმ სიგრძის ქსელი შეიცვლება, რის შედეგადაც მოსახლეობას მოუგვარდება ზემოთ აღნიშნული პრობლემები, წყალმომარაგება გახდება მდგრადი და სტაბილური.

ქსელის რეაბილიტაცია და მშენებლობა "თბილწყალკანალს" 1 მლნ ლარი დაუჯდება და სამუშაოებს საკუთარი სარემონტო ბრიგადების საშუალებით განახორციელებს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ელექტროენერგიის ტარიფი აჭარასა და კახეთშიც გაიზრდება

ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი აჭარასა და კახეთშიც გაიზრდება.

აჭარის ენერგოკომპანიის ინფორმაციით, სემეკ-მა განიხილა კომპანიის მიერ შეტანილი განაცხადი ტარიფის გაზრდასთან დაკავშირებით და, "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მსგავსად, ტარიფები აჭარისა და კახეთის ენერგოკომპანიებსაც გაუზარდა.

"აჭარის ენერგოკომპანია სახელმწიფოს 100-პროცენტიანი წილით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა და იგი სამომხმარებლო ტარიფის განსაზღვრაში დამოუკიდებელი არ არის," - განაცხადეს ენერგოკომპანიაში.

ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ 11 მაისს მიღებული გადაწყვეტილებით, რეგიონული გამანაწილებელი ენერგოკომპანიებისთვის, კერძოდ, "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისთვის", კახეთის ენერგოდისტრიბუციისთვის და აჭარის ენერგოკომპანიისთვის ელექტროენერგიის ერთნაირი ტარიფები დამტკიცდა. კერძოდ, თვეში 100 კვტ/სთ-მდე ელექტროენერგიის მოხმარების შემთხვევაში, 1 კვტ/სთ ელექტროენერგია 12,98 თეთრი ეღირება, 101-დან 300 კვტ-მდე - 16,52 თეთრი, ხოლო 301 კვტ-ზე მეტი ელექტროენერგიის მოხმარების შემთხვევაში - 17,49 თეთრი.

დღესვე ელექტროენერგიის ახალ სამომხმარებლო ტარიფებთან დაკავშირებით, შეხვედრა იგეგმება პარლამენტის თავმჯდომარესთან. შეხვედრას ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური და სემეკ-ის თავმჯდომარე გიორგი თავაძე დაესწრებიან. შეხვედრაზე საუბარი იქნება როგორც რეგიონული გამანაწილებელი კომპანიებისთვის დადგენილ ახალ ტარიფზე, აგრეთვე, "თელასისთვის" განსაზღვრულ ტარიფზე. **ინტერპრესნიუსი**

## საპარლამენტო კომიტეტი ენერგოსექტორის რეორგანიზაციას მხარს უჭერს

ენერგოსექტორში ახალი სტრუქტურული ერთეულის - სს "სისტემის კომერციული ოპერატორის" ჩამოყალიბებას ითვალისწინებს საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი, რომელსაც საკომიტეტო მოსმენაზე პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა მხარი დაუჭირა. როგორც კომიტეტის სხდომაზე ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ხეთაგურმა განაცხადა, სს "სისტემის კომერციული ოპერატორის" აქციები შემდეგნაირად გადანაწილდება: 30 პროცენტი - "სახელმწიფო ენერგოსისტემაზე", 35 პროცენტი - გამანაწილებელ ენერგოკომპანიებზე და პირდაპირ მომხმარებელზე, 35 პროცენტი - ელექტროენერგიის მწარმოებლებზე. მისი განმარტებით, ელექტროენერგეტიკისა და გაზის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები ენერგოსექტორში სტრუქტურულ რეორგანიზაციას ითვალისწინებს. ხეთაგურის განცხადებით, გაუქმდება საშუალო შეწონილი ტარიფი, ყველა ლიცენზიანტს ინდივიდუალური ტარიფი განესაზღვრება. ტარიფის ზედა ზღვარს დაადგენს საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია. ხეთაგურის განცხადებით, საკანონმდებლო ცვლილებები სამომხმარებლო ტარიფზე არ აისახება. **პრაიმ-ნიუსი**

24 საათი C
© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა
"სპორტში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:
ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

მარადონა ზიდანის დაბრუნებას აპირებს



C2

ლიონელ მესი: „ვოცნებობ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გატანილ გოლზე"



C3

„მაიამი" კონფერენციის ფინალისტია



C4



სულ მალე დაიწყება წლის მთავარი სპორტული მოვლენა - მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

საზოგადოებრივი არხი და გადაცემა "არენა" ცხრიდან თოთხმეტი წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს დიდ სპორტულ ვიქტორინაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობს, რომელიც ჩემპიონატამდე სამი კვირით ადრე, 15 მაისს დაიწყება.

ვიქტორინაში გამარჯვებული ბავშვები ფეხბურთის ბურთებით დასაჩუქრდებიან და ასევე გამოვლინდება კვირის საუკეთესო კომენტატორი.

გამარჯვებულებს შეარჩევს კომპეტენტური ჟიური, რომელიც სპორტული ჟურნალისტებითა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული.

სამი გამარჯვებული ბავშვი მსოფლიო ჩემპიონატის შემაჯამებელ გადაცემაში მიიღებს მონაწილეობას. მათ აგრეთვე საჩუქრად გადაეცემათ დვდ-პლეიერები და საზოგადოებრივი არხის პროდუქცია დვდ-დისკებზე.

პირველ ადგილზე გასული ბავშვი დასაჩუქრდება ორკაციანი საგზურით ურეკში, სასტუმრო "კოლხიდაში."

მიიღეთ მონაწილეობა ვიქტორინაში!
უყურეთ ფეხბურთს!
უყურეთ პირველს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

| | |
|---|---|
| საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება: | 21 33 67 |
| სარეკლამო სამსახური: | 21 33 54, 33 23 11 |
| სპორტული რედაქცია: | 33 17 15 |




# „ბარსელონააა"!!!



კახა ფაჩუაშვილი

## „ბარსელონა" - „არსენალი" 2:1

**ბარსელონა:** ვალდესი, მარკესი, პუიოლი, ჟიული, ეტო`ო, რონალდინიო, ვან ბრონკჰორსტი, ედმილსონი (ინიესტა, 46`), ვან ბომელი (ლარსონი, 61`), დეკუ, ოლეგერი (ბელეტი, 71`).
**არსენალი:** ლემანი, ეშლი კოული, პირესი (ალმუნია, 18`), ლიუნგბერგი, ჰლები (რეიესი, 85`), ანრი, ფაბრეგასი (ფლამინი, 74`), ჟილბერტო, კემპბელი, ებოიე, ტურე.
**გოლები:** 0:1 - კემპბელი (37`), 1:1 - ეტო`ო (76`), 2:1 - ბელეტი (81`).
**გაფრთხილება:** ოლეგერი, ლარსონი, ანრი, ებოიე.
**გაძევება:** ლემანი (18`).
**მსაჯი:** ტერიე ჰაუგე (ნორვეგია).

ლონდონის „არსენალის" თამაშმა კიდევ ერთხელ დაადასტურა აქსიომა, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში ფავორიტი არ არსებობს. „ბარსელონამ" თასი მოიგო, მაგრამ გამარჯვებას ინგლისელებიც იმსახურებდნენ. მათ 72 წუთი 10 კაცის შემადგენლობით ითამაშეს და კაცნაკლულებმა მოახერხეს ანგარიშის გახსნა. ანუ არსენ ვენგერის გუნდმა გააკეთა ის, რაც შეეძლო და არავინ იცის, მატჩის ნორვეგიელ არბიტრს მე-18 წუთზე თამაში რომ არ გაეფუჭებინა, როგორ დამთავრდებოდა იგი.

ჰაუგემ თამაში გააფუჭა. მან „არსენალის" გერმანელი მეკარე იენს ლემანი ბოლო იმედის ჯარიმის გამო მინდვრიდან გააძევა. ლემანმა მასთან პირისპირ დარჩენილი კამერუნელი ფორვარდი სამუელ ეტო`ო საჯარიმოს მისადგომებთან წააქცია, მაგრამ „ბარსელონას" შეტევა გაგრძელდა და გოლით დაგვირგვინდა. რა თქმა უნდა, ბოლო იმედის ჯარიმა თანამედროვე ფეხბურთში წითელი ბარათით ისჯება, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის ფინალში, როცა თამაში ახალი დაწყებულია, მსაჯს შეეძლო სხვაგვარად განესაჯა. ანუ ვთქვათ, გოლი ჩაეთვალა და მეკარე გაეფრთხილებინა. მაშინ თამაში აბსოლუტურად სხვაგვარ ხასიათს შეიძენდა და სანახაობრივი თვალსაზრისითაც უკეთესი იქნებოდა.

ამაყ კატალონიელთა ღირსებისთვისაც სასარგებლო გამოვიდოდა იმის შეგრძნება, რომ ლიგის ფინალში 11 კაცი დაამარცხეს და არა 10, მაგრამ ჰაუგემ სხვაგვარად განსაჯა და ამით კინაღამ საბედისწეროდ დააზარალა თავად კატალონიური გრანდი. თუ მე-18 წუთამდე ლონდონელები უტევდნენ, ანრის ჰქონდა ანგარიშის გახსნის კარგი შანსი, ლემანის გაძევების შემდეგ ინგლისელებმა ყრუ დაცვაში დაიხიეს. პრაქტიკულად ცალკარა თამაში გაჩაღდა და „ბარსელონას" ძალიან გაუჭირდა ინგლისელთა დაცვის გარღვევა, რომელიც მანამდე, ლიგის 10 თამაშის განმავლობაში მტკიცე იყო. კაცნაკლულმა „არსენალმა" პირველივე კონტრშეტევა გოლით დააგვირგვინა. ეშლი კოულის წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა კარგად გამოიყენა ახლახანს ტრავმამოშუშებულმა სოლ კემპბელმა და ტიერი ანრის ფილიგრანული გადაცემის შემდეგ თავური დარტყმით გახსნა ანგარიში.

„ბარსელონა", ბუნებრივია, რომ ინგლისელთა ასეთ თავზეხელაღებულ სითამამეს არ მოელოდა და აშკარად დაბნეული ჩანდა. პირველი ნახევრის ბოლომდე კატალონიელებს არც ერთი რეალური საგოლე მომენტი არ შეუქმნიათ. მხოლოდ მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე შეძლო სამუელ ეტო`ომ მეკარე ალმუნიამდე მიღწევა და კარში დარტყმა, მაგრამ ალმუნიამ რეაგირება მოასწრო და ბურთი ძელს მოხვდა. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

უნდა ვაღიაროთ, რომ ამ წუთებში არსენ ვენგერმა ტაქტიკურად აჯობა თავის ვიზავის. ლონდონელებმა მეტოქეზე უპირატესობა თავისი სათამაშო სტილიდან გამომდინარე მოიპოვეს. სწრაფად აზღვევდნენ ერთმანეთს, სივრცე მოუსპეს რონალდინიოს, დეკუსა და სამუელ ეტო`ოს, რითიც მათ შემოქმედებითი თამაშის წარმოების საშუალება არ მისცეს და შედეგად მივიღეთ სურათი, როცა „ბარსელონამ" ვერაფერი დააკლო საათივით აწყობილ „მეთოფეებს". როგორც არ უნდა ვთქვათ, ფაქტია, რომ "არსენალი" მწვრთნელის მიერ მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში თამაშობს. ყველა ფეხბურთელი ფუტკარივით მუშაობს. იცის როდის, სად უნდა იდგეს და როცა ბურთს მიიღებს, სად უნდა გააკეთოს გადაცემა და კარში როდის დაარტყას. „ბარსელონა" კი „არსენალისგან" აბსოლუტურად რადიკალურად განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობს.

გუნდი შემოქმედი ფეხბურთელებით არის დახუნძლული და მას ვერ მიუთითებ გარკვეულ პარამეტრზე მოქმედებისკენ. ვერც დეკუს აიძულებ ამას, ვერც ეტო`ოს და მით უმეტეს ვერც რონალდინიოს. ეს ფეხბურთელები ყოველთვის და გუშინაც ისე თამაშობდნენ, როგორც იციან და მათი საფეხბურთო აზროვნება მარტოოდენ მწვრთნელის ტაქტიკურ ჩარჩოებში ვერ მოექცეოდა. სწორედ ამ შემოქმედებითი თამაშის საშუალება მოუსპეს „არსენალის" მცველებმა კატალონიელებს, როცა სამოქმედო სივრცე შეუზღუდეს და ამიტომაც გაუჭირდა „ბარსელონას" ლონდონელთა მასირებული დაცვის გარღვევა.

თუმცა ისიც ნათელი იყო, რომ კატალონიელთა გაუთავებელ ზეწოლას „არსენალი" დიდხანს ვერ გაუძლებდა და მატჩის დასრულებამდე 14 წუთით ადრე ეტო`ომ გაათანაბრა ანგარიში. კიდევ 5 წუთში კი ბელეტიმ, მარჯვენა ფრთიდან შეტევისას, ფეხებშუა გაუძვრინა ბურთი ლონდონელთა მეკარე ალმუნიას და ამით დაამთავრა კიდეც თამაში.

„ბარსელონას", ალბათ, ყველაზე დიდმა თაობამ ჩემპიონთა ლიგა მოიგო. კატალონიელები თავისი არსებობის ისტორიაში მეორედ დაეუფლნენ ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოს.

## კოკაის დადებითი ბალანსი

მაისის ბაშოს მე-11 დღეს ქართველი სუმოისტი ლევან ცაგურია (კოკაი) მე-11 მაიგეშირა ჰომაშოს დაუპირისპირდა. ამ ბრძოლამდე კოკაის 5 მოგება და 5 წაგება ჰქონდა. ამიტომ გუშინდელ დღეს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. კოკაიმ კარგად იასპარეზა და მეტოქე იორროკირის ილეთით დაამარცხა. დღეს ლევანის მეტოქე იქნება მეოთხე მაიგეშირა ტაკეკაზე, რომელიც ამ ბაშოზე წარუმატებლად გამოდის. კოკაის მომავალი მეტოქის ანგარიშზე 10 მარცხი და ერთი გამარჯვებაა.

## "მიდლსბროში" ტერი ვენეიბლზი იმუშავებს

ბრიტანული "მიდლსბროს" მთავარ მწვრთნელად ცნობილი ინგლისელი სპეციალისტი, წარსულში ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ტერი ვენეიბლზი დაინიშნა. ალბათ სიმბოლურია, რომ რივერსაიდული კლუბიდან ინგლისის ნაკრებში გადაბარგებული სტივ მაკლარენის ნაცვლად "მიდლსბროში" ინგლისელთა ექსთავკაცი დაინიშნა. სავარაუდოდ, ვენეიბლზი ინგლისის ნაკრებშიც იმუშავებს, სადაც მაკლარენის თანაშემწის პოსტს დაიკავებს.

## ისევ "იუვენტუსის" შესახებ

ჩეხი მწვრთნელი ზდენეკ ზემანი მიიჩნევს, რომ ჩაწყობილმა თამაშებმა იტალიის ბოლო 12 ჩემპიონატის შედეგებზე იქონია გავლენა. "ვფიქრობ, რომ უკანასკნელი 12 ჩემპიონატის შედეგები უნდა გადამოწმდეს. ამას წინათ გამოაშკარავებული ფაქტები მხოლოდ ერთ სეზონს არ ეხება. დიახ, ჯერჯერობით მტკიცებულებები არ არსებობს, მაგრამ მატჩების ჩაწყობის ტრადიცია სწორედ 12 წლის წინ დამკვიდრდა", - აცხადებს ზემანი. შეგახსენებთ, რომ სწორედ 12 წლის წინ ჩაუდგა სათავეში ლუჩანო მოჯი "იუვენტუსს". ამჟამად ტურინული კლუბი უმძიმეს დღეშია. ყველაზე ტიტულოვანი იტალიური კლუბი, შესაძლოა, სერია A-დან გაირიცხოს. თუ ასე მოხდა, გუნდს ალბათ დატოვებენ წამყვანი ფეხბურთელები. მაგალითად, ადრიან მუტუ ამბობს, რომ ბუქარესტის "დინამოში" გადავა სათამაშოდ.

## ტერაქტების საფრთხე

გერმანიის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის განცხადებით, მსოფლიო ჩემპიონატის, სულ მცირე, 21 მატჩზე მოსალოდნელია ტერაქტების მოწყობა. განსაკუთრებული საშიშროება ისლამური ექსტრემისტებიდან მოდის.

სარისკო მატჩებად მიჩნეულია პირველი შეხვედრა გერმანიისა და კოსტა რიკის ნაკრებ გუნდებს შორის, ტურნირის ფინალი და ყველა მატჩი, რომელშიც აშშ-ს ნაკრები მიიღებს მონაწილეობას. პოტენციურად სახიფათო მატჩების რიცხვში შედის ინგლისის, ესპანეთის, პოლონეთისა და ავსტრიის ნაკრები გუნდების მატჩებიც.

## "ბენფიკამ" მწვრთნელი იპოვა

პორტუგალიური "ბენფიკას" პრეზიდენტმა ლუის ფელიპე ვიეირამ განაცხადა, რომ უკვე იცის ვისაც დანიშნავს თავისი გუნდის ახალ მწვრთნელად, თუმცა ჯერჯერობით ერიდება მისი ვინაობის საჯაროდ დასახელებას. მოგეხსენებათ, სეზონის დასრულების შემდეგ "ბენფიკა" რონალდ კუმანმა დატოვა. ბრიტანული მედიის ინფორმაციით, ჰოლანდიელის ყველაზე რეალური შემცვლელები სვენ გორან ერიქსონი და კარლუშ კეირუში არიან.

## პრეზიდენტის მხარდაჭერა

პოლონეთის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის, სულ ცოტა, ერთ მატჩში ქვეყნის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი ტრიბუნებიდან უქომაგებს. უკვე გადაწყდა, რომ პოლონეთის პრეზიდენტი თავისი ქვეყნის ნაკრებისა და გერმანიის გუნდის მატჩს დაესწრება. კაჩინსკი მსოფლიო ჩემპიონატზე გერმანიის პრეზიდენტ ჰორსტ კოლერის მიწვევით ჩადის.

## წასვლაზე არც კი ფიქრობს

რუსი ბიატლონისტი სერგეი ჩეპიკოვი აცხადებს, რომ 2010 წლის ოლიმპიურ თამაშებში აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას. ერთი შეხედვით ამაში გასაკვირი არაფერია, თუ, რა თქმა უნდა, არ გავითვალისწინებთ ჩეპიკოვის ასაკს. 20 იანვარს რუს ბიატლონისტს 39 წელი შეუსრულდა. ტურინის ოლიმპიურ თამაშებზე იგი ყველაზე ხანდაზმული სპორტსმენი იყო. 2010 წლისთვის კი ჩეპიკოვი უკვე 43 წლის იქნება. ჩეპიკოვის გადაწყვეტილება რუსეთის ნაკრების მწვრთნელსაც კი გაუკვირდა: "ცოტა ხნის წინ სერგეის ვესაუბრე. არ დაგიმალავთ, ძალიან გამიკვირდა, როდესაც მითხრა, რომ ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება დაიწყო. თუმცა, გამიხარდა. დარწმუნებული ვარ, ვეტერანი ჩვენს გუნდს დიდ სარგებლობას მოუტანს."

## რობერტო კარლოსი "ჩელსიში" გადადის

მადრიდის "რეალის" ბრაზილიელმა მცველმა რობერტო კარლოსმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ფაქტი "ჩელსისთან" დაწყებული მოლაპარაკების თაობაზე.

"ჯერჯერობით არაფერია გადაწყვეტილი, თუმცა ვიცი, რომ "ჩელსი" ჩემი შეძენით დაინტერესებულია. ჩემი აგენტი ლონდონურ კლუბთან მოლაპარაკებას მართავს. მე კი "რეალის" პრეზიდენტის არჩევნებს ველოდები. არ ვიცი დავჭირდები თუ არა გუნდის ახალ ხელმძღვანელებს. მადრიდული კლუბის დატოვება ძალიან გამიჭირდება, მაგრამ, შესაძლოა, სხვა არჩევანი არც მქონდეს", - განაცხადა რობერტო კარლოსმა გაზეთ "მარკას" ჟურნალისტთან საუბარში.

## "ოსერმა" სანტინი დაიწუნა

ფრანგული "ოსერის" ხელმძღვანელებმა თანამდებობიდან დაითხოვეს გუნდის მთავარი მწვრნელი ჟაკ სანტინი. მიზეზი ის არის, რომ "ოსერმა" ამ სეზონში ვერ შეძლო ევროტურნირების საგზურის მოპოვება.

ჯერჯერობით უცნობია ვინ დაიკავებს სანტინის ადგილს და სად გააგრძელებს "ოსერის" მიერ დაწუნებული მწვრთნელი მუშაობას.

# მარადონა ზიდანის დაბრუნებას აპირებს



ფეხბურთის უგვირგვინო და გვირგვინიანი მეფეები.

ამას წინათ ფეხბურთის უგვირგვინო მეფე არგენტინელი დიეგო მარადონა მადრიდს სტუმრობდა. ცხადია, ესპანელმა ჟურნალისტებმა ასეთი შანსი ხელიდან არ გაუშვეს. გაზეთ „მარკას" ჟურნალისტი ხუან კასტრო ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდას შეხვდა. ინტერვიუში მარადონა ზიდანის ფეხბურთიდან წასვლაზე და მომავალ მუნდიალზე საუბრობს.

**- გეწყინათ, როდესაც გაიგეთ, რომ ზიდანი საფეხბურთო კარიერას ამთავრებს?**

- რა თქმა უნდა. თანაც, ძალიან. საწყენია, რომ მიდის. ვფიქრობ, ისეთ ასაკშია, რომ ჯერ კიდევ შეუძლია თამაში. მის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ, მაგრამ არ ვიზიარებ. არ მინდა, რომ წავიდეს. ის ხომ თავისი თამაშით მილიონობით ადამიანს ანიჭებს სიამოვნებას. მისი წასვლის შემდეგ კი ფეხბურთი ოდნავ მოსაწყენი გახდება.

**- ყველაზე მეტად რა მოგწონდათ ფრანგის თამაშში?**

- ზიდანი მასწავლებელია. დამწყებმა ფეხბურთელებმა უნდა უყურონ და ისწავლონ, თუ როგორ ფლობს ის ბურთს. იცით, ჩემთვის და რონალდინიოსთვის ბურთთან ურთიერთობა უფრო იოლია. ჩვენ ხომ მცირე გაბარიტების ვართ. ზიდანი კი თავის უზარმაზარ სხეულს უნიკალურად ფლობს. ზოგჯერ მიკვირს კიდეც, როგორ ახერხებს ასეთი ფიზიკური მონაცემების კაცი ფეხბურთის თამაშს, მაგრამ რასაც ის მინდორზე აკეთებს, ნამდვილი ჯადოქრობაა. ვნახე მის მიერ გატანილი გოლი „ვილიარეალის" კარში. თითქოს ყველაფერი ძალიან მარტივი იყო, მაგრამ ასეთი გოლის გატანას, მერწმუნეთ, ბევრი ვერ მოახერხებდა.

**- პირადად თუ იცნობთ ზიდანს?**

- დიახ. ძალიან მორიდებული ადამიანია. ენცო ფრანჩესკოლი ხშირად მიყვებოდა „ზიზუზე". შემდეგ ვთხოვე, ჩემთვის გაეცნო და დავრწმუნდი, რომ მხოლოდ კარგი ფეხბურთელი კი არა, ბრწყინვალე ადამიანიცაა. აუცილებლად ვნახავ და ვთხოვ გადაიფიქროს. მინდა გადაწყვეტილება შეავცვლევინო და ფეხბურთში დავტოვო. მისი თამაში სიამოვნებას მანიჭებს. ჩვენ ხომ „ზიზუ" მოგებული ტიტულების გამო არ გვიყვარს. ის ფეხბურთელია, რომლიც ფეხბურთს სანახაობად აქცევს.

**- როგორ ფიქრობთ, დაიკავებს თუ არა ზიდანი ადგილს ხუთ ლეგენდას შორის - პელე, დი სტეფანო, კრუიფი, ბეკენბაუერი და მარადონა?**

- არ მოყვარს ამ თემაზე საუბარი. რატომ იცით ჟურნალისტებმა ასეთი დაყოფა? მახსოვს, როცა იტალიაში ვთამაშობდი, სულ ამბობდნენ, ვინ არის უკეთესი - მარადონა, გულიტი თუ ვან ბასტენიო. რატომ ადარებენ ფეხბურთელებს ერთმანეთს? თითოეულმა ჩვენგანმა ფეხბურთში განუმეორებელი კვალი დატოვა. ზიდანიც ასეთია.

**- ერთი წლის წინათ თქვენ მითხარით, რომ რაული მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. ახლაც ასე ფიქრობთ?**

- რა თქმა უნდა. არ მესმის, რატომ აკრიტიკებენ. რაული კიდევ ბევრს გააკეთებს ესპანური ფეხბურთისთვის.

**- რაკი ესპანური ფეხბურთიახსენეთ, მიპასუხეთ, შეძლებს თუ არა ესპანეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებით თამაშს?**

- დიახ. ესპანელებს ფავორიტებად არ მიიჩნევენ და ეს ძალიან კარგია.

**- რა რჩევას მისცემდით ესპანეთის ნაკრებს?**

- კარგად მოემზადონ ტურნირისთვის. ვფიქრობ, ესპანეთის ნაკრებს ოთხეულში შეუძლია მოხვედრა.

**- ბოლო დროს ახალგაზრდა ესპანელი ფეხბურთელებიდან რომელი მოგეწონათ?**

- სესკ ფაბრეგასი და ხოსე ანტონიო რეიესი.

**- რამდენად სამართლიანია, რომ ხავიერ ძანეტი არგენტინის ნაკრებს მიღმა დარჩა?**

- არა აქვს მნიშვნელობა ვინ წაიყვანა პეკერმანმა გერმანიაში. თუ ის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს მოიგებს, არგენტინაში ძეგლს დავუდგამთ. შემდეგ ყოველდღე მივალთ ამ ძეგლთან და ვაკოცებთ. თუ ვერ მოიგო, საშინელ დღეში ჩავაგდებთ.

**- რიკელმეზე რას იტყვით?**

- ფენომენალური ფეხბურთელია. როდესაც „არსენალთან" შეხვედრაში პენალტი ვერ გაიტანა, გულშემატკივართა რისხვა დაატყდა თავს. ყველა აკრიტიკებდა, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ასეთ მომენტში მხოლოდ ნამდვილ ლიდერს შეუძლია საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება და ეს რომანმა გააკეთა. რიკელმეს ყველაფერი აქვს. ერთადერთი, რასაც ვთხოვ, ისაა, რომ მუნდიალისთვის სრული მობილიზაციით მოემზადოს.

**- არ შემიძლია არ გკითხოთ მადრიდის „რეალის" შესახებ. თქვენი აზრით, რა სჭირს სამეფო გუნდს?**

- ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. მე ხომ არ ვიცი, რა ხდება გუნდის შიგნით. ცხადია, გუნდს ცვლილებები სჭირდება. საერთოდ, ფეხბურთი მეტად არაპროგნოზირებადია. მაგალითად, ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ პერესი თანამდებობას დატოვებდა.

**- როგორი მწვრთნელი უნდა დაინიშნოს „რეალში"?**

- რა მნიშვნელობა აქვს მწვრთნელს. ფეხბურთს ფეხბურთელები თამაშობენ. თქვენ რა გგონიათ, რონალდოს მწვრთნელის მითითებით გააქვს გოლები? მთავარია გუნდში იყვნენ ფეხბურთელები, რომლებსაც თამაშის სურვილი და უნარი აქვთ.

# აბრამოვიჩი „დინამოს" უმიზნებს



რომან აბრამოვიჩი მოსკოვის „დინამოს" შეძენაზე ფიქრობს.

იმ დღიდან მოყოლებული, რაც რომან აბრამოვიჩმა ლონდონის „ჩელსი" შეიძინა და ამ კლუბის არსებობაში ახალი ისტორია შექმნა, რუსი ოლიგარქი მიღწეულზე გაჩერებას არ აპირებს და, ყოველდღიურად თუ არა, თითქმის ყოველთვიურად თავისი ხმაურიანი ტრანსფერებითა და განცხადებებით აკვირვებს ფართო საზოგადოებას.

წლევანდელი საზაფხულო სეზონის ყველაზე სენსაციური ტრანსფერიც ალბათ რომან აბრამოვიჩის სახელს დაუკავშირდება, რადგან მან თითქმის უკვე ხელთ იგდო „მილანის" უკრაინელი ფორვარდი ანდრეი შევჩენკო. „სან სიროდან" უკრაინელის წამოყვანა კი რჩეულთა ხვედრია, რადგან მხოლოდ 70 მილიონი დოლარის გადახდის შედეგად მიაღწევთ მიზანს.

რამდენიმე დღის წინ რუსული პრესისთვის აბრამოვიჩის გეგმები კიდევ ერთხელ გახდა ფართო განსჯის საგანი. გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა რუსეთის ყველაზე მდიდარი ადამიანის მორიგი შენაძენი გახდეს კიდევ ერთი საფეხბურთო კლუბი. ამჯერად ეს მოსკოვის „დინამო" იქნება. მით უმეტეს, რომ კლუბის გაყიდვით მისი ახლანდელი მფლობელი კომპანია „ფედკომის" პრეზიდენტი ალექსეი ფიოდოროვიჩიც ძალიან დაინტერესებულია.

ფიოდოროვიჩის იმპერიის ფინანსურ კრიზისზე უკვე კარგა ხანია ლაპარაკობენ დიდ რუსეთში - მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელებს სამი თვეა ხელფასი არ მიუღიათ, სხვა თანამშრომლებს კი - უფრო დიდი ხანია. კლუბის ხელმღვანელობას საკმაოდ დიდი ვალი აქვს პორტუგალიური „პორტუსის", რომლისგანაც ერთი წლის წინ რამდენიმე ფეხბურთელი შეიძინეს.

ფიოდოროვიჩი კარგა ხანია არ გამოჩენილა მოსკოვში. ეჭვობენ, რომ მას მოსკოვის „დინამოს" მონაწილეობით რუსეთის ჩემპიონატის ერთი მატჩიც არ უნახავს. მას ხან ბელორუსში, ხან უკრაინაში, ხანაც მონაკოში გაქცევას აბრალებენ.

დინამოელები ელოდნენ, რომ ფიოდოროვიჩი „სპარტაკთან" მატჩზე მაინც გამოჩნდებოდა, რადგან ამ მატჩს პრემიერლიგის ჩემპიონის ვინაობა უნდა გაერკვია. თუმცა, ბიზნესმენი სტადიონზე არ მისულა. ამან კიდევ უფრო გაამყარა ეჭვი, რომ ფიოდოროვიჩს ფეხბურთი აღარ აინტერესებდა.

ექსპერტთა აზრით, საფეხბურთო ბიზნესიდან მისი წასვლა „დინამოს" ცენტრალური საბჭოდან ზეწოლას მოჰყვა. უმაღლესი საბჭოს ჩინოვნიკებს უნდოდათ, რომ კომერსანტს საფეხბურთოს გარდა, ჰოკეის იგივე სახელწოდების კლუბი შეეძინა. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ჰოკეით ფულის შოვნა „ფედკომის" პრეზიდენტის გეგმებში არ შედიოდა. მით უმეტეს, რომ, თუ ასე მოხდებოდა, მისი გადასახდელი იქნებოდა კლუბის ვალი - 12 მილიონი დოლარი.

პოპულარული გამოცემა „ფორბსის" რეიტინგის მიხედვით, რომელიც ყოველწლიურად აქვეყნებს მდიდარი ხალხის ასეულს, ფიოდოროვიჩი 450 მილიონი დოლარით აღმოჩნდა რუსეთის ყველაზე მდიდარ ადამიანთა ნუსხაში.

აქედან 70 მილიონი მან გასულ წელს დახარჯა „დინამოში" ახალი ფეხბურთელების შეძენის მიზნით. მისმა შვილობილმა სატელევიზიო კომპანიამ კი რუსეთის ჩემპიონატის მატჩების ტრანსლირების უფლება შეიძინა. გარდა ამისა, სეზონის წინ ბიზნესმენი გულშემატკივრებს შეჰპირდა, რომ გუნდისთვის ახალ სტადიონს ააშენებდა, რომელშიც 150 მილიონ დოლარს დახარჯავდა. თუმცა ჯერჯერობით დაპირება დაპირებად რჩება.

სამწუხაროდ, ფიოდოროვიჩის საფეხბურთო ბიზნესი ვერ აეწყო. ფეხბურთში მას მხოლოდ ფულის ხარჯვა უწევდა და არა შოვნა. მაგალითად, „დინამოს" მეპატრონემ „პორტუდან" პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველი კოშტინია და მანიშე 21 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეიძინა. შესაბამისად, თითოეულში 16,5 და 4,5 მილიონი გადაიხადა. საბოლოოდ მანიშე იჯარით ლონდონის „ჩელსის" დაუთმეს, სიომინის მიერ ათვალწუნებულმა კოშტინიამ კი „დინამოს" სასამართლოში უჩივლა და არა მხოლოდ სამი თვის ხელფასის ანაზღაურება, არამედ მილიონი დოლარი მოითხოვა კომპენსაციის სახით. სიომინმა ასევე ვერააწყო ურთიერთობა ბერძენ იურკას სეიტარიდისთან (10 მილიონი ევრო) და ნიგერიელ ჯოზეფ ენაკარხირესთან (7 მილიონი ევრო). ვერც ერთმა მათგანმა ვერ გაამართლა მათზე გაცემული ავანსი. შესაბამისად, მათი სატრანსფერო თანხაც გაზრდის ნაცვლად შემცირდა.

ერთადერთი, რაც შეიძლება ფიოდოროვიჩის წარმატებად მივიჩნიოთ, ასევე პორტუგალიელ დანიში გადახდილი თანხაა, რომელიც „დინამოს" სულ რაღაც 2,5 მლნ დოლარი დაუჯდა, თუმცა დანის ფასი ერთიორად გაიზარდა.

„ფედკომის" პრეზიდენტს „ჩელსის" მფლობელი რომან აბრამოვიჩი თუ გადაარჩენს. გასული წლის ბოლოს რუსმა მაგნატმა გაყიდა „სიბნეფტისა" და „გაზპრომის" აქციები და ცსკ-ს სპონსორობაზეც უარი თქვა. თუმცა, აბრამოვიჩს მაინც არ გაუქრა რომელიმე რუსული კლუბის ფლობის სურვილი. მისივე თქმით, მას ისეთი გუნდები აინტერესებს, როგორებიც არიან „სპარტაკი", „დინამო" და „ლოკომოტივი". მაგრამ თეთრ-წითლების უკან „ლუკოილი" დგას, რკინიგზელებს კი ძალიან ძლიერი მფარველი ჰყავთ. ასე რომ, აბრამოვიჩს „დინამოღა" რჩება, რომელიც დღეს რუსეთის პრემიერლიგის ცხრილის თითქმის ბოლოშია. ივნისში კი 30 წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც მოსკოველებმა ქვეყნის ჩემპიონობა მოიგეს.

ბოლოს კი აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ: აბრამოვიჩის მისვლამდე „ჩელსის" პრემიერლიგა 50 წელი არ ჰქონდა მოგებული.

## ინფოთეკა

### რაიკონენმა ჩემპიონობაზე უარი თქვა

„მაკლარენის" პილოტმა კიმი რაიკონენმა ესპანეთის გრან-პრიზე მეხუთე ადგილი დაიკავა, რის შემდეგაც ფინელი ავტომრბოლი აცხადებს, რომ მისთვის ჩემპიონობისთვის ბრძოლა დასრულებულია.

„ბარსელონის ტრასა ერთგვარი კატალიზატორია. ესპანეთის გრან-პრიზე გამოჩნდა, რომ ჩვენი ბოლიდები მეტოქეებს კონკურენციას ვერ უწევენ. იმედია, მონაკოში უკეთ გამოვალთ, მაგრამ ილუზიები არ მაქვს, მშვენივრად ვხვდები, რომ ამ სეზონში ჩემპიონობისთვის ვერ ვიბრძოლებ", - ამბობს კიმი რაიკონენი.

### ფერარი პილოტებს დაასახელებს

„ფერარის" ტექნიკურმა დირექტორმა ჟან ტოდმა განაცხადა, რომ იტალიის გრან-პრის წინ დაასახელებს იმ პილოტების ვინაობას, რომლებიც მომავალ სეზონში „ფერარის" საჭინიბოს ღირსებას დაიცავენ.

„უკვე მომბეზრდა ჩვენს გარშემო გავრცელებული ჭორები. იმედია, იტალიის გრან-პრიმდე მიხაელი საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს და მონაცზე გასამართი რბოლის წინ გაცნობებით იმ პილოტების ვინაობას, რომლებიც მომავალ სეზონში იქნებიან ჩვენს გუნდში", - ამბობს ტოდი.

### მუსიკოსთა შენაძენი

ბრემენის „ვერდერმა" უკვე გააფორმა კონტრაქტი „ინტერის" კამერუნელ ნახევარმცველ პიერ ვომესთან. ახლა ბრემენელები „რომაში" მოასპარეზე სემი კუფურის გადაბირებას ცდილობენ. 30 წლის განელის ბედი ალბათ მუნდიალის შემდეგ გაირკვევა. საქმე ის არის, რომ კუფურს „ვერდერის" გარდა კიდევ რამდენიმე სოლიდური კლუბი ეპატიჟება.

### „უდინეზე" ურუგვაელი ვარსკვლავით ძლიერდება

იტალიური „უდინეზე" მზადაა შეიძინოს ურუგვაული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი, 19 წლის ხუან ინასიო სურაკო ლამე. ამჟამად სურაკო „ცენტრალ ესპანიოლის" წევრია და უკვე მიიწვიეს ურუგვაის ნაკრებში. ურუგვაული კლუბი ფეხბურთელის ტრანსფერში 1,2 მილიონ ევროს ითხოვს.

სურაკოს შეძენის შემდეგ „უდინეზეს" დატოვებენ ხოსე არნულფო მონტიელა და ალექსის სანჩესი.

### „ბოლტონის" რეკორდული ტრანსფერი

უახლოეს მომავალში „ბოლტონმა" შესაძლოა შეიძინოს „კრისტალ პალასის" ფორვარდი ენდი ჯონსონი. რიბოკელებს ამ ფეხბურთელში 7 მილიონი გირვანქა სტერლინგის გადახდა მოუწევთ, რაც კლუბის ისტორიაში სარეკორდო სატრანსფერო თანხა იქნება.

„ბოლტონის" მწვრთნელის სემ ელერდაისის თქმით, ჯონსონი ერთადერთი ფორვარდია, რომლის შესაძენი თანხაც კლუბს აქვს.

### ასაუერი გადადგა

„შალკეს" გენერალური მენეჯერ რუდი ასაუერი გუშინ თანამდებობიდან გადადგა. ასეთი ინფორმაცია გაავრცელა გერმანული კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა.

ბუნდესლიგის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურის თანამდებობიდან წასვლა „შალკეს" წარუმატებელი სეზონის ბრალია. ამ სეზონში „ხუმარებმა" გერმანიის ჩემპიონატში მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავეს, უეფას თასის გათამაშებას კი ნახევარფინალურ ეტაპზე გამოეთიშნენ.

### პირესი მომავალ კვირაში „მყვინთავი" გახდება

ესპანურ კლუბ „ვილიარეალის" პრეზიდენტის ფერნანდო როიგის თქმით, „არსენალის" ფრანგი ვარსკვლავი რობერ პირესი მომავალ კვირაში „ვილიარეალის" ფეხბურთელი გახდება.

პირესმა ჯერ კიდევ „ვილიარეალისა" და „არსენალის" ჩემპიონთა ლიგური დაპირისპირების შემდეგ განაცხადა, რომ აპირებდა ესპანურ კლუბში გადასვლას. როგორც ჩანს, ფეხბურთელი და „ვილიარეალი" უკვე ყველაფერზე შეთანხმდნენ. ამავე დროს გაცნობებთ, რომ „ვილიარეალმა" უკვე შეიძინა თურქი ფორვარდი ნიჰათი, რომელმაც „მყვინთავებთან" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

## ინფოთეკა

### ჯერარდი თავდამსხმელი?

მოგეხსენებათ, ინგლისის ნაკრებს საკმაოდ სერიოზული პრობლემები აქვს შეტევის ხაზში. რუნი და ოუენი ტრავმირებლები არიან და, შესაძლოა, მსოფლიო ჩემპიონატზე სრული დატვირთვით ვერ ითამაშონ. ამ ვითარებაში სვენ გორან ერიქსონმა მეტად ორიგინალური და, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი გამოსავალი იპოვა. შვედი სპეციალისტის თქმით, სტივენ ჯერარდმა მსოფლიო ჩემპიონატზე, შესაძლოა, ფორვარდის პოზიციაზე ითამაშოს.

„სტივენი უნივერსალური ფეხბურთელია. მას ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში. თუ საჭირო გახდა, სწორედ მას გამოვიყენებ ფორვარდად“, - ასეთი განცხადება გააკეთა ერიქსონმა სააგენტო ბიბი-სის ჟურნალისტთან საუბარში.

### ტერლიცის არჩევანი

იტალიურ კლუბ „პალერმოს“ მცველი კრისტიან ტერლიცი იტალიელ ჟურნალისტებთან საუბარში გამოტყდა, რომ კლუბის შეცვლას აპირებს. „სიცილიური გუნდით კმაყოფილი ვარ, მაგრამ დადგა ცვლილებების დრო. „პალერმოში“ უამრავი მეგობარი შევიძინე და, შესაძლოა, ოდესმე დავბრუნდე კიდეც ამ გუნდში, მაგრამ ახლა კლუბი უნდა შევიცვალო“, - აცხადებს ტერლიცი.

სავარაუდოა, რომ 27 წლის მცველი ერთ-ერთ დედაქალაქურ კლუბში გააგრძელებს კარიერას. ტერლიცის „რომა“ და „ლაციო“ ეპატიჟებიან.

### ვუჩინიჩი 8.5 მილიონი ღირს

„რომა“, „ინტერი“ და „მილანი“ - აი, იმ გუნდების სია, რომლებიც „ლეჩეს“ ფორვარდ მარკო ვუჩინიჩის შეძენას ცდილობენ.

„უფრო დიდი ინტერესი „რომადან“ და „ინტერიდან“ მოდის. არსებობს ასევე „მილანიც“, თუმცა სერიოზული წინადადება ამ კლუბისგან არ მიგვიღია“, - აცხადებს „ლეჩეს“ პრეზიდენტი კარლო რეგალია.

იტალიის ელიტური დივიზიონიდან გავარდნილმა გუნდმა ვუჩინიჩის სატრანსფერო ფასიც დაასახელა. „ლეჩე“ ფეხბურთელში 8.5 მილიონ გირვანქა სტერლინგს ითხოვს.

### ჩემპიონატამდე გაკოტრდა

კომპანიამ, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის თილისმა „ლომი გოლეო“ შექმნა, საკუთარი გაკოტრების შესახებ გააკეთა განცხადება. სააგენტო როიტერის ცნობით, ამის მიზეზი ისაა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის თილისმაზე დიდი მოთხოვნილება არ არის. ცნობისთვის გეტყვით, რომ ერთი „გოლეოს“ ფასი 19.95 ევროა.

### ადვოკაატი ნევისპირელია

რუსული მედიის ინფორმაციით, სანქტ-პეტერბურგის „ზენიტის“ მთავარ მწვრთნელად დიკ ადვოკაატი დაინიშნა. რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიტალი მუტკომ რუს ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მის ხელთ არსებული ინოფრმაციით, ნევისპირული კლუბის ხელმძღვანელებმა უკვე გააფორმეს კონტრაქტი ჰოლანდიელ სპეციალისტთან.

### „ტოტენჰემმა“ ბერბატოვი დაიბევა

1 ივლისს ბულგარელი ფორვარდი დიმიტარ ბერბატოვი ლონდონურ „ტოტენჰემთან“ გააფორმებს კონტრაქტს. 25 წლის ფეხბურთელი უკვე შეუთანხმდა ლონდონური კლუბის მესვეურებს პირადი კონტრაქტის დეტალებზე. ლევერკუზენის „ბაიერი“ ამ ტრანსფერიდან 10.9 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს. სავარაუდოდ, ბერბატოვი პრეიმერლიგის კლუბთან 5-წლიან კონტრაქტს გააფორმებს.

### კორეული ვარიანტი

ალბათ გახსოვთ, რომ 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის დაწყების წინ რუსეთის ნაკრების ფეხბურთელთა ცოლები მეტად თამამ ნაბიჯზე წავიდნენ, რათა რუსეთის ნაკრებისთვის მხარდაჭერა გამოეხატათ. ცხრა ფეხბურთელის მეუღლემ ერთ-ერთი ჟურნალისთვის „ნიუს“ სტილის ფოტოები გადაიღო. ფეხბურთელთა ცოლებს არ მოერიდათ და ფოტოკამერის წინ გაშიშვლდნენ.

ახლა კი დაახლოებით ანალოგიური რამ კორეის ნაკრების გულშემატკივრებმა გააკეთეს. ფეხბურთელთა ცოლები კამერის წინ არ გაშიშვლებულან, სამაგიეროდ ნაკრების მხარდასაჭერად გამოვიდა კალენდარი, რომელზეც ცნობილი კორეელი მოდელები შიშვლები არიან აღბეჭდილი.

# გლეიზერის წარმატებული დებიუტი

დაახლოებით ერთი წლის წინ სპორტულ მედიაში მხოლოდ ერთ თემაზე საუბრობდნენ - „მანჩესტერ იუნაიტედი“ ამერიკელმა ბიზნესმენმა მალკოლმ გლეიზერმა შეიძინა. ერთი წლის წინ ამ ფაქტმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ბრიტანეთში შიშობდნენ, რომ ამერიკელი მაგნატი ტრადიციულ ინგლისურ გუნდს ბოლოს მოუღებდა. ეგ კი არა, შეიქმნა სპეციალური ორგანიზაციები, რომლებიც გლეიზერის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. „გადავარჩინოთ „მანჩესტერი!“ - ამ ლოზუნგით არაერთი მანიფესტაციაც კი მოეწყო.



„მანჩესტერში“ გლეიზერის ეპოქა დაიწყო.

გავიდა ერთი წელი და ალბათ ლოგიკურია კითხვა: რა მოუტანა „მანჩესტერს“ გლეიზერის ერთწლიანმა ბატონობამ?

შეიძლება ითქვას, რომ ამ კითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვანია - გლეიზერმა სადებიუტო წელი წარმატებულად განვლო და სკეპტიკოსთა პროგნოზი არ გამართლდა. ამერიკელმა დაამტკიცა, რომ წარმატების მიღწევა ევროპაშიც შეუძლია. გლეიზერმა ყველას დაანახა, რომ მხოლოდ ამერიკული ფეხბურთი როდია მისი საზრუნავი. ბრიტანელებისთვის მიუღებელმა პიროვნებამ გვიჩვენა, რომ ევროპულ სპორტულ ბიზნესშიც მშვენივრად ერკვევა.

რა იძლევა ამის თქმის უფლებას? პირველ რიგში ჭკვიანური სატრანსფერო პოლიტიკა. მანკუნიანურმა კლუბმა ამ სეზონში არც ისე ბევრი დახარჯა. გუნდის ყველაზე ძვირად ღირებული შენაძენი ნემანია ვიდიჩია, რომელშიც „მანჩესტერმა“ 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა.

ასევე უდიდესი ფინანსური მიღწევაა სატიტულო სპონსორის შეცვლა. როდესაც გლეიზერმა „მანჩესტერი“ შეიძინა, კლუბის გენერალური სპონსორი იყო კომპანია Vodafone, რომელმაც ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გაწყვიტა ურთიერთობა კლუბთან, რამაც „მანჩესტერი“ რთულ ფინანსურ მდგომარეობაში ჩააგდო. თუმცა გლეიზერმა სწრაფად იპოვა Vodafone-ის შემცვლელი. კლუბთან კონტრაქტის გაფორმება ერთდროულად ისურვა ორმა მსხვილმა კომპანიამ - მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა სადაზღვევო კომპანია AIG-მა და ცნობილმა ფირმამ Mention, რომელიც პოპულარული ინტერნეტ-კაზინოს მფლობელია. თანაც Mention-მა „მანჩესტერს“ ოთხწლიან კონტრაქტში 70 მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზა, რაც ასეთი ტიპის გარიგებებში რეკორდული მაჩვენებელი იქნებოდა, მაგრამ გლეიზერმა ეს წინადადება უარყო. საქმე ისაა, რომ Mention-ი მოგებიდან წილს ითხოვდა.

რაც შეეხება AIG-ს, ამ კომპანიამ ოთხწლიან კონტრაქტში „მანჩესტერს“ 56,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზა - დაახლოებით 98 მილიონი დოლარი. „მანჩესტერმა“ ეს წინადადება მიიღო. ახლა გამოდის, რომ გუნდი ოთხი წლის განმავლობაში AIG-სგან ყოველწლიურად 25 მილიონ დოლარს მიიღებს.

ამაზე უკეთესი საკონტრაქტო პირობები აქვს მხოლოდ ტურინის „იუვენტუსს“, რომელიც ლიბიურ ნავთობკომპანია Tamoil-თან გაფორმებული კონტრაქტის თანახმად წელიწადში 26 მილიონ დოლარს იღებს. შედარებისთვის გეტყვით, რომ ლონდონის „ჩელსისა“ და კომპანია „სამსუნგს“ შორის არსებული ხელშეკრულების თანახმად „არისტოკრატიული“ გუნდი წელიწადში დაახლოებით 18 მილიონ დოლარს იღებს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ გლეიზერმა საკმაოდ სწრაფად მოახერხა Vodafone-ის გამო შექმნილი პრობლემის მოგვარება. მეტიც, ამერიკელმა თავის კლუბს უკეთესი სატიტულო სპონსორი უშოვა. ერთი სიტყვით, ფინანსური კრიზისი საკმაოდ სწრაფად დაიძლია.

ახლა რაც შეეხება წმინდა სპორტულ მხარეს. ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ფერგიუსონის გუნდისთვის ეს სეზონი წარმატებული იყო. კრახი ჩემპიონთა ლიგაში და მხოლოდ მეორე ადგილი ინგლისის ჩემპიონატში. ცხადია, ასეთი შედეგით „მანჩესტერ იუნაიტედის“ დონის გუნდი ვერ დაიკვეხნის. მაგრამ პროგრესი აშკარაა. თუ სეზონის დასაწყისში გუნდი მართლაც არადამაჯერებლად თამაშობდა, სეზონის ბოლოს ვითარება გამოსწორდა და მანკუნიანელებმა „ჩელსის“ ჩემპიონობისთვის ბრძოლაც კი გაუმართეს.

აგრეთვე უკვე ცნობილია, რომ მომავალი სეზონისთვის ფერგიუსონი ახალი ფეხბურთელების შესაძენად 100 მილიონ დოლარს მიიღებს. ეს იმის ნიშანია, რომ მომავალ სეზონში „მანჩესტერი“ რამდენიმე ძლიერ ფეხბურთელს დაიმატებს და „ჩელსის“ რეალური კონკურენტი გამოუჩნდება.

# ლიონელ მესი: „ვოცნებობ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გატანილ გოლზე“

მარი ჭავახიშვილი



ლიონელ მესი „ახალ მარადონად“ შერაცხეს.

„ბარსელონას“ შემადგენლობაში გამოჩენის პირველივე დღიდან არგენტინელი ვუნდერკინდი ლიონელ მესი საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. ესპანურმა თუ არგენტინულმა პრესამ ის მაშინვე მონათლეს „ახალ მარადონად“.

თინეიჯერი ფეხბურთელი თავის დროზე ავადმყოფობის გამო მოხვდა ესპანეთში - 11 წლისას ექიმებმა დაუდგინეს, რომ ჰორმონების დარღვევა ჰქონდა, რის გამოც სიმაღლეში არ იზრდებოდა. ოჯახს მისი მკურნალობისთვის საკმარისი თანხა არ ჰქონდა და აპენინებზე, კერძოდ, ბარსელონაში მოუხდათ გადაბარგება. ორწლიანი მკურნალობის შემდეგ 13 წლის მესიმ სიმაღლეში ზრდაც დაიწყო და ფანტასტიკური თამაშიც, რითაც თვით „ბარსელონას“ ხელმძღვანელთა ყურადღება მიიქცია.

ერთი წლის შემდეგ არგენტინის 21 წლამდელთა ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონი და 6 გატანილი გოლით იმ ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატზე „ბარსას“ არგენტინელი თავდამსხმელი თავისი ქვეყნის პირველი გუნდის ღირსებას დაიცავს.

რამდენიმე თვის წინ მიღებული ტრავმისგან ახალგამოჯანმრთელებულ ლიონელ მესის ესპანური „მარკას“ ჟურნალისტი ესაუბრა:

**- მართალია, რომ ძალიან გიყვართ კომპიუტერული საფეხბურთო თამაშები და ამ თამაშში ხშირად მილანის „ინტერის“ ღირსებას იცავთ?**

- ერთიც და მეორეც სრული ჭეშმარიტებაა. ყველაზე ხშირად კი ვირტუალურ სამყაროში რონალდინიოს პირისპირ მიწევს თამაში, რომელსაც ჩემსავით უყვარს კომპიუტერული თამაშები. როცა შეკრებებზე მივდივართ, მე და რონის თან მიგვაქვს ნოუთბუქები და ერთმანეთის წინააღმდეგ ვთამაშობთ.

**- როგორია მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის პირისპირ თამაში?**

- უდიდესი სიამოვნებაა.

**- სად უფრო ძლიერია ბრაზილიელი - ვირტუალური თუ რეალური ფეხბურთის სამყაროში?**

- ვირტუალურ ფეხბურთში ძალიან ძლიერია, რეალურ სამყაროში კი ბადალი არ ჰყავს. ორივეგან ის „ბარსელონასა“ და ბრაზილიის ღირსებას იცავს. მე კი ვცდილობ ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიო „ინტერის“ მაისურით. ხანდახან გამომდის კიდეც. ზოგჯერ საკუთარ თავს გამოვუტყდები ხოლმე, რომ ნამდვილ ზღაპარში ვცხოვრობ. როცა ფეხბურთის თამაშს ვიწყებდი, ვერ წარმოვიდგენდი, რომ ისეთი ვარსკვლავების გარემოცვაში მომიწევდა ყოფნა, როგორებიც ბარსელონაში“ არიან თავმოყრილნი. ვერც ვიოცნებებდი, რომ მოედანზე მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის პატრნიორი ვიქნებოდი და ფეხბურთისგან თავისუფალ დროს მასთან ერთად გავატარებდი. უზომოდ მადლობელი ვარ რონალდინიოსი ჩემი გამხნევებისთვის. არასოდეს დამავიწყდება, როგორ ჩამიკრა გულში, როცა „ბარსას“ შემადგენლობაში პირველი გოლი გავიტანე, მერე კი გასახდელში მოვიდა და საოცრად თბილი სიტყვები მითხრა. ეს სიტყვები არასოდეს დამავიწყდება.

**- ბავშვობაში ვინ იყო თქვენი კერპი?**

- სიმართლე გითხრათ, ზუსტად არ მახსოვს. მახსოვს, რომ 14 წლისა „რივერ პლეიტში“ მოთამაშე პაბლო აიმარით ვიყავი აღფრთოვანებული. ოდნავ მოგვიანებით, როცა პაბლო ესპანეთში გადმობარგდა და მასთან შეხვედრა მომიხდა პრიმერადივიზიონში, ვთხოვე, „ვალენსიას“ 21-ნომრიანი მაისურა ეჩუქებინა. მატჩის შემდეგ კი, როცა გამოლაპარაკებაც მოვახერხე, სიხარულისგან მეცხრე ცაზე ვიყავი. აიმარი დიდებული ფეხბურთელია. იმედი მაქვს, კიდევ არაერთხელ შევხვდებით ერთმანეთს.

**- „ბარსელონაში“ მოხვედრის პირველი დღეებიდან რა მოგონებები შემოგრჩათ? მაშინ ხომ სულ რაღაც 13 წლისა იყავით...**

- როცა პირველად „ბარსას“ გასახდელის ზღურბლს გადავაბიჯე, ისე შემეშინდა, რომ მწვრთნელს ვთხოვე, ნება დაერთო სადმე სხვაგან გამომეცვლა. ისე დავიბენი და დავიძაბე, რომ გამიჭირდა ასეთი დონის კლუბის გასახდელში შესვლა. მაგრამ მალე ამიხსნეს, რომ სანერვიულო არაფერი მქონდა, უნდა გამეაზრებინა, რომ უდიდეს გუნდში ვითამაშებდი და ვალდებული ვიყავი, მკაცრი დისციპლინა დამეცვა.

**- მაშინაც დაიბენით, როცა ლეგენდარულმა მარადონამ თქვა, რომ მოსწონს თქვენი თამაში? ამით ხომ პირდაპირ მიანიშნა, რომ მისი მემკვიდრე ხართ...**

- მარტო ისიც, რომ ჩემი სახელი მარადონამ ახსენა, უკვე დიდი პატივია ჩემთვის. ეს ძალიან მესიამოვნა, მაგრამ ცაში ფრენას მიწაზე მყარად დგომა მირჩევნია. ამიტომ ყოველთვის უარვყოფ ხოლმე, როცა მარადონას მადარებენ. მარადონა ერთადერთია. სხვა მარადონა არასოდეს დაიბადება.

**- დაიბენით, დიეგომ რომ თავის შოუში მიგიწვიათ?**

- მაშინ მართლა დედამიწას ვიყავი მოწყვეტილი და მეცხრე ცაზე დავფრინავდი. ჩემი კერპის გაცნობას სიზმარშიც ვერ ვიფიქრებდი. თან დიეგომ საკუთარი შვილივით მიმიღო. შოუს მერე ტელეფონის ნომერი ჩამაწერინა და მითხრა, რომ როცა მომინდებოდა, მაშინ შემეძლო მასთან დარეკვა. ნომერი კი გამოვართვი, მაგრამ ერთხელაც არ დამირეკავს...

**- პროფესიული თვალსაზრისით რითი დაგამახსოვრდათ 2005 წელი?**

- 2005 წელი არასოდეს დამავიწყდება. სწორედ იმ წელს დავიწყე „ბარსელონას“ ძირითად შემადგენლობაში თამაში. გარდა ამისა, ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონი გავხდი 21 წლამდელთა შორის. ბედმა გამიღიმა და იმ მუნდიალზე გოლებიც გავიტანე, მათ შორის ფინალშიც. ასე რომ, 2005 წელი სრულყოფილი გამოდგა. სულ დამავიწყდა, შარშან კიდევ ერთი სიახლე იყო ჩემს ცხოვრებაში - მართვის მოწმობა ავიღე.

**- როგორი მძღოლი ხართ? ალბათ ისევე სწრაფად დაგყავთ მანქანა, რა ტემპშიც ფეხბურთს თამაშობთ...**

- არა, რას ამბობთ! დინჯი და კანონმორჩილი მძღოლი ვარ. თუმცა, როცა გვერდით მამა მიზის, საჭეს მას ვუთმობ ხოლმე.

**- ცოტა ხნის წინ სერიოზული ტრავმა მიიღეთ. მეტოქეები ყველაზე ხშირად თქვენს შეჩერებას ცდილობენ და ამ მიზნით ტრავმასაც გაყენებენ. „ბარსელონას“ მოთამაშეებს შორის ამ მხრივ ნამდვილი რეკორდსმენი ხართ...**

- ვიღაცამ მითხრა, რომ მსგავსი სტატისტიკა არსებობს და ერთ-ერთი ვარ იმ ფეხბურთელებს შორის, ვისაც ყველაზე მეტად ხვდება ხოლმე. თუმცა, მე არ ვაწარმოებ მსგავს სტატისტიკას, ამიტომ ვერ გეტყვით, ვინ როდის და რამდენჯერ ჩამარტყა.

**- თუ უკანასკნელს არ ჩავთვლით, ყველაზე სერიოზული ტრავმა როდის მიიღეთ?**

- ჯერ კიდევ მაშინ, როცა „ბარსელონას“ ბავშვთა გუნდში ვთამაშობდი. მარადონობა მოვინდომე - მეტოქის რამდენიმე ფეხბურთელის გვერდის ავლით ბურთის კარის ხაზისკენ დარტყმა მინდოდა. სამწუხაროდ, მეტოქეებმა მარადონობა არ მაცალეს. ერთ-ერთი მათგანი ზურგიდან ისე დამეჯახა, მარცხენა ფეხი მომტყდა. მაშინვე საავადმყოფოში გამაქანეს. მთელი ექვსი თვე ვერ ვთამაშობდი, რაც ჩემი ასაკის ბიჭისთვის დიდი ტრაგედია იყო. იმედი მაქვს, მსგავსი რამ აღარასოდეს დამემართება.

**- წელს რას უსურვებთ საკუთარ თავს? მით უმეტეს, რომ ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატზე გიწევთ თამაში...**

- ვოცნებობ, ფინალში გავიტანო გოლი და ჩემს ქვეყანას დაუვიწყარი გამარჯვება მოვუტანო. თუ ამ ოცნებას წელს ვერ ავიხდენ, მაშინ ოთხი წლის შემდეგ შევეცდები.

## 19 წლამდელები სლოვაკეთში ემზადებიან

საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრები სლოვაკეთის მოახლოებული ბატალიებისთვის ემზადება. შეგახსენებთ, რომ პირველ მატჩს ქართველი ფეხბურთელები თურქ თანატოლებთან 19 მაისს გამართავენ. 19 წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჰაინც ტოპმიოლერმა სლოვაკეთში შემდეგი შემადგენლობა წაიყვანა.

**მეკარეები:** ნუკრი რევიშვილი (რუბინი), რევაზ თევდორაძე (თბილისი)

**მცველები:** გულვერდ თომაშვილი (დინამო), გიორგი ხიდაშელი (ზესტაფონი), დავით მჭედლიშვილი (ამერი), ზურაბ გვაძაბია (ამერი), გიორგი კვანტალიანი (დინამო), ლერი ხოხონიშვილი (თბილისი)

**ნახევარმცველები:** ალექსი ბენაშვილი (ზესტაფონი), გიორგი განუგრავა (ზესტაფონი), სანდრო კობახიძე (დინამო), მირზა ბჟალავა (ზესტაფონი), ირაკლი ჩირიკაშვილი (დინამო), გიორგი კახელიშვილი (ლოკომოტივი), ზურაბ მაილაშვილი (გურჯაანი)

**თავდამსხმელები:** ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), რატი წინამძღვრიშვილი (ამერი), ვახტანგ კვარაცხელია (თბილისი).

## ევროპული ტრიუმფი "ჩელსისთან" ერთად

მიხაელ ბალაკი სულ ცოტა ხნის წინ გახდა ლონდონის "ჩელსის" ფეხბურთელი. გერმანელის განცხადებით, მისი მთავარი მიზანი "არისტოკრატებთან" ერთად ჩემპიონთა ლიგის მოგება იქნება.

"ჩელსიში" ჩემი გადმოსვლის მთავარი მიზანი ჩემპიონთა ლიგის მოგებაა. ევროპაში უამრავი ძლიერი გუნდია. სამწუხაროდ, ამ სეზონში "ბარსელონა" "ჩელსიზე" მაგარი აღმოჩნდა, მაგრამ ვთვლი, რომ მომავალ სეზონში ყველაფერი შეიცვლება და "ჩელსი" ინგლისის ჩემპიონობასთან ერთად ჩემპიონთა ლიგასაც მოიგებს", - აცხადებს ბალაკი.

## კინის შემცვლელს უცხოეთში ეძებენ

"მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა ერთ-ერთი ბრიტანული ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ როი კინის შემცვლელის პოვნას ინგლისის საზღვრებს გარეთ აპირებს.

"ძალიან გაგვიჭირდება როი კინის ღირსეული შემცვლელის პოვნა. ისევე, როგორც თავის დროზე გაგვიჭირდა ბრაიან რობსონის მემკვიდრის მოძებნა. ახლა უნდა ვიპოვოთ ფეხბურთელი, რომელიც მინდორზე და გასახდელშიც ახდენს თანაგუნდელებზე ზეგავლენას. როის ერთ-ერთი უმთავრესი დადებითი თვისება ის იყო, რომ ბრიტანელი გახლდათ და ადაპტაციის პრობლემა არასოდეს ჰქონია. სამწუხაროდ, ახლა ინგლისში როი კინის დონის ფეხბურთელი უბრალოდ არ არსებობს. ამ მიზეზით კლუბი იძულებულია როის შემცვლელი საზღვარგარეთ ეძებოს," - აცხადებს ფერგიუსონი.

## რონალდო "ინტერში"?

იტალიელ საფეხბურთო აგენტ ფედერიკო პასტორელლოს თქმით, იგი დარწმუნებულია, რომ რონალდო მადრიდის "რეალს" დატოვებს და მილანის "ინტერში" დაბრუნდება.

"რონალდოს "ინტერში" დაბრუნება წლევანდელი სატრანსფერო სეზონის მთავარი სენსაცია იქნება. მორატი დაეხმარება რონალდოს, რომ მან "ინტერის" ფანებთან გაფუჭებული ურთიერთობა გამოასწოროს. დიახ, დარწმუნებული ვარ, რონალდო "რეალს" დატოვებს და "ინტერში" დაბრუნდება", - აცხადებს პასტორელო.

## იბრაჰიმოვიჩი შევჩენკოს ნაცვლად

"იუვენტუსის" შვედი ფორვარდის ზლატან იბრაჰიმოვიჩის აგენტმა დაადასტურა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მისმა კლიენტმა შესაძლოა "მილანში" ანდრეი შევჩენკო შეცვალოს.

"იუვენტუსის" გარშემო ატეხილი სკანდალის გამო ზლატანი ალბათ კლუბს დატოვებს. "ნორმალურ ვითარებაში "იუვენტუსი" არავითარ შემთხვევაში არ გაყიდდა იბრაჰიმოვიჩს და არც ზლატანი მოინდომებდა წასვლას, მაგრამ, ახლა შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ყველაფერია მოსალოდნელი. "მილანი" ნამდვილად არის ის გუნდი, რომელიც შეძლებს ზლატანის შეძენას, მით უმეტეს, თუ გუნდი შევჩენკომ დატოვა", - განაცხადა შვედი ფეხბურთელის აგენტმა.

## 2 მილიონი ძენგას

ბელგრადული მედიის ცნობით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ვალტერ ძენგა დატოვებს "ცრვენა ზვეზდას", რომელსაც ამ სეზონში ოქროს დუბლი შეასრულებინა.

სერბული გაზეთების ინფორმაციით, იტალიელი სპეციალისტი ყატარულ კლუბ "ალ სადადს" ჩაუდგება სათავეში.

სერბეთიდან ყატარში გადაბარგების ერთადერთი მიზეზი ფულია. "ალ სადადის" ხელმძღვანელობა ძენგას სეზონში 2 მილიონ ევროს სთავაზობს.

## ფავალიმ "მილანთან" კონტრაქტი გააფორმა

გუშინ "მილანმა" კონტრაქტი გააფორმა "ინტერის" 34 წლის მცველ ჯუზეპე ფავალისთან. აღსანიშნავია, რომ ამ ფეხბურთელის შეძენა "მილანს" ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ უნდოდა, მაგრამ მაშინ ფავალის "ინტერთან" აკავშირებდა კონტრაქტი. სეზონის დასრულების შემდეგ კი მცველი თავისუფალი აგენტი გახდა და "მილანთან" კონტრაქტს უპრობლემოდ მოაწერა ხელი.

## ლოვენკრანდსი „რომაში“ გადადის

ბრიტანული მედიის ინფორმაციით, გლაზგო „რეინჯერსის“ ნახევარმცველი პეტერ ლოვენკრანდსი იტალიურ „რომაში“ გააგრძელებს კარიერას. როგორ ამბობენ, რომაული კლუბის მესვეურები და დანიელი ნახევარმცველი უკვე შეთანხმდნენ კონტრაქტის დეტალებზე. აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ ლოვენკრანდსის შეძენა ბერძნულ „პანათინაიკოსს“ და ესპანურ „ოსასუნასაც“ სურდათ.

## ვინ დაიცავს წესრიგს

იმისთვის, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების მსვლელობისას გადარეული გულშემატკივრები მინდორზე არ გაცვივდნენ, მუნდიალის ორგანიზატორებმა მეტად ორიგინალური ხერხი მოიფიქრეს.

შეგახსენებთ, რომ ერთი წლის წინ გერმანიაში გამართულ კონფედერაციათა თასის გათამაშების დროს ასეთი ინციდენტი რამდენჯერმე დაფიქსირდა.

ამჯერად ორგანიზატორები სტადიონის ტრიბუნების პირველ რიგებს საკუთარ ხალხს დააკავებინებენ, რომლებსაც დაევალებათ ამგვარი ინციდენტების აღკვეთა.

## ბაკერო მწვრთნელობას გააგრძელებს

ბასკური „სოსიედადის“ მთავარ მწვრთნელად უახლოესი ორი წლის განმავლობაში ხოსე მარი ბაკერო იმუშავებს. ბაკერო კლუბის სპორტული დირექტორია. მან მწვრთნელის ფუნქციები მაშინ შეითავსა, როდესაც „სოსიედადი“ გავარდნის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ბაკერომ შეძლო და შეუნარჩუნა გუნდს ადგილი პრიმერა დივიზიონში და „სოსიედადის“ მესვეურებმა მასთან ორწლიანი კონტრაქტიც გააფორმეს. ჯერჯერობით უცნობია, შეითავსებს თუ არა მწვრთნელობასთან ერთად ბაკერო კლუბის სპორტული დირექტორის პოსტსაც.

## ესპანეთში სეზონი 20 მაისს დასრულდება

ესპანეთის ჩემპიონატის უკანასკნელი მატჩი 20 მაისს გაიმართება. „ბარსელონასა“ და მადრიდის „ატლეტიკოს“ მატჩი, წესით, გუშინ უნდა გამართულიყო, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო ეს შეხვედრა შაბათს, 20 მაისს შედგება. არც ერთი გუნდის რიგებში არ ითამაშებენ ფეხბურთელები, რომლებიც მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას.

## ბესკოვის ქვრივი გაქურდეს

მოსკოვში გაქურდეს კონსტანტინ ბესკოვის ქვრივი. ლეგენდარული რუსი მწვრთნელი სულ ახლახან გარდაიცვალა. ქურდები მისი მეუღლის სახლში მოტყუებით შევიდნენ და დაახლოებით 1000 დოლარი წაიღეს.

„ვერ ვხვდები, როგორ მოვტყუვდი. გულუბრყვილოდ მოვიქეცი, დავუჯერე და სახლში შემოუშვი. მხოლოდ მათი წასვლის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ფული და რამდენიმე ბეჭედი აღარ მქონდა“, - განაცხადა ბესკოვის ქვრივმა.

## მილიონი ხორვატ მეკარეში

თურქული „ბეშიქთაში“ მილიონ ევროს სთავაზობს ბელგიურ „სტანდარდს“ ხორვატ მეკარე ვედრანა რუნიეში. თურქული კლუბი 30 წლის მეკარეს სამწლიან კონტრაქტს სთავაზობს. სავარაუდოა, რომ ტრანსფერი შედგება, ვინაიდან მეკარეს მხოლოდ 2007 წლამდე აკავშირებს კონტრაქტი ბელგიურ კლუბთან და თუ „სტანდარდმა“ ახლავე არ გაყიდა რუნიე, შესაძლოა, ცოტა ხანში ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე დაკარგოს.

## ინძაგი შევჩენკოს დარჩენას სთხოვს

„მილანის“ ფორვარდმა ფილიპო ინძაგიმ იტალიელ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ გუნდის თითოეულ ფეხბურთელს სურს, რომ ანდერი შევჩენკო გუნდში დარჩეს.

„მშვენივრად ვიცით რაც ხდება. პირადად მე მინდა, რომ შევჩენკო „მილანში“ დარჩეს. ჩემს აზრს მთელი გუნდი იზიარებს, მაგრამ თუ ანდრეიმ „ჩელსიში“ გადასვლა გადაწყვიტა, მის არჩევანს მივიღებთ და გუნდიდან ღირსეულად გავაცილებთ“, - აცხადებს ინძაგი.

## ბეკენბაუერი კომენტატორობას იწყებს

კომპანია „დოიჩე ტელეკომმა“, რომელიც ბუნდესლიგის მატჩების ტელეტრანსლაციების ექსკლუზიური მფლობელია, კონტრაქტი გააფორმა ფრანც ბეკენბაუერთან. ამ კონტრაქტის თანახმად, კაიზერი ფრანცი მომავალ სეზონში ბუნდესლიგის მატჩების ტელეკომენტატორი იქნება. შეთანხმების სხვა დეტალები ცნობილი არ არის. ამიტომ ფართო საზოგადოებისთვის უცნობია, თუ რამდენს გადაუხდიან ბეკენბაუერს.

## „ასპირინელები“ ბარბარესით გაძლიერდნენ

ბოსნიის ნაკრებისა და „ჰამბურგის“ ვეტერანი ფორვარდი სერგეი ბარბარსეი მომავალ სეზონში ლევერკუზენის „ბაიერის“ ღირსებას დაიცავს. 34 წლის ბარბარსეიმ ამ სეზონში „ჰამბურგის“ შემადგენლობაში საკმაოდ კარგად ითამაშა, მაგრამ კლუბის მესვეურებთან ახალი კონტრაქტის დეტალებზე ვერ შეთანხმდა და ამიტომ ლევერკუზენულ კლუბში გადაწყვიტა კარიერის გაგრძელება.

## გამოძიება გრძელდება

იტალიის ფინანსური პოლიცია აგრძელებს გამოძიებას, რომელიც ჩაწყობილ მატჩებს უკავშირდება. გუშინ საღამოს დაკითხეს რამდენიმე მოქმედი და ყოფილი ფეხბურთელი. იტალიური მედიის ცნობით, პოლიციამ სულ 40 ადამიანი დაკითხა.

ეჭვმიტანილთა სიაში აღმოჩნდნენ: იანკულოვსკი და კალაჩი (ორივე მილანი), იაკინტა და პინცი (ორივე უდინეზე), დი მიკელე (პალერმო), აბეიონი (კალიარი), მანფრედინი (რიმინი), ფერანტე (ასკოლი), მაგიოტა (პიაჩენცა), ბია (ინტერისა და ბოლონიას ყოფილი ფეხბურთელი), სოსა (ნაპოლი), ვალემი, პიერინი და პინიედა (უდინეზეს ყოფილი ფეხბურთელები), სკარლოტო (კროტონე).

ალსანიშნავია, რომ ფერანტემ, იანკულოვსკიმ და დი მიკელემ უარი თქვეს პასუხი გაეცათ პოლიციელთა შეკითხვებზე.

# „მაიამი“ კონფერენციის ფინალისტია

NBA-ს აღმოსავლეთ კონფერენციაში უკვე გაირკვა ერთი ფინალისტის ვინაობა. „მაიამიმ“ ნახევარფინალური სერიის მეხუთე მატჩში ანგარიშით 106:105 დაამარცხა „ნიუ ჯერსი“ და სერია 4:1 მოიგო.

მართალი რომ ითქვას, ალბათ არავინ ელოდა, რომ „მაიამი“ ჯეისონ კიდისა და ვინს კარტერის გუნდს 5 მატჩში დაამარცხებდა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხუთივე შეხვედრაში დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა და მაიამელებს, უბრალოდ, გაუმართლათ.

ასე იყო სერიის მეხუთე შეხვედრაშიც. მატჩის დასრულებას წამებილა აკლდა, ბურთით „ნიუ ჯერსის“ კალათბურთელები იყვნენ და შეხვედრასაც ერთი ქულით იგებდნენ. ერთადერთი, რაც „ნიუ ჯერსის“ კალათბურთელებს სჭირდებოდათ, საფინალო სირენამდე ბურთის შენარჩუნება იყო, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს. დუეინ ვეიდმა ჯეისონ კიდის გადაცემა ჩაჭრა და მატჩის ბოლო წამზე ბურთი მეტოქის კალათში გაგზავნა. ამ შედეგიანი ტყორცნის წყალობით „მაიამიმ“ თამაშიც და ნახევარფინალური სერიაც მოიგო.



„მაიამიმ“ უშანსოდ დატოვა მეტოქე.

მაიამელი კალათბურეთელებიდან განსაკუთრებით არც ერთის გამოყოფა არ შეიძლება. მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა. ენტონი უოკერის ანგარიშზე 23 ქულა იყო, შაკილმა 17 ქულით დაასრულა შეხვედრა, დუიენ ვედიმა 21 ქულა დააგროვა, გერი პეიტონმა კი - 10. რაც შეეხება „ნიუ ჯერსის“, ამ გუნდში საუკეთესო ვინს კარტერი იყო. მის ანგარიშზე 33 ქულაა.

თუ აღმოსავლეთ კონფერენციაში ერთი ფინალისტი უკვე გამოვლინდა, დასავლეთში ბრძოლა საკმაოდ დაძაბულია. „ფენიქსისა“ და „კლიპერსის“ ნახევარფინალური სერიის მეხუთე მატჩში გამარჯვებულის გამოსავლენად ორი ოვერტაიმი დაინიშნა. მატჩი „ფენიქსმა“ მოიგო - 125:118 და სერიაშიც 3:2 დაწინაურდა.

ნიკა ცქიტიშვილს ისევ არ უთამაშია. საუკეთესო კი შონ მერიონი იყო. მის ანგარიშზე 33 ქულა, 20 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემაა. „ფენიქსის“ ლიდერმა სტივ ნეშმა თავის გუნდს 17 ქულა შესძინა. ამასთან, ნეშის ანგარიშზე 13 შედეგიანი გადაცემაა. კალიფორნიელთა შორის კი ელტონ ბრენდი და სემ კასელი გამოირჩეოდნენ. პირველმა 33 ქულა შესძინა გუნდს, მეორემ - 32

# გატლინის რეკორდი დამრგვალდა

გიგა გურასაშვილი

*ცისფერ ბილიკებზე არაერთი შემთხვევა ყოფილა, როდესაც მოცურავეებს ერთნაირი შედეგები უჩვენებიათ. ასეთი რამ გაცილებით იშვიათად ხდება სარბენ ბილიკებზე. კიდევ უფრო დიდი იშვიათობაა მძლეოსანთა თანაზიარი მსოფლიო რეკორდი. დღეის იქით კი სამაგალითო იქნება ის, რომ ყველაზე პრესტიჟულ დისციპლინაში, 100 მეტრზე რბენაში, მსოფლიოს ორი რეკორდსმენი ჰყავს - იამაიკელი ასაფა პაუელი და ამერიკელი ჯასტინ გატლინი. მაგრამ ვიდრე მძლეონობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციის (იააფ-ი) მამები ამ დასკვნამდე მივიდოდნენ, რამდენიმე დღით პლანეტის უსწრაფეს ადამიანად გატლინი ითვლებოდა.*



ფოტოფინიშის შესწავლის შემდეგ გატლინის რეკორდი 9,77 წამამდე დამრგვალდა.

მივყვეთ თანამიმდევრობით და სპრინტერულ დისციპლინას ჩვენც ერთი ამოსუნთქვით გავაყოლოთ თვალი. მაშ ასე, 12 მაისი. იააფ-ის სუპერ გრან-პრი. მასპინძელი - ყატარის დედაქალაქი დოჰა და 100 მეტრზე რბენა.

ამერიკელი სპრინტერი ჯასტინ გატლინი ტურნირის დაწყებამდე იქადნებოდა, აქ ისე გავირბენ, როგორც არავინო.

მძლეოსნობაში (ამ შემთხვევაში უმოკლეს დისციპლინას ვგულისხმობ) ძალიან ძნელია, ადამიანის შესაძლებლობათა ზღვარს გადააბიჯო. მიუხედავად იმისა, რომ გატლინი სპრინტერული დისციპლინის დიდოსტატადაა აღიარებული, მისი მხრიდან პირობის დადება, რომ 100 მეტრზე მსოფლიო რეკორდს გააუმჯობესებდა, მაინც ძალზე ხმამაღალი განცხადება იყო. ამერიკელს არც ტიტულები აკლდა და არც სახელი. მხოლოდ მსოფლიო რეკორდის უკმარისობას განიცდიდა. დღეის შემდეგ კი იამაიკელ ასაფასთან ერთად ისიც პლანეტის უსწრაფესი ადამიანია.

24 წლის ამერიკელმა დოჰაში გამართულ გრან-პრის შეხვედრაზე 100 მეტრი 9.76 წამში გაირბინა და იამაიკელი ასაფა პაუელის რეკორდი დაამხო. თუმცა, მსოფლიოს ახალ გვირგვინოსანს ზოგიერთები ალმაცერად უყურებდნენ - მაგას ისეთი მწვრთნელი ჰყავს, ყველაფერი გამოუვაო.

გატლინის წარმატებები ტრევორ გრემის დამსახურებაა. ტრევორ გრემს კი დიდი ავტორიტეტი აქვს მძლეოსნობის სამყაროში. თუმცა, სახელის გატეხვაც მოასწრო. მასზე ამბობენ, მშვენივრად იცის, რა დოზით მისცეს თავის შეგირდებს სტეროიდები, რომ დოპინგ-კონტროლს მშვიდობიანად ჩაუარონო.

თავის დროზე ტრევორ გრემი მერიონ ჯონსს და ტიმ მონტგომერის ავარჯიშებდა. ორივემ საოცარ შედეგებს მიაღწია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მათმა ზეობამ დიდხანს არ გასტანა - ამერიკელი მძლეოსნები დოპინგზე დაიწვნენ.

2001 წელს ჯასტინ გატლინი ამფიტამინის მოხმარებისთვის სარბენი ბილიკებიდან ორი წლით მოხსნეს.

მაგრამ სხვათა ცოდვებს თავი დავანებოთ და მთავარი ვთქვათ.

იააფ-ის წესების შესაბამისად, გატლინის რეკორდი - 9,766 წამი ხელოვნურად 9,77 წამამდე დამრგვალდა. დამრგვალებული შედეგი კი იამაიკელ ასაფა პაუელს ეკუთვნის, რომელმაც შარშან, 14 ივნისს, ათენის სუპერ გრან-პრიზე გამოიჩინა თავი.

ასე რომ, ამიერიდან ამერიკელი და იამაიკელი მორბენლები მსოფლიო რეკორდს იყოფენ.

...დოჰაში სარეკორდო შედეგით გარბენის შემდეგ გატლინი ამბობდა, „თავს ისე ვგრძნობ, როგორც საუკეთესოთა შორის საუკეთესო. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ვარ, მოგებული მაქვს ოლიმპიური თამაშები, ახლა კი მსოფლიო რეკორდიც მე მეკუთვნის. ახალი რეკორდებისთვისაც მზად ვარო“.

წლეულს, ივნისში, გატლინი და პაუელი გეითსჰედის (ჩრდილო ინგლისი) ტურნირზე ერთმანეთის პირისპირ უნდა წარდგნენ.

შეგახსენებთ, რომ შარშან ორივემ ლონდონის ტურნირზეც იასპარეზა. მაშინ გატლინმა გაიმარჯვა, თანაც ძალიან იოლად. ტრავმის გამო პაუელი იძულებული გახდა შეჯიბრებაზე უარი ეთქვა. ამ ტრავმის გამო იამაიკელმა მსოფლიო ჩემპიონატიც გამოტოვა.

**100 მ.**
**მსოფლიო რეკორდები**

| | |
|---|---|
| 2006 წ. - ჯასტინ გატლინი | 9,76 |
| 2005 წ. - ასაფა პაუელი | 9,77 |
| 2002 წ. - ტიმ მონტგომერი | 9,78 |
| 1999 წ. - მორის გრინი | 9,79 |
| 1996 წ. - დონოვან ბეილი | 9,84 |

# პოკერი გაშიშვლებამდე

*კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მასობრივ ტურნირს პოკერში, ამასთან, გაშიშვლებაზე, შესაძლოა, ირლანდიამ უმასპინძლოს. მანამდე კი საბუკმეიკერო კანტორამ Paddy Power, რომელსაც აზრად მოუვიდა ასეთი ტურნირის ჩატარება, მისი ორგანიზაციული მხარე აქვს მოსაგვარებელი. რა გამოვა აქედან, ჯერ არავინ იცის, მაგრამ იდეის განხორციელება რომ ძალიან უნდათ, ესეც ფაქტია.*

როგორ გგონიათ, როდის მოუვიდათ ასეთი იდეა? ამბობენ, 1 აპრილს, „სულელების დღესო“. მაგრამ, როგორც „როიტერი“ გვამცნობს, ხუმრობას ისეთი ინტერესი გამოუწვევია, რომ დუბლინელ ბუკმეიკერებს გადაუწყვეტიათ, საქმისთვის სერიოზულად მოეკიდათ ხელი და გინესის რეკორდების წიგნშიც საკუთარი ადგილი მოეძებნათ.

„ტურნირში მონაწილეობისთვის თითქმის ასი განაცხადი გვაქვს, - ამბობს კანტორის თავმჯდომარე პედი პაუერი (კომპანიაც მის სახელს ატარებს), - ახლა იმის გარკვევა გვინდა, საერთოდ გვაქვს თუ არა ამის უფლება თუ ასეთი ქმედებისთვის ციხეში ჩაგვსვამენ“.



შესაძლოა, პოკერი გაშიშვლებამდე ითამაშონ.

ბოლო წლების სატელევიზიო ტურნირების წყალობით, სადაც გამარჯვებულებს მსუყე ფულადი პრიზებით აჯილდოებენ, პოკერი დიდი ბიზნესის წყაროდ იქცა.

ამასობაში გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენელი ირწმუნება, რომ პატივცემული გამოცემის კვლევითი სამსახურები უკვე სერიოზულად ფიქრობენ ახალი კატეგორიის შექმნის შესაძლებლობაზე - მათ განაცხადს განვიხილავთ და მალე პასუხსაც ვაცნობებთო.

პედი პაუერი აღნიშნავს, რომ მისი ფირმა, რომელიც, სხვათა შორის, საზოგადოებისგან საკმაოდ არაორდინარული ფსონების მიღებითაა ცნობილი, ჩემპიონატის ჩატარებას აგვისტოში ან სექტემბერში შეეცდება. ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი აქვს. ოღონდ ჯერჯერობით ღიად რჩება საპრიზო ფონდის საკითხი. „შესაძლოა, პრიზი იყოს წყვილი ოქროს ტრუსი ან ოქროს ფოთოლი - ალბათ ეს ყველაზე კარგი პრიზი იქნებაო“, - ამბობს პაუერი.

## ინფოთეკა

### საქართველო 101-ე ადგილზეა

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე თვეზე ნაკლები დარჩა. გუშინ ფიფამ ნაკრები გუნდების რეიტინგი გამოაქვეყნა. გასულ თვესთან შედარებით რეიტინგში ცვლილებები თითქმის არ მომხდარა. პირველობას კვლავაც ბრაზილიის ნაკრები ინარჩუნებს. რაც შეეხება საქართველოს ეროვნულ გუნდს, კლაუს ტოპმიოლერის შეგირდები ჯერჯერობით 101-პოზიციაზე არიან. ახლა გთავაზობთ რეიტინგის პირველი ოცი გუნდის ცხრილს და იმ გუნდების სარეიტინგო მაჩვენებლებს, რომლებიც საქართველოს ნაკრებს 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში დაუპირისპირდებიან.

| | |
|---|---|
| 1. ბრაზილია | 827 |
| 2. ჩეხეთი | 772 |
| 3. ჰოლანდია | 768 |
| 4. მექსიკა | 758 |
| 5. აშშ | 756 |
| 5. ესპანეთი | 756 |
| 7. პორტუგალია | 750 |
| 8. საფრანგეთი | 749 |
| 9. არგენტინა | 746 |
| 10. ინგლისი | 741 |
| 11. ნიგერია | 736 |
| 11. დანია | 736 |
| 13. იტალია | 728 |
| 14. თურქეთი | 726 |
| 15. კამერუნი | 722 |
| 16. შვედეთი | 709 |
| 17. ეგვიპტე | 708 |
| 18. იაპონია | 705 |
| 19. გერმანია | 696 |
| 20. საბერძნეთი | 694 |
| 45. უკრაინა | 609 |
| 59. შოტლანდია | 576 |
| 93. ლიტვა | 481 |
| 101. საქართველო | 459 |
| 139. ფარერები | 313 |

### ელი ბოპი „ტულუზას“ მწვრთნელია

ფრანგულ კლუბ „ტულუზას“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა ცნობილი ფრანგი სპეციალისტი ელი ბოპი, რომელმაც სეზონის დასრულების შემდეგ „სენტ ეტიენი“ დატოვა. ფრანგული მედიის ინოფრმაციით, ბოპმა „ტულუზასთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

### გალასი და ოდო - „მილანის“ მთავარი მიზანი

„მილანის“ სელექციის განყოფილების ხელმძღვანელმა ადრიანო ბრაიდამ განაცხადა, რომ კლუბის სატრანსფერო პრიორიტეტი მასიმო ოდოსა და ვილიამ გალასის შეძენაა.

„გალასი და ოდო - აი, ის ორი ფეხბურთელი, რომლებსაც აუცილებლად ვიყიდით. ახლა მხოლოდ ამ ორ ტრანსფერზე ვმუშაობთ“, - აღნიშნა ბრაიდამ ჟურნალისტებთან საუბარში.

მილანური კლუბის ერთ-ერთ მთავარ ჩინოსანს არაფერი უთქვამს იმაზე, თუ ვის იყიდის „მილანი“ გუნდიდან ანდრეი შევჩენკოს წასვლის შემთხვევაში.

### „რეინჯერსს“ შოტლანდიური სული სჭირდება

გლაზგო „რეინჯერსის“ ახალმა მწვრთნელმა პოლ ლე გუენმა განაცხადა, რომ მომავალ სეზონში ძირითადად ადგილობრივ ფეხბურთელებზე გააკეთებს აქცენტს.

„გუნდს უკვე ვიცნობ და ვფიქრობ, პირველ რიგში შოტლანდიელი ფეხბურთელების იმედი უნდა მქონდეს. „რეინჯერსს“ წარმატებისთვის შოტლანდიური სული სჭირდება. არ გამოვრიცხავ, რომ გუნდში რამდენიმე უცხოელიც იყოს, კერძოდ, საფრანგეთიდან, მაგრამ აქცენტი მაინც ადგილობრივ ფეხბურთელებზე გაკეთდება“, - აცხადებს ლე გუენი.

### დევენპორტი „როლან გაროსზე“ ვერ ითამაშებს

მაისის ბოლოს სტარტს აიღებს სეზონის მეორე დიდი სლემის ტურნირი - საფრანგეთის ღია პირველობა. გუშინ ცნობილი გახდა, რომ „როლან გაროსზე“ ვერ ითამაშებს ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი ლინდსეი დევენპორტი. მიზეზი მუხლის ტრავმაა, რომელიც დევენპორტმა ვერაფრით ვერ მოიშუშა.

„ვცდილობ, რაც შეიძლება სწრაფად დავბრუნდე კორტზე, მაგრამ ვშიშობ, ტრავმა საფრანგეთის ღია პირველობაზე თამაშის საშუალებას არ მომცემს“, - განაცხადა ამერიკელმა ჩოგბურთელმა.